

K 233.661
3



ოთარ ჯავალიძე

დაცვული
მარტოზე

ჭრე

ଓଡ଼ିଆ ଜ୍ଞାନପତ୍ର

ଏକାନ୍ତରିକ ପାଠ୍ୟପତ୍ର



୦୬୦୯୦୯୦
2000

არქივის მუნიციპალიტეტის
მუ-202 ბიბლიოთის 6 მიუხურა
УДК 947.922
X 221



ნაშრომში ავტორის მიერ სხვადასხვა წლებში გამოქვეყნებული საისტორიო წერილებია გაერთიანებული. ისინი ძირითადად XX საუკუნის პირველი მეოთხედის – საქართველოს დამოკრატიული რესპუბლიკისა და მისი მომდევნო ხანის ისტორიის პრობლემებს ეხება.

წიგნი განკუთვნილია ჩვენი ქვეყნის ახლო წარსულით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

რედაქტორი - ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი ა. დაუშვილი

რევიზორი: ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი მ. ნიაზტიშვილი
პროფესორი ა. სონდულაშვილი

ს 202-2300
მემორანული

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

X 34
2000

ს 202-2300
მემორანული
ეთნოლოგიუმ
გიგანტი 0300040

წინამდებარე წიგნში თავმოყრილი სტატიები სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა უკანასკნელი ათწლეულის ქართული პერიოდის ფურცლებზე. ავტორი ამ პერიოდის ეროვნულ-საზოგადოებრივი მოვლენების უშუალო მონაწილე და ოვითმხილველია. მრავალი კატაკლიზმით აღსავსე ამ წლებმა წარუშლელი კვალი დაამჩნიეს როგორც ჩვენს ცნობიერებას, ისე სოციალურ და ეკონომიკურ ყოფას. მნიშვნელოვნად შეიცვალა სახელმწიფო ბრიგ-პოლიტიკური ცხოვრება. გარდაქმნა შეეხო კულტურის, მეცნიერების, განათლების თუ სხვა სფეროებს. საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ბრძოლაში თავისი როლი პუბლიცისტიკამაც შეასრულა. საზოგადოებას სჭირდებოდა საკუთარი ნამდვილი ისტორიის ცოდნა, რასაც დიდი ხნის მანძილზე მოკლებული იყო.

იმ დინამიურ ხანაში სქელტანიანი წიგნების არც შესაქმნელად და არც საკითხავად დრო აღარ რჩებოდა. ჰეშმარიტი ისტორიის მესიტყველ ურნალ-გაზეთები იქცნენ, რომელთაც ძალუმად ეტანებოდა მართალ სიტყვას დანატრებული მკითხველი.

ბევრ ტაბუდადებულ თემას აეხადა ფარდა, დაიმსხვრა მრავალი ცრუ კერპი და მზის სინათ-

დეზე წარმოჩნდა უსამართლოდ დავიწყებული არაერთი ღირსეული სახელი...

დრო უსწრაფესად გარბის. ეს საუკუნეც აგერ ჩვენს ოვალწინ მიიღია. მალე 2000-იც კრიალოსანის მძივივით ჩამოიმარცვლება და ისტორიის ძველსა და უძირო სკივრში უნუგეშოდ დაინთქმება. ზღურბლზე უკვე ჩანს ოცდამეერთე ასწლეული.

მომავალ თაობებს გაუძნელდებათ გაზეთთა კაბადონებზე გაბნეული ამ წერილების მოძიება, რომლებმაც თავის დროზე საზოგადოების ინტერესი გამოიწვიეს. მათი პრობლემატიკა სადღეისოდ იქნებ ისეთივე აქტუალური აღარც არის, მაგრამ წარსულის ობიექტური გააზრება ხომ აწმყოს შეცნობისა და პერსპექტივების განსაზღვრის მნიშვნელოვანი საფუძველია. ამიტომ შთამომავლობაშ უნდა იცოდეს, როგორ იშლებოდა გარდასულ დროთა თეთრი ლაქები, დიდი ხნის მანძილზე უსახურად რომ დაღვენთოდნენ ჩვენს ისტორიას.

ხსენებული პუბლიკაციების ერთ წიგნად შეკრაც ამ მიზანს ემსახურება.

საქართველო ევროპულ გზებზე



დაჩქარებული ინტეგრაციის პირობებში, რომელსაც თანამედროვე მსოფლიო მოუცივს, თავისიუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კონტაქტები მხოლოდ პოლიტიკური მოტივებით როდი განისაზღვრება. ანგარიში ეწევა ამა თუ იმ ქვეყნის გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას, ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ინტელექტუალურ და კულტურულ პოტენციალს, ურთიერთსარგებლივანი და ხელსაყრელი თანამშრომლობისათვის აუცილებელ სხვა ფაქტორებს. ამ კუთხით ანგარიშგასასწევია 1918-1921 წლების დემოკრატიული საქართველოს გამოცდილება. მსოფლიოს მრავალმა სახელმწიფომ არამხოლოდ სცნო საქართველოს რესპუბლიკა და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა, არამენდ ჩვენს ქვეყანასთან სავაჭრო-ეკონომიკურ თუ სხვა კონტაქტებშიც ჩაება. ვფიქრობთ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო ურთიერთობის მართებული შესწავლა და გააზრება სასიკეთოდ წაადგება დღევანდელ საქართველოს.

წინამდებარე წერილი ერთ კონკრეტულ ქვეყანასთან, ეკრძოდ საფრანგეთთან საქართველოს ურთიერთობის ზოგიერთ ასპექტს ეხება.

კავშირ-ურთიერთობებს საქართველოსა და საფრანგეთს შორის სათავე ასწლეულების სიღრმეში უდევს, მაგრამ შეუძლებელი იყო გეოგრაფიულად ესოდენ დაშორებული ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას ადრე სისტემატიური ხასიათი მიედო. კონტაქტები უფრო მეტად ეპიზოდებით შემოიფარგლებოდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921 წწ.) ამ კუთხით ფართო პერსპექტივა დაისახა და საფუძვლებიც შემზადებულ იქნა. ველური აზიის ცხელი სუნთქვით გათანგული და კულტურულ ევროპასთან მჰიდრო კავშირების ადრევე მაძიებელი საქართველო, როგორც სრულუფლებიანი და დამოუკიდებელი სახელმწიფო, აქტიურად ჩაება ცივილიზებულ კრთა ურთიერთობებში.

დემოკრატიული საქართველოს ოფიციალური ცნობა
დიდ სახელმწიფოთა მიერ იმავდროულად საქართველოს
საერთაშორისო აღიარებასაც ნიშნავდა, რჩცებულებების
მხრივ ფართო ეკონომიკური თანამშრომლობის ხელმშემ-
წყობ პირობებს ქმნიდა. ამას უმატებოდა ისიც, რომ სა-
ქართველო წარმოადგენდა ბუნებრივ გზას დასავლეთსა
და აღმოსავლეთს შორის, ხოლო მოწინავე ევროპა ქარ-
გა ხანია დაინტერესებული იყო ამ გზით.

რესპუბლიკის მთავრობა იმთავითვე ზრუნავდა ევ-
როპის განვითარებული ქვეყნებისათვის საქართველოს
ეკონომიკური შესაძლებლობების გასაცნობად, არწმუნებ-
და ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის, და
სხვა სახელმწიფოთა ხელისუფლებისა და საქმიანი წრე-
ების წარმომადგენლებს საქართველოსთან თანამშრომ-
ლობის საჭიროობასა და ხელსაყრელობაში.

ამ მიზნით ევროპაში საგანგებოდ გაემგზავრა სა-
ქართველოს მთავრობის დელეგაცია ფინანსთა და ვაჭ-
რობა-მრეწველობის მინისტრის პ. კანდელაკის მეთაურო-
ბით. დელეგაცია ესწრაფოდა დაემყარებინა სავაჭრო-
ეკონომიკური კავშირები ცალკეულ ფირმებთან და კომ-
პანიებთან, ტექნიკური გამოცდილების დასანერგად საქა-
რთველოში იწვევდა მცოდნე პირებსა და სპეციალი-
სტებს, იდვწოდა, მოეზიდა ევროპული კაპიტალი საქარ-
თველოს ბუნებრივ სიძიდიდეეთა დასამუშავებლად.

დელეგაციის ვიზიტი ნაყოფიერი გამოდგა. მიღწე-
ულ იქნა შეთანხმება და ადგილზევე გაფორმდა
რამდენიმე საქმიანი კონტრაქტი. მაგალითად, საფრანგე-
თში დაიდო ხელშეკრულება ფრანგ მეაბრეშუმეთა სინ-
დიკატონ, რის საფუძველზეც დაარსდა ფრანგულ-ქარ-
თული საზოგადოება საქართველოში მეაბრეშუმეობის
საქმის გაუმჯობესების მიზნით. ფრანგულმა მხარემ ივა-
ლდებულა საქართველოში ლაბორატორიების, საცდელი
მინდვრებისა და სკოლების მოწყობა აღვილობრივ მც-
ხოვრებთათვის მეაბრეშუმეობის შესასწავლად. მარსელში
გაფორმდა ხელშეკრულება სავაჭრო სახლ შაბრიერ მო-
რელთან და სხვა.



მაღლე საქართველომ საფრანგეთში შექმნა თავისი
ეკონომიკური წარმომადგენლობა, რომელსაც საფრანგეთი
ჩაუდგა საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი
იოსებ ელიგულაშვილი. ამასთან დაკავშირებით ფრანგუ-
ლი ურნალი „L'exportateur fracaïs“ წერდა: „საქართვე-
ლოს მთავრობამ მოაწყო ეკონომიკური წარმომადგენლო-
ბა საფრანგეთში იმ მიზნით, რომ საფრანგეთ-საქართვე-
ლოს შორის შეკრას მჭიდრო ეკონომიკური კავშირი.
საქართველო წარმოადგენს საყურადღებო ბაზარს ჩვენი
ქარხნების ნაწარმისათვის. სახელდობრ, სამუშაონეო
იარაღებისას, რკინიგზის მასალებისას, სპილენძის საქო-
ნლისა და სხვა.“

თავის მხრივ საქართველოს შეუძლია მოგვაწოდოს
აბრეშუმის პარკი, მარგანეცი, გადამუშავებული ტყავი,
თამბაქო და ხეტყე.

საჭიროა დავამყაროთ უფრო სწორი მიმოსვლა გე-
მების შემწეობით საქართველოს ისეთ ნავსადგურებში,
როგორიცაა ბათუმი, ფოთი, სოხუმი, და გავაძლიეროთ
აგრეთვე საბანკო ოპერაციები".

თანამშრომლობა ვითარდებოდა არა მარტო ცალკე-
ულ ფირმათა და კერძო მეწარმეთა, არამედ მთავრობის
დონეზეც. 1920 წლის ოქტომბერ-ნოემბერში პარიზში იმ-
ყოფებოდა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა
მინისტრი ქ. გეგეჭკორი. საფრანგეთის პრესამ ფართოდ
გააშუქა მისი ვიზიტი. ქ. გეგეჭკორი შეხვდა საფრანგე-
თის მთავრობის თავმჯდომარესა და საგარეო საქმეთა
მინისტრს ლეიგს. საქართველოს მთავრობის წარმომად-
გენელს დარბაზობა გაუმართა აგრეთვე საფრანგეთის
პრეზიდენტმა მილიერანმა. „საფრანგეთი პატივისცემითა
და სიყვარულით უყურებს საქართველოსა და მის მთავ-
რობას. ჩვენ ინტერესით ვადევნებთ თვალყურს შინაური
ორგანიზაციის საქმეს, სათანადოდ ვაფასებთ მას და
მზადა ვართ აღმოვაჩინოთ თქვენს რესპუბლიკას ყოვე-
ლგვარი დახმარება“, - განუცხადა მილიერანმა ქ. გეგეჭ-
კორს მიღებისას.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფი-
ციოზი, გაზეთი „Temps“ პერიოდულად ბეჭდავდა ინფორ-



მაციებს წვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების უმატებებ, მკითხველს აცნობდა საქართველოში დამუშავდობულ ცხოვრების წესს. მაგალითად პუბლიკაციაში - „დამოუკიდებელი საქართველო“ ნათქვამია: „საქართველოში დაცულია ყველა უფლება და პიროვნების ხელშეუხებლობა... ამიტომ ადვილი განსახორციელებელია ურველივე საქმე - კომურციული იქნება ის, საგანმანათლებლო თუ სავაჭრო“.

1921 წლის 16 იანვარს გამოქვეყნებულ წერილში „საფრანგეთი და საქართველო“, „Temps“-ის კორესპონდენტი ხაზს უსვამდა, რომ „საქართველო ამჟამად არა მარტო ამიერქავებასიაში, არამედ მთელ წინა აზიაში არის ერთადერთი სახელმწიფო, სადაც გამეფებულია წესიერება და თავისუფლება და სადაც არსებობს საშუალება მრეწველობის განვითარებისა“.

სხვა ურანგული გაზეთი მიუთითებდა: „...საქართველოს საქუთარი მრეწველობა ნაკლებად არის განვითარებული არა იმიტომ, რომ მის მიწა-წყალზე არ იყოს ბუნებრივი სიმდიდრე, ან მისი გეოგრაფიული მდებარეობა ხელს უშლიდეს მრეწველობის განვითარებას. პირიქით, საქართველოს აქვს გაუვალი ტყეები, უმდიდრესი მაღაროები, აუარებელი სურსათი, ნოკიერი ნიადაგი და ვაჭრობაც ადვილი განსავითარებელია. შექმნა რა დამოუკიდებელი სახელმწიფო, საქართველო იწყებს ახალ ცხოვრებას, ყოველგვარი დარგი მრეწველობისა მალე მოიკიდებს ფეხს. საჭიროა მხოლოდ თაოსნობა და ნივთიერი დახმარება, რომ შრომამ უხვი ნაყოფი გამოიღოს. იმ დრომდე კი, ვიდრე დაიწყებოდეს საქართველოს ფართე ტყეებისა და მდიდარი მაღნების დამუშავება, საქართველოს შეუძლია მიაწოდოს სურსათი შორეულ ქვეყნებს. ამგვარად, ახლავე შეიძლება ამ ქვეყანასთან ეკონომიკური ურთიერთობის დამყარება ორივე ქვეყნის სასარგებლოდ“.

სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას ხელს უწყობდა პოლიტიკური კავშირ-ურთიერთობების განმტკიცება საფრანგეთსა და საქართველოს შორის. თბილისში ახლად დანიშნული საფრანგეთის უმაღლესი



კომისარი შევალიე 1920 წლის დეკემბერში აღნიშნაუდა: „... დარწმუნებული ვარ, ჩემი მომავალი დამოკიდებულება ბა საქართველოს მთავრობასთან იქნება საუკეთესო. მე მივიღე რწმუნება, გადავსცე საქართველოს მთავრობას, რომ ფრანგებს ძმურად უყვართ ქართველები და მე ბედნიერი ვარ, რომ ამის შესახებ აქვთ საჯაროდ ვაცხადებ. საქართველოს კარგად იცნობდა საფრანგეთი, მაგრამ ევროპაში მყოფმა საქართველოს მისიამ, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, უფრო ნათლად დახატა საქართველოს როლი, გაეცნო მის შესაძლებლობებს და საჭიროებას. მე ვიმედოვნებ, რომ დამოკიდებულება საფრანგეთსა და საქართველოს შორის უფრო განმტკიცდება". იგივე შევალიე მოგავშირეთა მიერ საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო თბილისში გამართულ სადღესასწაულო ბანკეტზე აღნიშნავდა: „ბატონებო გავხსნათ ჩვენი გულები, დავხაროთ თავები, რომ ხალხთა ოჯახში მივიღოთ, ახალგაზრდა, ახლად შობილი, ან უკვე ახლად აღორძინებული ჩვენი და... უდიდესი გულწრფელობით ვისურვებ, რომ ახლადაღორძინებულ საქართველოს გარშემო სუფევდეს „ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება", რაც საფუძველია საერთაშორისო აყვავებისა, კეთილდღეობის".

დასავლეთთან კონტაქტების ფართო გაშლისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა სტაბილურობა, რაც ყოველთვის როდი იყო შენარჩუნებული საქართველოში. მოსკოვის საბჭოთა ხელისუფლების მიერ მოსყიდული ქართველი ბოლშევიკები კრემლის სხვა მრავალრიცხოვან აგენტებთან ერთად უველავერს აქეთებდნენ, რათა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს არ მისცემოდა მშვიდობიანი განვითარებისა და აღმშენებლობის საშუალება. ბოლშევიკთა წაქეზებით მოწყობილი აჯანყებები აფხაზეთში, ჯავის ხეობაში და სხვა პროვოკაციული გამოხტოვები არა მარტო ძაბავდა შიდა პოლიტიკურ ვითარებას, არამედ ცხოვრების ნორმალური რიტმის მოშლასაც იწვევდა, რაც თავის მხრივ უცხოელ მეწარმეებს საქართველოსთან თანამშრომლობის ხალისს უნელებდა.

ხელსაყრელი ადგილმდებარეობისა და ჭუნებრივ სიმდიდრეთა გარდა, დასავლეთის საქმიან წრების ჩვენში იზიდავდა ისიც, რომ საქართველოში პარტეიული მმართველობის დემოკრატიული სისტემა, რომელიც გამორიცხავდა კავშირ-ურთიერთობების ბიუროკრატიულ გაჭიანურებას მისგან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგით.

ცნობილია თუ რა მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს რესპუბლიკაში დამკვიდრებულ დემოკრატიას ევროპის სოციალისტური მოძრაობის ლიდერებმა, რომლებიც საგანგებოდ ესტუმრნენ ჩვენს ქვეყანას. სხვა მაგალითსაც დავიმოწმებ:

1920 წლის ზაფხულის დამდეგს საქართველოს ეწვია საფრანგეთის ცნობილი მწერალი ქალი ოდეტტა კოიენი. მას განხრახული პქონდა საქართველოს სახელმწიფო მართვა-გამგეობის, კულტურის, ისტორიისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა შესახებ წიგნი დაწერა. ფრანგმა სტუმარმა კარგა ხანს დაჲყო ჩვენში, იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ხოლო აბასთუმანში დასასვენებლადაც შეჩერდა. სამშობლოში გამგზავრებისას, კორესპონდენტთან საუბარში, მწერალმა აღნიშნა: „მე არც კი შემეძლო დამეშვა ასეთი სრული ერთიანობა საქართველოს მმართველობასა და ხალხს შორის... საქართველოს შევადარებდი იაპონიის დემოკრატიას, რომელსაც ასევე დრმად უყვარს თავისი სამშობლო, მაგრამ სამწუხაროდ, ისეთი ძლიერი არ არის, როგორც საქართველოს რესპუბლიკის დემოკრატია“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 23 ივნისი).

ამგვარი სტუმრობები ხელს უწყობდა დასავლეთისათვის საქართველოს რესპუბლიკის უფრო ახლოს გაცნობას, ამიტომ ხელისუფლება სახსრებს არ იშურებდა საქართველოში სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი ადამიანების მოსაწვევად.

თანამშრომლობა საფრანგეთთან სულ უფრო ფართოვდებოდა; კონტაქტები სცდებოდა ვიწრო ეკონომიკურ ჩარჩოებს და სახალხო მეურნეობის ახალ-ახალ სფერო-



ებს მოიცავდა. იმდროინდელ პრესაში იშვიათად როდე
შეხვდებით ასეთ ცნობებს:

„ფრანგული საზოგადოების გემი „სირაკასტას“
დღეებში ნეაპოლიდან მოვა ბათუმში და მოიტანს სხვა-
დასხვა საქონელს საქართველოსათვის, აქედან წაიღებს
საქონელს და წაიყვანს მგზაურებს“;

„ქართველ მეაფთიაქეთა კავშირმა ინგლისიდან და
საფრანგეთიდან მიიღო აუარებელი მედიკამენტები. მოსა-
ლოდნელია ტფილისის აფთიაქებში წამლის ფასის და-
წევა“;

„საფრანგეთიდან საქართველოს მედვინეთთათვის
გამოგზავნილია სამიათას ფუთხე მეტი საუკეთესო ხა-
რისხის გოგირდი. გარდა ამისა გამოგზავნილ იქნება
კიდევ 12 ათასი ფუთი“ და სხვა.

ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებაში თავისი
წლილი შეიტანეს საქართველოში მოღვაწე ფრანგებმა,
რომელთა რიცხვი არც თუ ცოტა იყო. თბილისში ფრა-
ნგული კლუბიც კი არსებობდა, რომელიც სოლოლაკში,
განვის ქუჩაზე მდებარეობდა („სახალხო საქმე“, 1919
წ., 29 აპრილი). ფრანგები დაუახლოვდნენ ქართველთა
იმ ჯგუფს, რომელთაც განათლება საფრანგეთში ჰქო-
ნდათ მიღებული და კარგად ესმოდათ ქართულ-ევროპუ-
ლი კონტაქტების მნიშვნელობა. ერთობლივი ძალით
თბილისში დაარსებულ იქნა ქართულ-ფრანგული სავაჭ-
რო პალატა (ha Shambe de Commerce Franko-Georgienne). იგი
მოწოდებული იყო მხარში ამოდგომოდა დამოუკიდებელი
სახელმწიფოს აღორძინებას, აღსანიშნავია, რომ პალატა
იმყოფებოდა ორივე ქვეყნის ხელისუფალთა მფარველო-
ბის ქვეშ.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ თავის
1920 წლის 8 მაისის სხდომაზე რეგისტრაციაში გაატა-
რა და დაამტკიცა ხსენებული პალატის წესდება („საქა-
რთველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 18 მაისი), რომელიც
შედგენილი იყო ქართულ და ფრანგულ ენებზე. თბილი-
სში ბეჭდურად გამოცემული წესდების ორიოდე ეგზემ-
პლარი გადაურჩა უამთა და კაცთა სიავეს და წვენამდე
მოაღწია. ამ დოკუმენტში ვკითხულობთ:



„§1. საქართველოში ქართულ-ფრანგული ენებულებული პალატის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს საფრანგეთს შორის უფრო მჭიდრო ეკონომიკურ დაახლოებას და ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებას ვაჭრობის, მიწათმოქმედების, მრეწველობის და სხვა სფეროებშიც. ამასთანვე შეუძლია მას შუამდგომლობდეს ორივე ქვეყნის მთავრობისა და საზოგადოებრივ და პარმო დაწესებულებათა წინაშე, მათ სავაჭრო და სამრეწველო საქმეშიც. პალატა იმყოფება ფინასთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს გამგებლობის ქვეშ...“

§ 4. პალატას შეუძლია... თავის საჭიროებისათვის შეიძინოს მოძრავი და უძრავი ქონება დროებით სარგებლობისათვის ანდა სამუდამოდ, მოაწყოს კონკურსები, გამოფენები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, კონფერენციები, კრებები, მიიღოს დავალებანი და წარმომადგენლობა, შეკრას ხელშეკრულებანი და გასცეს ვალდებულებანი...“

წესდების დამტკიცების შემდეგ სავაჭრო პალატა შეუდგა მუშაობას. ფრანგული „Buletin“-ის ცნობით, ქართულ-ფრანგული სავაჭრო პალატა აწყობს თბილისში მუდმივ გამოფენას საფრანგეთის და მის ახალშენების მრეწველობისას. პალატის დირექტია დაბეჯითებით სთხოვს საფრანგეთის მრეწველებს, ფაბრიკანტებსა და ვაჭრებს მოაქციონ განსაკუთრებული ყურადღება ამ ორგანიზაციას, რათა, რაც შეიძლება მაღე, განმტკიცდეს ჩვენი კავშირი საქართველოსთან“ („საქართველო“, 1920 წ., 28 დეკემბერი).

ჩვენთვის, სამწუხაროდ, უცნობია, რა ბედი ეწია ამ გამოფენას, ან მოეწყო თუ არა საერთოდ იგი, რადგან ამ ცნობის გამოქვეყნებიდან სულ რაღაც ორიოდ თვეში თბილისში საბჭოთა რუსეთის მე-11 არმია შემოიჭრა და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა შეწყდა.

„ახალგაზრდა იურიელი“
1991 წ., 16 ივლისი.

საქართველოს ცნობიერების გეირგეინი

ტრაგიკული ბედი დაჟყვათ დამფუძნებელ კრებებს - ბევრი მათგანი დღენაკლული და უიღბლო გამოდგა. სახალხო წარმომადგენლობის ამ ორგანოებმა დაწყებული საქმის დამთავრება ვერ მოასწრეს, რადგან ისინი დროზე ადრე იქნენ დათხოვნილ-გარეექილი.

„და, ნუ იქნება ასე! და, სცოცხლობდეს საქართველოს დამფუძნებელი კრება და და, მან შესძლოს პირველად შეასრულოს თავისი მოვალეობა ერთიანი და სამშობლოს წინაშე“ - ნატრობდა ქრისტეფორე რაჭელიშვილი საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევის დღეს.

ქართველი საზოგადოება უდიდეს იმედს ამყარებდა დემოკრატიული წესით არჩეულ მრავალპარტიულ ეროვნულ საქრებულოზე, რომლის პირველი სხდომა 1919 წლის 12 მარტს გაიხსნა თბილისში, მეფისნაცელის ფოფილ სასახლეში.

წევნი ერთს ისტორიაში წარუშლებული იქნება დამუშანებელი კრების მოწვევის დღე. ეს მეორე დღეა თავის სიდიადით, თავის მნიშვნელობით. ამ დღემ უნდა ჩააგვირგვინოს წევნი განთავისუფლება, წევნი ადგგენა და სთქვას: გუშინდელისევნ, მონობისაკენ გზა მოჭრილია სამუდამოდ, სამუდამოდ!

და იცოდეს ამიერიდან მტერმაც და მოყვარემაც, რომ ქართველი ერთს ისტორია, დროებით შეწერებული, პელავ განაგრძოს მსელებლობას, ქართველი ერთს გენია პელავ ტახტზე ზის და მისი შემოქმედების სხივები მთელს საქართველოს ეფრქვევა, აცხოვებდეს და გულს აღუძრავს სრულის ცხოვრებისათვის”, - წერდა ამ დღეს ცნობილი ქართველი მოღვაწე, დამფუძნებელი კრების წევრი სამსონ ფირცხალავა გაზეთ „სახალხო საქმის“ ცურცლებზე.

დამფუძნებელ კრებას დემოკრატიულ საქართველოში არავინ დაუტოვებია გულგრილი. გასაგებიცაა, ამ



აღსანიშნავია, რომ დამფუძნებელი კრების ქართული გენები ბში მონაწილეობის მიზნით უპარტიო ინტელიგუნციის წარმომადგენლებიც შეუდგნენ სამზადისს. არჩევნების წინა პერიოდში ჩამოყალიბდა „ესთეტური ლიგა პატრიოტებისა”, რომელშიც ქართველი პოეტები, მწერლები და მხატვრები გაერთიანდნენ. ლიგამ წარადგინა თავის კანდიდატთა სია (№14) პაოლო იაშვილის, იაკობ ნიკოლაძის, პავლე ინგოროვას, ტიციან ტაბიძის, ლადო გულიაშვილის და ალი არსენიშვილის შემადგელობით („საქართველოს რესპუბლიკა, 1991 წ., 30 იანვარი).

შეიქმნა საქართველოს ეროვნულ-ხალხოსნური და საზოგადოებრიულ-თემოსნური, შოთა რუსთაველის ჯგუფ-პარტია", რომელსაც საკუთარი ბეჭდვითი ორგანოც გააჩნდა ჟურნალ „რუსთაველის" სახით. (რედაქტორ-გამომცემელი ევგენი დვალი. სულ გამოვიდა 3 ნომერი). ამ ორგანიზაციამ „შოთა რუსთაველის ჯგუფის" სახელწოდებით მონაწილეობა მიიღო დამფუძნებელი კრების არჩევნებში (სია №10). ცალკე სიით (№11) მონაწილეობდა არჩევნებში „დამოუკიდებელი (უპარტიო) კავშირი" და სხვა. სულ 15-მა პოლიტიკურმა პარტიამ, გაერთიანებამ და ჯგუფმა წარადგინა კანდიდატთა სია ერის საქანონმდებლო ორგანოს არჩევნებისათვის. სიაში ყველაზე მეტი - 130 წარმომადგენელი ჰყავდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.

არჩევნები 1919 წლის შუა თებერვალში ჩატარდა. „14, 15 და 16 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებია! მოქალაქენო! ამ დღეს უნდა გადასწყდეს საქართველოს ბედი! თქვენ თვითონ უნდა გამოსჭედოთ იგი!... მიაშურეთ საარჩევნო ყუთებს! არც ერთმა არ დაძერგოთ ხმა!" - მოუწოდებდა ქართული პრესა რესპუბლიკის მოქალაქეებს.

ქართველი ხალხის მისწრაფებაზე - აერჩია ერის უზენაესი ორგანო - ბოლშევიკთა ბოკოტს გავლენა არ მოუხდენია. ეს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური აქცია წარმატებით ჩატარდა. არჩევნებმა სრული გამარჯვება მოუტანა სოციალ-დემოკრატებს, მათ ხმების დაახლოებით 84 პროცენტი შეაგროვეს და 109 მანდატი მიიღეს.



გ-გ მანდატი მოიპოვეს ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიების წარმომადგენლობისთვის 5 ადგილი სოციალისტ-რევოლუციონერებს ერგოთ.

სოციალ-დემოკრატებს თავიანთი ინტერნაციონალური ბუნებისათვის არც ამჯერად უდალატიათ. მათი პარტიული სიით გასულ დამფუძნებელი კრების დეპუტატთა შორის ქართველებს გარდა იყვნენ სომხები, თათრები, ბერძნები, რუსები, ებრაელები, ოსები და აფხაზები.

დამფუძნებელი კრების წევრთაგან მხოლოდ ოთხი იყო ქალი: ელისაბედ ბოლქვაძე, ელეონორა ტერ-პარსევ-გოვა-მახვილაძისა, მინადორა ტოროშვილიძე და ქრისტინე შარაშიძე (ყველა სოციალ-დემოკრატი).

ეროვნული საკრებულოს დეპუტატები გახდნენ ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლობი: ნიკო ნიკოლაძე, გერონტი ქიქოძე, ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი გგაზავა (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისაგან), შალვა ნუცუბიძე, შალვა ალექსი-მესხიშვილი, სამხრეთ ფირცხალავა (სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიისაგან) ლეო შენგელაია (ქიაჩელი), გრიგორ ნათაძე (სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიისაგან) და სხვა.

აქ არ შევუდგები იმ მიზეზებზე საუბარს, რომელთაც დამფუძნებელი კრების არჩევნებში სოციალ-დემოკრატების შთამბეჭდავი გამარჯვება განაპირობეს (ეს, ალბათ, ცალკე საუბრის თემაა), მაგრამ დავსძენ, რომ ოპოზიცია მთელ რიგ ბრალდებებს უყენებდა პარლამენტში მმართველ პარტიად ქცეულ სოციალ-დემოკრატებს. და მაინც, ყოველივეს მიუხედავად, შექმნილ ვითარებას, კუიქრობ, სწორედ ასახავდა სოციალისტ-ფედერალისტური მიმართულების გაზეთი „სახალხო საქმე“. იგი წერდა: „წარსულ არჩევნებში, ეჭვს გარეშეა, ადმინისტრაციის გავლენას და ხშირად ძალდატანებასაც ჰქონდა ადგილი. კანონის დარღვევაზე ხომ ლაპარაკიც მეტია, ბევრი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს, მაგრამ ყველაფერი რომ რიგზე და წესირად ყოფილიყო, არჩევნების შედეგი დახსლოებით მაინც ასეთი იქნებოდა და საქართველოს დამფუძნებელ კრებაში უმეტესობა მაინც სოციალ-დემოკრატებს ეყოლებოდათ... შეიძლება ოცი, ოცდახუთი ად-



გილი კიდევ მოკლებოდა მათ დეუტატების რეცხვების და
ეს ხომ არსებითად უერ შესცელიდა დამფუძნებელი
კრების ძალთა განწყობილებას... ასეთია სინამდვილე
ჩვენი ცხოვრებისა" („სახალხო საქმე", 1919 წ., 19 მარ-
ტი).

დამფუძნებელი კრების სხდომებზე შესასვლელი
ბილეთებით დასწრება შეეძლოთ ფართო საზოგადოებრი-
ობის წარმომადგენლებს, მათთვის 500 ადგილზე მეტი
იყო დათმობილი. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო და-
მფუძნებელი კრების პირველი სხდომა (სხვათა შორის,
იგი ფირზე აღუბეჭდავს კინორეჟისორ გ. გოგიტიძეს),
რომელიც 1919 წლის 12 მარტს გაიხსნა. დარბაზის შუ-
აში ისხდნენ სოციალ-დემოკრატები, მათგან მარჯვნივ
ეროვნულ-დემოკრატები, ხოლო მარცხნივ სოციალისტ-
ფედერალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერი დეპუ-
ტატები. კრებას დაესწრნენ ინგლისის, საფრანგეთის,
ამერიკის შეერთებული შტატების, შვეიცარიის, ესპანე-
თის, ნიდერლანდების, საბერძნეთის, პოლონეთის, სპარ-
სეთის, ჩეხეთსლოვაკიის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ლი-
ბვის, უკრაინის, და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენ-
ლები.

რეგლამენტის თანახმად სხდომა გახსნა უხუცესმა
დეპუტატები სილიბისტრო ჯიბლაძემ, მდივნობა დეპუტატ-
თაგან ყველაზე ახალგაზრდა გოგიტა ფალავას დაეკის-
რა.

პირველსავე სხდომაზე აირჩიეს დამფუძნებელი
კრების თავმჯდომარე და მისი სამი ამხანაგი (მოადგი-
ლე). კრებამ მოისმინა და ერთხმად მიიღო საქართვე-
ლოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელსაც პირველებმა
ხელი მოაწერეს მთავრობის წევრებმა, შემდეგ კი ყველა
დამსწრე დეპუტატმა.

დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა საქართველოს
რესპუბლიკის ახალი კაბინეტი, აირჩია 4 მუდმივი კომი-
სია: სარედაქციო, სარეგლამენტო, საკონსტიტუციო, სა-
ფინანსო-საბიუჯეტო და 11 კომისია: შრომის, თეითმშარ-
თველობის, აგრარული, განათლების, ჯანმრთელობის,



სამხედრო, იურიდიული, გზათა, ხელოვნების, სამეცნიერო
და საბიბლიოთეკო.

დამფუძნებელი კრება არჩევისთანავე შეუდგა საქართველოს
თო კანონშემოქმედებით საქმიანობას. ამ საქმიანობის
შედეგებზე მკითხველს სრულ წარმოდგენას შეუქმნის
„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართ-
ლებრივი აქტების კრებული. 1918-1921”, რომელიც ამ ბო-
ლო დროს ცალკე წიგნად გამოიცა.

დამფუძნებელი კრება ქართველი ერის უზენაეს ნე-
ბას, ინტერესებსა და მისწრაფებებს გამოხატავდა. „საქა-
რთველოს ცნობიერების გვირგვინი” - ასე უწოდებდა
დამფუძნებელ კრებას შალვა ნუცუბიძე, თავად ერთი
უთვალსაჩინოები წევრი ამ ეროვნული საკრებულოსი.

„მე არ ვიტყვი, რომ საქართველოს ერის უზენაესი
ორგანო, მისი დამფუძნებელი კრება, უნაკლოა, მისი სი-
სწორით დაფასება პირუთვენელი ისტორიის საქმეა”, -
აღნიშნავდა დამფუძნებელი კრების ერთი წლისთავზე
აღექსანდრე ლომთათიძე.

მართლაც, საქართველოს დამფუძნებელი კრების
საქმიანობა გულდასმით და გამოწვლილვით შესწავლას
მოითხოვს. ეს საქმე ერთობ საშურიცაა, რადგან მას
არა მარტო შემეცნებითი, არამედ პრაქტიკული დანიშნუ-
ლებაც ექნება. დამფუძნებელი კრების მდიდარი გამოც-
დილება, ვფიქრობ, სასიკეთოდ წაადგება მის კანონიერ
მემკვიდრეს -საქართველოს დღევანდელ პარლამენტს.

„ახალგაზრდა იურიელი”,
23 მარტი, 1991 წელი.

საქართველოს დამფუძნებელი კრება დამატებული ბოლშევიკები



„14, 15 და 16 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებით! - იუწყებოდნენ დამოუკიდებელი რესპუბლიკის განხეთები 1919 წლის დასაწყისიდანვე.

„მოქალაქენო! ამ დღეს უნდა გადასწყდეს საქართველოს ბედი! თქვენ თვითონ უნდა გამოსცედოთ იგი!

საქართველოს ერთი დიდი მტრითაგანი იქნება არჩევნებისადმი გულცივობა!... არჩევნების დღეებში არც ერთი არ დარჩეთ შინ! უკეთესი მიაშურეთ საარჩევნო ყუთებს! არც ერთმა არ დაპარგოთ ხმა!“- მოუწოდებლა ქართული პრესა.

მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა დამფუძნებელი კრების დებულება შეიმუშავა, საქართველოში ფართო სამზადისი გაიშალა საყოველთაო არჩევნების გზით ახალი ეროვნული საკრებულოს მოსაწვევად. საზოგადოებამ ცხოველი ინტერესი გამოავლინა დამფუძნებელი კრების მიმართ, რომლის ამოცანას ქართული სახელმწიფოებრიობის მტკიცე ნიადაგზე დამკვიდრება და მომავლის პროგრამის შემუშავება შეადგენდა. „ხალხი ძლიერ ადგიროვანებით ხვდება არჩევნების სამზადისს, ეტყობა, რომ... ძლიერია ინტერესი დამფუძნებელი კრების არჩევნებისადმი“, - წერდა გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.

გააქტიურდნენ პოლიტიკური ორგანიზაციები და საზოგადოებები, რომლებიც ფართოდ ჩაებნენ საარჩევნო კამპანიაში. არჩევნები პირდაპირ, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული სისტემით ტარდებოდა. ასარჩევი იყო 130 დეპუტატი. დემოკრატიული საარჩევნო დებულება საშუალებას იძლეოდა საქართველოში არსებულ პოლიტიკურ პარტიებს, ორგანიზაციებს, ჯგუფებსა და კავშირებს წამოეყენებინათ თავიანთი კანდიდატები თუნდაც შველა ადგილზე. თითოეული პარტიის კანდიდატთა სიას თავისი ნომერი პქონდა მიკუთვნებული.

დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობა
მიიღო (თავისი კანდიდატები წარადგინა) 15-მა პარტიაში გავშირდა და სხვა გაერთიანებამ. კანდიდატთა საპარტიო გნო სიები წარმოდგენილი იყო შემდეგი ნუმერაციით:
№1 - საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია,
№2 - საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია,
№3 - საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია,
№4 - დაშნაკუთიუნი, №5 - საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, №6 - მუსულმანთა ეროვნული საბჭო, №7 - საქართველოს რადიკალ-დემოკრატების პარტია, №8 საქართველოს ეროვნული პარტია,
№9 - მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვილთა პარტია, №10 - შოთა რუსთაველის ჯგუფი, №11 - დამოუკიდებელი (უპარტიო) კაგშირი, №12 - ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებ მუსულმანთა ჯგუფი, №13 - რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, №14 - ქსოვების ლიგა პატრიოტებისა და №15 - საქართველოს ელინთა დემოკრატიული ჯგუფი.

ქართულ, რუსულ, თაორულ და სომხურ ენებზე შედგენილი თხუთმეტივე სია გამოქვეყნდა პრესაში და არჩევნებამდე ორი კვირით ადრე გამოიკრა დამფუძნებელი კრების ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბიუროში, რომელიც მოთავსებული იყო გოლოვინის პროსპექტზე მირიმანოვის სახლში.

როგორც ვხედავთ, დეპუტატობის კანდიდატთა პოლიტიკური და ეროვნული სპექტრი მართლაც რომ ფართოა. აქ არის საქართველოში იმხანად მოქმედი თითოეულის უკელა მეტნაკლებად გავლენიანი ძალა. არ ჩანან მხოლოდ ბოლშევიკები.

საქართველოს ბოლშევიკებს დამფუძნებელი კრების არჩევნების მომენტში თავიანთი დამოუკიდებელი პარტია არ გააჩნდათ, მაგრამ ჰქონდათ რამდენიმე საქალაქო და საოლქო ორგანიზაცია, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ რუსეთის კომუნისტურ პარტიაში (ბოლშევიკებისა). აქვე უნდა ითქვას, რომ ორგანიზაციულ მხარეს ბოლშევიკებისათვის არ შეუშლია ხელი მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში. საქართველოს ბოლშევიკებმა დამ-



ფუძნებელ კრებაში მონაწილეობის მიღებაზე თვალი თქვეს პრინციპული მოსაზრებების გამო. საქმე ისაკ, რომ ისინი არ სცნობდნენ დამოუკიდებელ საქართველოს და არც მისი მთავრობის მიერ მოწყობილი არჩევნები მიაჩნდათ კანონიერად. ამიტომ ცენტრის მითითებების შესაბამისად ბოლშევიკებმა არჩევნების ჩაშლა გადაწყვიტეს და ბოიკოტის ტაქტიკას მიმართეს.

ბოიკოტი მათი ნაცადი ტაქტიკა იყო ჯერ კიდევ პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროიდან. მართალია, შემდეგ ლენინმა აღიარა, რომ ეს შეცდომა იყო, მაგრამ ბოიკოტის იდეა ბოლშევიკებს არ დავიწყნიათ.

როგორც ითქვა, 1919 წლისათვის საქართველოს ბოლშევიკებს ცალკე პარტია არ ჰქონიათ. აქაური ბოლშევიკური ორგანიზაციები ეგვემდებარებოდნენ პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტს, ეს უკანასკნელი კი რკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტს. სამხარეო კომიტეტს ბინა იმ დროისათვის თბილისში ედო და თვით კომიტეტში წამყვან როლს ქართველი ბოლშევიკები ასრულებდნენ. მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ. ბოლშევიკები გადაჭრით დაუპირისპირდნენ დამფუძნებელ კრებას და შეეცადნენ მიემხროთ ფართო მასები არჩევნების ჩასაშლელად. 1919 წ. ოქტომბერვალში კავკასიის სამხარეო კომიტეტმა შემდეგი მოწოდება გამოაქვეყნა: „მენშევიკები და ყველა ჯურის ნაციონალისტები აპირებენ კელავ მოატყუონ ხალხი, იწევენ რა დამფუძნებელ კრებას საყოველთაო არჩევნების გზით...“

წევნი პარტია, მუშების, დარიბი გლეხობის, ჯარისკაცებისა და ყველა პატიოსან მშრომელთა პარტია გამოდის წინააღმდეგ ასეთი კრებისა და იმგვარი არჩევნებისა, რომლის შემწეობით მენშევიკებს, ყველა კაციჭამია ნაციონალისტებსა და გაქსუებულთა პარტიას განზრახული აქვთ კელავ მოატყუონ ხალხი. ისინი აპირებენ სამუდამოდ მოსწყვიტონ წევნი ქვეყანა რევოლუციურ რუსეთის მუშებს, გლეხებსა და წითელარმიელებს და გადაჭიონ იგი გაზუდუქებულ ქართველთა მამუ-



დად. ამიტომაც ჩვენი პარტია არ იდებს არავითარ მონაწილეობას ამგვარ არჩევნებში, უცხადებს ბოიკოტის ციონისტურ დამფუძნებელ კრებას და მოუწოდებს ყველას არ მიიღონ მონაწილეობა მენშევიკებისა და სხვა ნაციონალისტების მატყუარა საქმეებში...

გაუმარჯოს ბოიკოტი! (ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საქართველოში, დოკუმენტზე დი და მასალები, თბ., 1958, გვ. 379-380, რუსულ ენაზე).

არ დააყოვნა არც ბოლშევიკების სოხუმის საოლქო კომიტეტმა, რომელმაც ასეთი შინაარსის პროკლამაცია გაავრცელა: "არც ერთი ხმა არ უნდა მისცეთ თქვენ აფხაზეთის მშრომელებო დამფუძნებელი კრების არჩევნებში!...

ძირს დამფუძნებელი კრება!

სრული ბოიკოტი არჩევნებს!

გაუმარჯოს რუსეთის კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისა! (იქვე, გვ. 669).

ბოლშევიკების ბოიკოტის ტაქტიკამ შედეგი ვერ გამოიღო. საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები წარმატებით ჩატარდა. არჩევნებში უველაზე მეტი - 109 მანდატი, სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს. 8-8 დეპუტატი გაიყვანეს ეროვნულ-დემოკრატიულმა და სოციალისტ-ფედერალისტურმა პარტიებმა, 5 ადგილი სოციალისტ-რევოლუციონერებს ერგოთ (დამფუძნებელი კრების დამატებით არჩევნებს პოლიტიკურ ძალათა განლაგებაში ცვლილება არ შეუტანია, სოციალ-დემოკრატებმა მხოლოდ სამი ადგილი დაპრარებეს).

საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა 1919 წ. 12 მარტს გაიხსნა მეფისნაცვლის ყოფილ სასახლეში, რომელიც ამ დღისთვის საგანგებოდ გადააქცეულ.

კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნიკოლოზ (ქარლო) ჩხეიძე, ხოლო მის უფროს ამხანაგად (მოადგილედ) - ალექსანდრე ლომთათიძე (ორივე სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი). თავმჯდომარის ამხანაგად არჩეულ იქნენ ექვთიმე თაყაიშვილი (ეროვნულ-დემოკრატი) და სიმონ მდივანი (სოციალისტ-ფედერალისტი).



დამფუძნებელი კრების პირველივე სხდომამ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელსაც მოაწერა კრების ყველა დამსწრე დეპუტატმა.

დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ახალი კაბინეტი, რომლის შემადგენლობა წმინდა ერთპარტიული - სოციალ-ედმოკავშირის მინისტრის მინისტრი იყო. სხვა პოლიტიკურმა პარტიებმა, რომელთაც დამფუძნებელ კრებაში თავიანთი დეპუტატები ჰყავდათ, საპარლამენტო ოპოზიცია შეადგინეს.

საქართველოს დამფუძნებელი კრება შეუდგა საკანონმდებლო მუშაობას ახალი, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს დასამკიდრებლად.

დამფუძნებელმა კრებამ 1919 წ. 27 მაისს მიიღო კანონი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეობისა, რასაც არსებითი მნიშვნელობა პქონდა. მაგრამ განსაკუთრებით ფასეული იყო სახელმწიფოს კანონის - კონსტიტუციის შემუშავება და მიუზენავები კანონის - კონსტიტუციის შემუშავება და მამფუძებელმა კრებამ ჯერ კიდევ 1919 წ. მარტში შექმნა საკონსტიტუციო კომისია სოციალ-დემოკრატ პავლე საყვარელიძის თავმჯდომარეობით. კომისია 15 წევრისაგან შედგებოდა და მასში დამფუძნებელ კრებაში გაერთიანებული ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი ნებელი ყველა კონსტიტუციის პროექტი ერთი წლის მონაწილეობდა. კონსტიტუციის პროექტი გროვი განხილვა დამფუძნებელი კრების წევრებს დაურიგდათ. განხილვა დამფუძნებელი კრების წევრებს დარღვევით გასტანა. 1920 წ. 14 ივნისს დაიწყო და რამდენიმე თვეს გასტანა.

1921 წ. 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა ეროვნული კონსტიტუცია, რომლითაც საქართველო თავისუფალ, დამოუკიდებელ და განუყოფელ საკულტურულ თავისუფალ, დამოუკიდებელ და განუყოფელ სახელმწიფოდ - დემოკრატიულ რესპუბლიკად ცხადდებოს. სახელმწიფო დროშად დამტკიცებულ იქნა შვინდისა. სახელმწიფო დროშა შავ-თეთრი ზოლით, სახელმწიფო გერბად ფერი დროშა შავ-თეთრი ზოლით, სახელმწიფო გერბის ცხენოსანი თეთრი გიორგი, შვიდი მნათობითურთ.

სამწუხაროდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციას დიდხანს არ უმოქმედია. 1921 წ. 25 თებერვალს თბილისი რუსეთის XI წითელი არმიის

ნაწილებმა დაიკავეს, რომლებმაც კომუნდანტის საათის /
დაწესების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცავა
დეს. მეორე დღეს დედაქალაქში ახალი ხელისუფლებისა
- საქართველოს რევკომი შემოვიდა.

საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრთა უმ-
რავლესობა და ქვეყნის კანონიერი მთავრობა დასავლეთ
საქართველოში გადავიდა და ჯერ ქუთაისში, შემდეგ კი
ბათუმში შეჩერდა. დამფუძნებელი კრების უკანასკნელი
სხდომა ბათუმში გაიმართა, მალე საბჭოთა ხელისუფ-
ლება მთელ საქართველოში დამკვიდრდა. დამოუკიდებე-
ლი საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა ემიგ-
რაციაში გამგზავრებულიყო. მასთან ერთად უცხოეთს
მიაშურა დამფუძნებელი კრების წევრთა ერთმა ნაწილ-
მაც. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არსე-
ბობა შეწყვიტა. ხელისუფლება წითელი არმიის მეთაუ-
რთა და საქართველოს რევკომის ხელში გადავიდა.

მართალია, ქართველმა ბოლშევიკებმა ვერ შეს-
ძლეს დამფუძნებელი კრების ბოიკოტით ჩაშლა, მაგრამ
საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ამ ეროვნულ საკრე-
ბულოს განაჩენი მაინც მათ გამოუტანეს. 1921 წ. 24
მარტს გამოქვეყნდა რევკომის შემდეგი დეკრეტი: „საქარ-
თველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევო-
ლუციურ კომიტეტის ამა 1921 წლის მარტს 24-ს დადგე-
ნილების თანახმად საქართველოს დამფუძნებელი კრება
დათხოვნილია.

საქ. სსრ. რევ. კომ. თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

რევ. კომიტეტის მდივანი შ. გაბრიელიძე (მთამბე ში-
ნაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, 1921 წ., №1,
გვ. 4; შდრ. „კომუნისტი“, 1921 წლის 27 მარტი).

რევოლუციური კომიტეტის 1921 წ. 15 მაისის დექ-
ტებით გაუქმებულ იქნა დემოკრატიული საქართველოს
სახელმწიფო გერბი და ეროვნული დროშაც („პრავდა
გრუზიი“, 1921 წ., 20 მაისი).

„ახალგაზრდა იურიელი“,
1990 წ., 20 მარტი.

საქართველოს შესაძლოა გერმანელი მეცნ პულიდა

1914 წლის ადრეული შემოდგომის თბილი საღამოა. ბერლინის უმთავრესი ქუჩის ცაცხვების ხეივანს (უნტერ დენ ლინდენ) ჩაფიქრებული, შავ ფრაგში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი მიუყვება. უკვე რამდენიმე კვირაა, რაც ევროპაში დიდი ომის ხანძარი მძვინვარებს, თუმცა დინჯად მიმავალ ფრაქოსანს ამ მოენტში არავიარი საფრთხე არ ემუქრება. ბერლინი შორსაა ფრონტისაგან. პირადი დაცვა მაინც სიფრთხილეს ამჯობინებს; წინ მიმავალს ფიქრთა დინება რომ არ დაურღვიოს, რამდენიმე ნაბიჯზე ფეხაკრეფით მიყვება სამი შეიარაღებული მცველი. უბრალო საქმე ხომ არ არის, სასეირნოდ გამოსული ახალგაზრდა ფრაქოსანი გერმანიის იმპერატორის, კაიზერ ვილჰელმ მეორის მემკვიდრე, პრინცი იოაკიმ პოპენცოლერი გახლავთ. იგი ჯერ მხოლოდ 24 წლისაა. მამამ სწორედ დღეს გაუმხილა დიდი საიდუმლო: იოაკიმი შორეულ კავკასიაში მდებარე პატარა საქართველოს მეცნ უნდა გახდეს, მას შემდეგ, რაც ამ მიწა-წყლიდან ფეხს ამოუკვეთებ დამარცხებულ რუსეთს. სწორედ ამ საკითხზე ფიქრით მიუყვება პრინცი ლამპიონებით განათებულ ხეივანს.

იოაკიმს საქართველოზე დღემდე საერთოდ არაფერი სმენია, ხვალ კი შესაძლოა მას ამ ქვეყნის მეფობა ხედეს...

ქართულ-გერმანულ ურთიერთობებს საკუთარი ისტორია აქვს. გერმანიის პოლიტიკური დაინტერესება საქართველოთი, რაც გამოწეული იყო უმთავრესად ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული აღილმდებარეობით და გარკვეულწილად წიაღისეული სიმდიდრით, პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდს ემთხვევა. დიდი ომისათვის მზადებისას კაიზერის მთავრობის თვალთახედვის არეში მოექცა ამიერკავკასია, კერძოდ კი საქართველო. გერმანიის საიმპერატორო კარი კარგად იცნობდა თავის მო-



წინააღმდეგე დაჯგუფების სახელმწიფოთა, მათ შორის რუსეთის შინა ცხოვრების სირთულეებს. მისთვის პრინციპი იყო ის გარემოება, რომ ცარიზმის უღელტეს მოქცეულ არა რუს ხალხებში იგრძნობოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი. მოძრაობის ყრუ დრტვინვა. ამ მხრივ საქართველო სხვებზე მეტად გამოირჩეოდა.

რუსეთის სახელმწიფოებრივ მთლიანობაში ბზარის შეტანისა და ამ ქვეყნის სამხედრო ძლიერების შესუსტების მიზნით გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მთავარ შტაბში მომზადდა გეგმა. იგი ითვალისწინებდა დაპყრობილ მცირე ერთა შხარდაჭერას თვითმყრობელობის ჩაგვრისაგან თავდასაღწევად გაშლილ მოძრაობაში და ამ გზით პოლონეთის, უკრაინისა და კავკასიის ჩამოშორებას რომანოვთა იმპერიისაგან. ეს გეგმა მოიწონა რაიხსკანცლერმა ბეთმან პოლვეგმა და თვით კილპელმ მეორემაც.

კავკასიაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საქართველოს. დაისვა საქითხი მისი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ. მაგრამ გერმანიის სახელისუფლო წრეები თავისით ვერ შეძლებდნენ ამ საქითხის მოგვარებას. საჭირო იყო თვით საქართველოში მონახულიყო ამ იდეის მატარებელი პოლიტიკური ძალა, ან ჯგუფი, რომელზედაც დაყრდნობით გაიშლებოდა მუშაობა. კაიზერის შესაბამის უწყებებს დიდი ძებნა არ დასჭირვებიათ, ქართველებმა თავად მიაკითხეს გერმანელებს.

ცნობილია, რომ 1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდგომ ქვეყანაში გამეფებული რეაქციის სუსტი განსაკუთრებული სიმძაფრით თავს დაატყდა იმპერიის განაპირა ნაციონალურ შხარეებს. გადასახლებისა და საპყრობილეთა შიშით ბევრი მოდვაწე იძულებული გახდა სამშობლოს გასცლოდა და თავშესაფარი ცცხოვთში ეძია. მათი უმრავლესობა შვეიცარიას შევხიზნა. ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დიდმა ნაწილმაც აქ მოიყარა თავი. ქართველთა უმთავრეს სამოქმედო ცენტრად შენევა იქცა. სწორედ ამ ქალაქში 1910 წელს ჩამოყალიბდა ორგანიზაცია სახელწოდებით „თავისუფალი საქართველოს ჯგუფი“. მისი სულისჩამდგმე-



ლნი იყვნენ პეტრე სურგულაძე და მმები გიორგი გურგაშვილი და კერესელიძეები. ჯგუფი მიზნად ისახავდა წაქართველოს სრულ ჩამოშორებას რუსეთის იმპერიისაგან და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას. რუსეთის პოლიციის დეპარტამენტის ცნობით, უკრევის ჯგუფთან დაკავშირებული იყვნენ მიხაელ წერეთელი, ვარლამ ჩერქეზიშვილი, გერონტი ქიქოძე და ალექსანდრე (სანდორ) შანშიაშვილი. ჯგუფმა დაიწყო საკუთარი ურნალის - „თავისუფალი საქართველოს“ გამოცემა, ამასთან დაბეჭდა და გაავრცელა რამდენიმე მოწოდება. ჯგუფის წევრები ასაბუთებდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საჭიროებას და აუცილებლობას.

უნიკელებს საქართველოშიც ჟყავდათ თანამოაზრები და მიმდევარნი. ისინი უმთავრესად გაერთიანებულნი იყვნენ ურნალ „პლდის“ გარშემო. „პლდის“ გამომცემები და პუბლიცისტები გამსჭვალულნი იყვნენ საქართველოს თავისუფლების იდეით, მაგრამ ამ ნიადაგზე პრაქტიკული საქმიანობის გაშლას ნაკლებად ახერხებდნენ. ამას მთელი თავისი შესაძლებლობებით (ჟანდარმერია, პოლიცია, ცენზურა) წინ ეღობებოდა ჯერ კიდევ ფეხზე მყარად მდგომი ცარიზმი. არანაკლებ წინაღობას წარმოადგენდა ის საერთო ატმოსფეროც, რომელსაც ამგვარი სულისკეთების საპირისპიროდ, რუსეთის განუყოფლობის მხარდასაჭერად ამკვიდრებდა ჩვენში უველაზე გავლენიანი პარტია სოციალ-დემოკრატებისა.

„თავისუფალი საქართველოს ჯგუფს“ განზრახული პქონდა საქართველოში მოღვაწე თავის თანამოაზრებთან ერთად მოეწვია კონფერენცია საერთო მუშაობის შემდგომი გეგმისა და პროგრამის შესადგენად. მაგრამ ეს განზრახვა ვერ განხორციელდა. დაწყებულმა მსოფლიო ომმა ქართველ მოღვაწეებს ასეთი შეკრების საშუალება აღარ მისცათ. მეტიც, ომმა ქართული პოლიტიკური ემიგრაცია საერთოდ მოსწყვიტა სამშობლოს. ახლა მათ დამოუკიდებლად, საკუთრივ უნდა აერჩიათ სამომავლო საქმიანობის გზა.



მსოფლიო ომმა სათანადო კორექტივები შეიტანა
ქართველ პატრიოტთა გეგმებში. საქართველოს დამოუკიდებლობის იმედი ახლა ამ ომს დაუკავშირდა.

1914 წლის შემოდგომაზე „თავისუფალი საქართველოს ჯგუფმა“ ენეგვაში შექმნა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“. მას სათავეში პეტრე სურგულაძე ედგა. კომიტეტი მის გარდა თავდაპირველად შედიოდნენ ნესტორ მაღალაშვილი, გიორგი და ლეო კერესელიძეები. კომიტეტის წევრები ბევრს ფიქრობდნენ, ეძიებდნენ პრაქტიკული მოქმედების გზებს, განიხილავდნენ სხვადასხვა ვარიანტებს. დიდი ბჭობის შემდგომ გაზიარებულ იქნა ლ. კერესელიძის წინადაღება, რომლის არსი შემდეგში მდგომარეობდა: კომიტეტს უნდა მიეკო გერმანიის ორიენტაცია და საქართველოს განთავისუფლების საქმეში ხელშეწყობა გერმანიის მთავრობისთვის ეთხოვა. პირველი ნაბიჯიც ლ. კერესელიძემ გადადგა. შეეიცარის ყოფილი პრეზიდენტის ა. ლაშენალის დახმარებით მან მოლაპარაკება გამართა გერმანიის შეეიცარიელ კლჩთან. მალე დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები ენევიდან ბერლინში გადავიდნენ. მათ მჰიდრო კავშირი დაამყარეს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, სადაც საქართველოს საკითხზე მუშაობა მინდობილი პქონდათ სამინისტროს მრჩეველს რუდოლფ ნადოლნსა და გენერაბის პოლიტიკური სექციის უფროსს ოტო გიუნთერ ფონ ვეზენდოკს. მოლაპარაკების შემდგომ გერმანიის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა მიიღეს კომიტეტის წინადაღება. აქედან მოკიდებული კომიტეტის საქმიანობა მთლიანად გერმანულმა მხარემ დააფინანსა.

როგორც ვნახეთ, ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა და გერმანიის სამთავრობო წრეების ინტერესები რუსეთისაგან საქართველოს ჩამოცილების საკითხში გარკვეულწილად ერთმანეთს დაემთხვა. ამან შემდგომი მუშაობა უფრო გაადვილა და დააჩქარა კიდეც. მალე დადგბულ იქნა ხელშეკრულება გერმანიის მთავრობასა და საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს შორის. ხელშეკრულების ძალით გერმანია თანხმობას აცხადებ-

და ეცნო საქართველოს სუვერენიბა, თუ ომში კანტია-
ლური სახელმწიფოები გაიმარჯვებდნენ და საქართველოს
მიეცემოდა შესაძლებლობა დამოუკიდებლობის უა-
მოცხადებისა. სამწუხაროდ, ზუსტი შინაარსი შეთანხმე-
ბისა ჩვენთვის უცნობია, რადგან ეს ხელშეკრულება
ჯერჯერობით მიკვლეული არ არის.

გერმანიის საიმპერატორო ქართან დაკავშირების
აზრი ჟენევაში ჩამოყალიბებულ დამოუკიდებლობის კო-
მიტეტის წევრთაგან დამოუკიდებლად დაებადა ბელგია-
ში მყოფ გიორგი მაჩაბელსაც.

გიორგი მაჩაბელი იყო ივანე მაჩაბლის უფროსი
ძმის შვილი. მან საშუალო განათლება თბილისის სათა-
ვადაზნაურო გიმნაზიაში მიიღო, ხოლო შემდგომ გერმა-
ნიაში გაემგზავრა და სწავლა ბერლინის სამთამადნო
აკადემიის გეოლოგიურ ფაკულტეტზე განაგრძო. ამ სას-
წავლებლის პროფესორთა დიდი ნაწილი და სტუდენტე-
ბი გაერთიანებული იყვნენ ტევტონური ორდენის წრეში.
როგორც გ. მაჩაბლის სტუდენტობის ამხანაგი დ. ლოლ-
ბერიძე იგონებს, გ. მაჩაბელიც ამ წრის წევრი იყო და
ბევრ გერმანელთანაც მეგობრობდა. „იქიდან გაიჩინა მან
ნაცნობობა, რომელიც გამოადგა ჩვენი დამოუკიდებლო-
ბისათვის”.

ამასევ ადასტურებს გენერალი შალვა მაღლაკუ-
ლიძე. მისი სიტყვით, „გიორგი კარგი წარმოსადეგი ქა-
ცი იყო. თავადის გვარი პქონდა და გაერია პრინცებში,
როგორც „ფიურსტი”... თავისი ლირსებით ყოველი მხრივ
და მოხერხებით დაუახლოვდა გიორგი პრინცებს, ახალ-
გაზრდა პოპენცოლერნებს, ვიტენბახებს (უნდა იყოს ვი-
ტელსბახები, - ო. ჯ.) ბავარიისა, დამეგობრდა მათთან”.

ომის დაწყებისას, როგორც ითქვა, გ. მაჩაბელი ბე-
ლგიაში იმყოფებოდა. ეს ქვეყანა მალე გერმანელთა მი-
ერ იქნა დაკავებული. გ. მაჩაბელი დაუკავშირდა ბელგი-
ის გერმანელ გუბერნატორს, ფელდმარშალ ფონ
გოლცს, რომელსაც საკუთარი გეგმა გააცნო. გუბერნა-
ტორმა მოიწონა მაჩაბლის იდეა და ხელი შეუწყო ქა-
რთველ მოღვაწეს გერმანიაში გასამგზავრებლად.



გ. მაჩაბელი მ. წერეთელთან ერთად ეწვია გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს. მოღაპარაკება ეხებოდა დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ შემუშავებული და დადგენილი გეგმის განხორციელების საკითხებს. გ. მაჩაბელის წინადადებით გეგმის ზოგიერთი დეტალი კიდევ უფრო დაკონკრეტდა. სახელდობრ, განთავისუფლების შემდგომ საქართველო უნდა გამხდარიყო მონარქია, რომელიმე გერმანელი პრინცი სათავეში. საქართველოს ტახტზე დასმული პრინცი შეირთავდა ქართველ ქალს და ასე დაიწყებოდა ახალი სამეფო დინასტია.

ეს არ იყო უჩვეულო მოვლენა. მსოფლიო ისტორია იცნობს ამგვარ შემთხვევებს. მაგალითად 1831 წელს საბერძნეთის მეფე გახდა ბავარიის პრინცი ოტონი (ვიტელსბახი), თვით გერმანიის იმპერატორთა გვარის-პოპულურნების სინამდვილეშიც მომხდარა მსგავსი რამ. ეს დინასტია ერთ-ერთი უძველესი გერმანული წარჩინებული საგვარეოულოა. იგი სათავეს შვაბიის საგრაფოში იღებს. XIII საუკუნის 20-იან წლებში გაიყო ორ განშტოებად - შვაბიისა და ფრანკონიის. ამ უკანასკნელთაგან მომდინარეობს ბრანდებურგის კურფიურსტების (XV ს-დან), პრუსიის მეფეების (XVIII ს. დასაწყისიდან) და გერმანიის იმპერატორების (1871-1918 წწ.) დინასტია. შვაბიის ხაზის წარმომადგენლებს - პოპულურერნ-ზიგმარინგებს 1866-1947 წწ. ეჭირათ რუმინეთის ტახტი (მათი შთამომავალი იყო რუმინეთის უკანასკნელი მეფე მიხაი I).

გერმანიის იმპერატორს ვილჰელმ II და მის მეუღლეს შლეზვიგ-ჰოლშტინიის პრინცესა ავგუსტა-ვიქტორიას 6 ვაჟი შვილი ჰყავდათ: კრონპრინცი (ტახტის მემკვიდრე) ვილჰელმი, პრინცები: ეიტელ-ფრიდრიხი, ადალბერტი, ავგუსტ-ვილჰელმი, ოსკარი და იოაკიმი (დაიბადა 1890 წელს). საქართველოში გასამეფებლად არჩევანი უმცროს პრინცზე, იოაკიმზე შეჩერდა. ქართველებს პრინცის სახელის გაქართულებაზეც უზრუნიათ და იოაკიმის ქართულ შესატყვისად იაკინთე შეურჩევიათ. რაც შეეხება დედოფალს, იგი უნდა გამხდარიყო გ. მაჩა-



ბლის ახლო ნათესავი, მიხეილ მაჩაბლის ქალიშვილი მარინე. მიხეილ (მიშო) მაჩაბელი საქართველოში გადა-
რგად ცნობილი პიროვნება იყო. ახლო ურთიერთობა
პქონდა იღია ჭავჭავაძესთან. იგი სათავეში ედგა ქა-
რთულ საქველმოქმედო საზოგადოებას, რომელიც თანა-
მედროვეთა სიტყვით, საქართველოს ფარულ, კოალიცი-
ურ მთავრობას წარმოადგენდა, განსაკუთრებით I მსოფ-
ლიო ომის პერიოდში. გ. მაჩაბელი იყო აგრეთვე შემდე-
გში შექმნილი საქართველოს ეროვნული საბჭოსა და
პარლამენტის წევრი.

კაიხერის კარზე სერიოზულად მოექიდნენ საქართ-
ველოს საკითხს. განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს
პრინცებმა. იმპერატორის სასახლის წრეებთან დაკავში-
რებული იყო ქართველი თავადი ანდრონიკაშვილი, რო-
მელიც ხშირად სტუმრობდა კრონპრინცის ოჯახში. მისი
გადმოცემით, ვილჰელმის შვილებმა კარგად შეისწავლეს
აღნიშნული საკითხი. ტახტის მემკვიდრის სასახლეში
საქართველოს დიდი რუკაც კი ეკიდა თურმე.

გერმანიის ხელშეწყობით საქართველოს განთავისუ-
ფლების კომიტეტის წევრებმა ოსმალეთის ტერიტორიაზე
ჩამოაყალიბეს ქართული სამხედრო შენაერთი, რომე-
ლსაც თურქეთის არმიასთან ერთად მონაწილეობა უნდა
მიეღო რუსეთის წინააღმდეგ საომარ ოპერაციებში. შე-
ნაერთში, რომელსაც საარქივო დოკუმენტებში ლეგიონი
ეწოდება, უნდა შესულიყვნენ გერმანიასა და ავსტრიაში
მყოფი ქართველი სამხედრო ტყვეები. კომიტეტის წევრე-
ბმა გააჩადეს ფართო პროპაგანდა თავიანთი გეგმის ხო-
რცშესხმის მიზნით. ისინი მიდიოდნენ ტყვეთა ბანაკებში
და ქართველ ჯარისკაცებსა და ოფიცერებს მოუწოდე-
ბდნენ ჩაწერილიყვნენ „თავისუფლების ლეგიონში“. ერთი
ცნობის თანახმად, ამ საქმეში გერმანიის ტახტის მემკ-
ვიდრე და დედოფალიც ყოფილან ჩაბმულნი. ხოლო შე-
მაღლაკელიძის მოწმობით, საქართველოს მეფედ შერჩეუ-
ლი პრინცი ითავიმი ტრაპიზონშიც კი ჩასულა, სადაც
ქართული ლეგიონი იყო დაბანაკებული.

ცნობილია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის
გამოცხადების საქმეში გერმანიამ მართლაც მნიშვნელო-



ვანი როლი შეასრულა, მაგრამ ვილპელმ მეორეს ადრინდების ნდელი წინადაღება საქართველოში მონარქიის აღდგმზე შესახებ რატომლაც აღარ წამოუყენებია. საქართველოს ეროვნულ საბჭოში კი ამ საკითხზე მსჯელობა არ გამართულა. ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩამოყალიბდა დემოკრატიული რესპუბლიკის სახით. შესაძლოა მიზეზი ისიც იყოს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გერმანიის ჯარის ნაწილებმა ჩვენი ქვეყანა მაღვევა დასტოვეს. 1918 წლის ნოემბერში კი გერმანიაში რევოლუციამ გაიმარჯვა, რომელმაც კაიზერის ხელისუფლება საერთოდ დაამხო. ტახტს ჩამოცილებული ვილპელმ II თავისი ოჯახით იძულებული გახდა უცხოეთში გახიზნულიყო.

ორაპიმ პოპენცოლერნის საქართველოში გამეფების გეგმა ჩაიშალა. არ შედგა არც მისი და მარინე მაჩაბლის ქორწინება. ბედმა ასე ინება, რომ პრინცი პოლანდიაში დამკიდრებულიყო, ხოლო მარინე მაჩაბელს ბინა იტალიაში დაედო. ეს უკანასკნელი ცოლად გაჟყვა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში იტალიის კონსულს და საქართველოს სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ რომში დასახლდა.

„ქავებისინი“,
1995, 26 მაისი.

კოფილა ომი რუსეთსა და საქართველოს შორის?



1990 წლის 1 სექტემბერს მოსკოვში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საქართველოსა და რუსეთს შორის ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ. ამის თაობაზე გაზეთმა „კომუნისტმა“ თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა საქინფორმის მოწინავე - „რუსეთ-საქართველო: დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი სუვერენიტეტის გზაზე“.

საქინფორმისვე ცნობით, ხელშეკრულების ხელმოწერის დროს, რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ბ. ელცინმა, თურმე ხაზგასმით აღნიშნა: „მთელი თავიანთი ერთობლივი ისტორიის მანძილზე... რუსეთსა და საქართველოს არასოდეს უობიათ ერთმანეთთან, არ პქონიათ დავა საზღვრების გამო, არაფერი ჰქონიათ გასაყოფი“.

ეს დებულება არ არის სწორი. რომ არაფერი ვთქვათ რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ გასული ასწლეულის იმ აჯანყებებზე, რამდენჯერმე რომ იფეთქეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, თვით XX საუკუნეში ომის ფაქტს ამ ქვეყნებს შორის ორჯერ ჰქონდა ადგილი. პირველად 1920 წლის მაისში, ხოლო მეორედ 1921 წლის თებერვალ-მარტში.

ბუნებრივია, გაჩნდება კითხვა: როგორ შეიძლება ორ სახელმწიფოს შორის ადგილი ჰქონდეს ომს და იგი დაიმალოს? მართლაც უცნაურია, მაგრამ განა ცოტა ფაქტის დასახელება შეიძლება საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე, რომლის შესახებ საზოგადოებამ აგერ აქამდე არაფერი იცოდა? ამგვარი ბურუსით მოცულ საკითხთა რიგს განვითარება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობის ისტორია 1918-1921 წლებში. ჩვენი ახლო წარსულის ეს მონაკვეთი ისტორიკოსთა ნაშრომებში გაშუქებული იყო ცალმხრივად და ტენდენციურად, - ზუსტად ისე, როგორც ამას საჭიროდ მიიჩნევდა მმართველობა.

ლი კომუნისტური პარტია, - ასე ბოლშევიკთა ძალადობა და ავკაციობა საგანგებოდ დაიფარა და მათი „საქართველოვანი“ ნამოღვაწარი სათხოებად წარმოჩნდა.

კაცობრიობის ისტორიაში ნაირგვარი ომები იცის, გათ შორის - „ელვისებური“, ასწლიანი, „ცივი“, „უცნაური“ და აი კიდევ, - დამალული ომები (?!). თუმცა ტერმინი „დამალული“ მთლად ზუსტად ვერ ასახავს მოვლენის არსს. საქმე ის არის, რომ რუსეთ-საქართველოს შორის ხესნებული ომები მხოლოდ ჩვენში იყო მიჩქმალული, თორემ, ქართულ ემიგრანტულ ლიტერატურაში მათ შესახებ საქმაოდ დაიწერა და საერთოდ, ეს პრობლემა დასავლეთში იმთავითვე მართებულად და ობიექტურად გაშუქდა.

რა წინააღმდეგობა არსებობდა საბჭოთა რუსეთსა და დემოკრატიულ საქართველოს შორის, რამ მიიყვანა ეს ორი სახელმწითო ომამდე, მით უფრო რომ, მათგან ერთი - საქართველო - ნეიტრალურ ქავეუნას წარმოადგენდა? მსოფლიოს ისტორიას არ ახსოვს, რომ ნეიტრალურ სახელმწიფოს ოდესმე ომი წამოეწყოს და სხვა ვინმეს დასხმოდეს თავს. გამონაკლიისი არც საქართველოს დემოკრატიული რესუბლიკა გამხდარა. რაც შესხება რუსეთს, - იგი დიდი მთავრით, მეუე-იმპერატორით თუ ლენინით სათავეში მუდამ მოქმედებდა პრინციპით: „ძლიერი იმორჩილებს სუსტს“, - განსხვავება ის იყო, რომ თუ მეფის რუსეთი ამას აშკარად და პირდაპირ აეთებდა, - საბჭოთა რუსეთი შეგნებულად ნიღბავდა, რათა მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის თვალი აეხვია და პასუხისმგებლობა ჩადენილის გამო თავიდან აეცილებინა.

აი, როგორ არის გადმოცემული ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში (სსრ კავშირის ისტორია, VII კლასი) მეფის რუსეთის სწრაფვა ახალი ტერიტორიების შემოერთებისაენ. ივანე მრისხანის დროს: „ბალტიისპორეთში გასავლელის დასაპყრობად დაინეტერსებული იყო რუსეთის ქალაქების ვაჭარ-ხელოსანი მოსახლეობა. აქ ახალი მიწების მიღება სურდათ რუსეთის აზნაუ-

რებს. აუცილებელი იყო... ბალტიის ზღვაზე განასველების მოპოვება".

პეტრე I-ის დროს: „რუსეთს კარგი ხანია ესაჭიროება ზღვის სანაპიროები... აუცილებელი იყო ზღვაზე გასასვლელის დაუფლება". არც მეტი, არც ნაკლები: რუსეთს ესაჭიროებოდა, რუსეთისათვის აუცილებელი იყო, რუსეთს უნდა ჰქონოდა (?!)... მტკიცე და შეუვალი ლოგიკა.

წინაპართა მიერ გაკვალულ გზას იცავს და აგრძელებს საბჭოთა ხელისუფლება. ლენინის წინაშე პრობლემა ასე დგას: საბჭოთა რუსეთს სჭირდება საქართველო (ამას ნიშნავს „ბაქო უბათუმოდ არაფერია"). სჭირდება და მორჩა! საქართველო რუსეთის უნდა გახდეს და გახდება კიდეც, ოღონდ: „ჯარების შეყვანა უნდა მოხდეს ფრონტის, ან არმიის განკარგულებით და ან ფრონტის ან არმიის სახელით, მაგრამ არა მთავრობის სახელით" ეს ცენტრის დირექტორია, რომელიც სტალინმა გადასცა ს. ორჯონიქიძეს. მიაქციეთ ყურადღება, - მთავრობას კი სურს, მაგრამ მისი სახელი არ ახსენოთ; ომი მთავრობის კი არა, არმიის განკარგულებით დაიწყეთ!

სად, როდის, რომელ ქეყანაში მოქმედებს სახელმწიფო არმია მთავრობის ნებართვის გარეშე?

კიდევ ერთი გარმეობაა საინტერესო: რუსეთ-საქართველოს 1920 წლის მაისის ომთან დაკავშირებით საბჭოთა რუსეთის ხელისუფალთა მიმოწერაში ნახსენები არ არის სიტყვა ომი, სამაგიეროდ გვხვდება ზავი. რაც შეეხება მეორე 1921 წლის თებერვალ-მარტის ომს, - აქ საქმე პირიქითაა: - გვხვდება სიტყვა ომი და არ ფიგურირებს ზავი. ასეთი რამ ხდება, - შეიძლება ომი ისე დამთავრდეს არ გაფორმდეს ზავი (მაგ. იაპონიასა და სსრ კავშირს შორის არ დადებულა საზავო ხელშექრულება), მაგრამ ზავი დაიდოს ისე, რომ ადგილი არ ჰქონდეს ომს, - ეს უკვე გამოცანაა. მაგრამ რაჯი ამ გამოცანის პასუხი ჩენეთვის ცნობილია, შეიძლება ამბავი უფრო თანამიმდევრულად გადმოვცეთ.

ოქტომბრის შემდგომ საბჭოთა ხელისუფლებაში მსოფლიოს პროლეტარული რევოლუციის იდეის პრაქტიკული განხორციელება დაისახა მიზნად. საერთაშორისო რევოლუციის უმთავრესი მიმართულება აღმოსავლეთი იყო. აღმოსავლეთისაკენ მომავალი გზა კი დამოუკიდებელ საქართველოზე გადიოდა. რუსეთი უნდა დაუფლებოდა ამ გზას. **აუცილებელი** იყო საქართველოს გასაბჭოება. დაისახა ამ ამოცანის გადაწყვეტის ორი პროექტი: პირველი - მშვიდობიანი გზით და მეორე - სამხედრო ჩარევით. როლები განაწილდა, საგანგებოდ შეირჩა შემსრულებლებიც. საქმე უაღრესად მნიშვნელოვანი იყო და, როგორც ჩანს, ჯილდოც შესაფერი დაითქვა.

მეორე პროექტით მთავარი როლის შესრულება ს. ორჯონიქიძეს დაეკისრა. სერგო მართლაც შევიდა „როლში”, - მას შემდეგ რაც XI არმიამ უმტკივნეულოდ აიღო ბაქო და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა, ორჯონიქიძემ მიიჩნია, რომ დადგა „სცენაზე” მისი გამოსვლის დრო. მან წითელი არმიის ნაწილები საქართველოს საზღვრებისაკენ დაძრა, ხოლო მოსკოვში დეპეშა აფრინა - რამდენიმე დღეში თბილისში ვიქნები, „ყველაფერი ბრწყინვალედ გამოვაო”. მაგრამ ცენტრში ჩათვალეს, რომ შეცვლილ ვითარებაში საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებით ყველაფერი ბრწყინვალედ ვერ გამოვიდოდა. ეს ის დროა, როდესაც პოლონეთიდან პილსუდესკიმ შემოუტია და კიევი აიღო, ხოლო ყირიმში ერანგელი გააქტიურდა და დესანტი უშბანში გადასხა. დამატებით კიდევ ერთ ურონტზე ბრძოლას საბჭოთა რუსეთი ვერ შესძლებდა, ამიტომ საქართველოსთან ურთიერთობაში უპირატესობა დროებით მშვიდობიან გზას მიანიჭეს.

რაკი საქართველოს გასაბჭოების ერთ-ერთი ვარიანტი ამგვარ შესაძლებლობებსაც უშევებდა, მოსკოვი დათანხმდა თბილისთან მოლაპარაკებაზე, მით უფრო, რომ ასეთი მისწრაფება დემოკრატიული საქართველოს ხელისუფალთაც გააჩნდათ.

ს. ორჯონიქიძეს დანაპირები დაფნის გვირგვინი ხელიდან ეცლებოდა, ამიტომაც ერთხანს გაძალიანდა, -



საქართველოს რესპუბლიკის დესპანი გრიგოლ უშვილენაშვილი როსტოვში დაყოვნა და მოსკოვს გამგზავრებასთან მისცა.

ლენინის დაქინებამ თავისი გაიტანა, გ. ურატაძე მოსკოვში ჩავიდა. 28 აპრილს იგი ვ. ლენინისა და გ. ჩიხერინის რწმუნებულებით აღჭურეილ რსფსრ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ლ. კარახანს შეხვდა და მოლაპარაკებაც დაიწყო. რუსეთის მხარე ცდილობდა არ გამოემუდავნებინა საქართველოს საზღვარზე საბჭოთა ჯარებსა და ქართულ ნაწილებს შორის მიმდინარე ომის ფაქტი, ხოლო თბილისიდან გადაცემული ოფიციალური ინფორმაცია გ. ურატაძემდე ვერ აღწევდა. ქართველ დესპანს ომის თაობაზე სხვა წყაროებიდან გაუგია: „მამაშინევ მივმართე ლენინს, - წერს გ. ურატაძე, - ...და განუცხადე, რომ თუ არ მოახდენდა განკარგულებას ომის შეწყვეტის შესახებ - გავანებებდი თავს სამშვიდობო მოლაპარაკებას". ლენინი ერთხანს უარობდა, - ეს ყველაფერი ჭორია, საქართველოსთან არავითარი ომი არ გვაქვსო, მაგრამ რაკი გამორიცხული არ იყო და შეიძლებოდა მოლაპარაკება მართლაც ჩაშლილიყო, რასაც შემდგომი გართულებები მოპყვებოდა, აუცილებელი გახდა ზომების მიღება: 5 მაისს ლენინისა და სტალინის სახელით ს. ორჯონიქიძეს ეცნობა, შეეწყვიტა საბრძოლო მოქმედებები. დეპეშაში ნათქვამი იყო: „ცენტრალური კომიტეტი გავალებთ გამოიყვანოთ ნაწილები საქართველოს ფარგლებიდან საზღვარზე და თავი შეიკავოთ საქართველოზე შეტევისაგან. თბილისთან მოლაპარაკების შემდეგ, ცხადია, რომ საქართველოსთან ზავი გამორიცხული არ არის".

ორჯონიქიძე დამორჩილდა, თუმცა მას სხვა გამოსავალი არც ჰქონდა, - ქართულმა ჯარმა გენერალ გ. კვინიტაძის სარდლობით წითელი არმიის ნაწილები დაამარცხა და უქაქცია. ურონტმა აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადაინაცელდა.

დავიმოწმოთ კიდევ ერთი დოკუმენტი, სადაც შველაფერი პირდაპირ არის ნათქვამი. ი. სტალინი და ა. ენუქიძე პირდაპირი მავთულით საუბრისას ს. ორჯონიქი-



ძეს უხსნიდნენ: „...როგორც ჩვენი (რუსეთის, - თუ კავკასიური ისე აზერბაიჯანის ნაწილების მხრივ საქართველოს წინამდებარებელი) ნააღმდეგ შეტევითი მოქმედება არ იქნება და ჩვენ ხვა-ჭვა დავდებთ ხელშეკრულებას საქართველოსთან".

აღმართ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ „ბრძოლას ლენინი წარმართავდა". საქართველოს საზღვრებში წითელი არმიის ნაწილებით შემოჭრა რომ ს. ორჯონი-კიძის თვითნებობა ყოფილიყო და არა ცენტრის ცოტა ადრინდელი ნებართვით მოწყობილი აქცია, ცხადია, ორჯონიკიძეს დარწმუნებას არ დაუწყებდნენ - ვითარების შეცვლის გამო წამომწყებული შეტევა შეაჩერე, ცა-ს ახლანდელ ხაზს ეწინააღმდეგებაო, - მას უბრალოდ, - რევოლუციის კანონების შესაბამისად დახვრებდნენ.

საქართველოსა და რუსეთის მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა. 1920 წლის 7 მაისს დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება. მართალია, მის ტექსტში არაფურია ნათქვამი ომზე, მაგრამ საომარი მოქმედება წითელი არმიის ნაწილებსა და ქართულ ჯარს შორის არსებითად ამ ხელშეკრულების საფუძველზე შეწყდა (დასაშვებია, რომ არსებობდა ვერბალური შეთანხმებაც).

7 მაისის ხელშეკრულებას ნ. ჟორდანია საზავო ხელშეკრულებას უწოდებდა. მის დეპეშაში გ. ურატაძის სადმი ნათქვამია: „გილოცავთ საზავო ხელშეკრულების დადების გამო".

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულებადაა სახელდებული „პრაედაში" და იმ დროინდელ ყველა ქართულ გაზეთში.

1921 წლის თებერვალ-მარტის ამბებზე, ანუ რუსეთ-საქართველოს მეორე ომზე ამ ბოლო დროს ჩვენს პრესაში საქმაოდ დაიწერა, ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელდ და მხოლოდ ვ. ლენინს, მოვლენის უშუალო მონაწილეებსა და თვითმხილველებს დავიმოწმებ.

1921 წლის 26 იანვარს შედგა რკპ(ბ) ცკ პლენუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს სკითხი. პლენუმის დადგენილებაში, რომელიც ლენინმა დაწერა, ნათქვამია, რომ „საქართველო საშინალო გათავსედდა", ხოლო რამდენიმე სტრიქონით ქვემოთ წერია: „მივცეთ დირექტი-

ეა რესპუბლიკის სამხედრო რეეოლუციურ საბჭოს /და ქავების ფრონტს, თუ საჭირო იქნა, მოემზადების საქართველოსთან ომისათვის".

„თუ საჭირო იქნა" ცა-ს ნაკლებად ინფორმირებულ წევრთათვის ითქვა, თორემ ხელმძღვანელმა ბირთვმა უკვე იცოდა, რომ ომი საჭირო იყო. ამ დღიდან სულ ორიოდე კვირის შემდეგ წითელმა არმიამ საქართველოს საზღვრები გადმოლახა.

თბილისის მიმართულების ჯარის ჯგუფის უფრო სის მ. ველიკანოვის ბრძანებაში ლაშქრისადმი ნათქვა- მია: „...წითელარმიელების, გამანდირების და კომისარების გმირული მოქმედება მძიმე და უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვებით დაგეირგვინდა... მეომრებმა გმირული შეტე- ვით თებერვლის 24-ს,... სძლიერ მტრის წინააღმდეგობა და აიღეს ქალაქი ტფილისი" („კომუნისტი, 1921 წ., 3 მარტი).

XI არმიის ორგანო განხეთი „კრასნი კოინ" თბილი- სის აღებას შემდეგნაირად აღწერს: „...ჯავშნოსანი მა- ტარებლები, ხოლო შემდეგ კი ტანკების რაზმი წავი- დნენ წყნარად, მაგრამ მრისსანებით და დიდებულად, როგორც გოლიათები... ქართველებს მოუხდენიათ ყველა- ფრის ევაკუაცია, იმ უიმედობით და გრძნობით, რომ უძ- ლერნი არიან გაუძლონ და წინ აღუდგნენ რუსეთის ძლევამოსილ და მრისსანე ძალას... მტრის წინააღმდეგო- ბა გატეხილია, მან უკან დაიხია და ჩვენ გამარჯვებუ- ლინ შევედით თბილისში".

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ალბათ, საკითხა- ვი აღარაა, უომიათ თუ არა ერთმანეთთან რუსეთსა და საქართველოს.

„სიმართლე",
1990 წ., 13 ნოემბერი.

რუსეთში დვინის სმა აკრძალულია ანუ რა
ხედებოდა მოლაპარაკებების კულისებში



ვინც თვალს ადგვნებს ჩვენს შურნალ-გაზეთებს, დაგვეთანხმება, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ბევრი დაიწერა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის, კერძოდ, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების შესახებ. ვინმეს იქნებ ზედმეტადაც მოქმედნოს ამ თემაზე საუბრის გაგრძელება, მაგრამ სინამდვილეში ეს საკითხი სრულიადაც არ არის ამოწურული და იგი შემდგომ კალევასა და შესწავლას მოითხოვს. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ამ ორ სახელმწიფოს შორის ამჟამად ახალი ხელშეკრულება მზადდება, წარსულის გამოცდილება კი, - ვფიქრობთ, სასიკეთოდ წააღვება საქმეს.

წინამდებარე წერილი ახალ საარქივო მასალებზე დაყრდნობით მოგვითხრობს, როგორ და რა ვითარებაში დაიდო 7 მაისის ხელშეკრულება, ანუ რა ხდებოდა მოლაპარაკების კულისებში

* * *

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წელთაღრიცხვა 1918 წლის 26 მაისს დაიწყო. ახლადშექმნილმა სახელმწიფომ თავი ნეიტრალურ ქვეყნად გამოაცხადა, რაც, ბუნებრივია, საერთაშორისო ომიანობაში ჩაურეველობასა და დანარჩენ სახელმწიფოებთან მშეიღობაანი თანაცხოვრების სურვილს გამოხატავდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მეზობელ ქვეყნებთან, პირველ რიგში კი საბჭოთა რუსეთთან ნორმალურ ურთიერთობას.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებას რუსეთი წყენით შეხვდა. ცალკეულმა ბოლშევიკმა ლიდერმა, მათ შორის ვ. ულიანოვ-ლენინმა დასცინა ამ დამოუკიდებლობას. „საქართველოს... დამოუკიდებლობა... სინამდვილეში ეს არის საქართველოს ობუბაცია და სრული დაყრდნობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ“, აცხადებდა პროლეტარიატის ბელადი და რუსეთის სახელმწიფო მეთაური. საბჭოთა რუსეთმა

ოფიციალურად არ სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. ამით აიხსნება ის, დიპლომატიის ხანგრძლივობის რიცხვისათვისაც კი უცნობი, აბუჩად აგდება და ქედმაღლური დამოკიდებულება, რასაც მოსკოვის ხელისუფლების წარმომადგენლები იჩენდნენ საქართველოს დიპლომატიური მისიისადმი. ძნელია აუდელვებლად წაიკითხო ყოველივე, რაც მოთხოვილია მოსკოვში საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლად დანიშნულ გ. ხუნდაძის 1920 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნში „საბჭოთა ხელისუფლება და ქართული რუსეთში“.

ბოლშევიკურ რუსეთს პირველ წლებში საქართველოში ოფიციალური წარმომადგენლები არ ჰყოლია. ამ „მისიას“ ასრულებდა ჯერ კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრად დანიშნული ს. შაუმიანი, ხოლო ინგლისელების მიერ ბაქოელ კომისრებთან ერთად შაუმიანის დახვრეტის შემდეგ ს. ორჯონიკიძე. როგორც შაუმიანი, ისე ორჯონიკიძე ცნობილი რევოლუციონერები იყვნენ. ორივე მათგანს ბოლშევიკურ და მუშათა წრეებში დიდი სახელი და გავლენა პქონდა მოპოვებული. საქართველოსადმი მიმართებაში კი მათ უმთავრეს დანიშნულებას ახლად შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოსადმი ძირგამომთხოველი საქმიანობა შეადგენდა, რისთვისაც მოსკოვი უხვად ამარაგებდა ოქროთი და იარაღით. მოსკოველ ემისრებს საქართველოში მრავალრიცხოვანი აგენტები გააჩნდათ ადგილობრივი ბოლშევიკებისა და სხვათა სახით, რომლებიც ვერა და ვერ ურიგდებოდნენ რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფას და სახელმწიფოს სათავეში თავიანთი ნახევარმების ასაციალ-დემოკრატ მენშევიკების ჩადგომას.

ლენინი და საბჭოთა რუსეთის მთელი ხელისუფალი ესწრაფოდნენ საქართველოს გასაბჭოებას და ამ გზით მის კელავ რუსეთთან დაბრუნებას, მაგრამ რაკი ჯერ საამისოდ ძალა არ შესწევდათ, ქვეყანაში სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის გამო, აქტიური მოქმედებისაგან თავს იკავებდნენ. ლენინი 1918 წლის მაისში საგანგებოდ აფრთხილებდა ს. შაუმიანს: „გირჩევთ სცადოთ ბლოკი უორდანიასთან, თუ



შეუძლებელია, საჭიროა დაეკირება და გადაწევეტილების გაჭირება, სანამ არ განმტკიცდებით სამხედრო სოფიტით". ასპარეზი ჯერ დიპლომატიას ეთმობოდა, ხოლო თუ ეს გზა არ გაჭრიდა, გადამწყვეტი სიტყვა ძალას უნდა ეთქვა.

ამოიცნეს თუ არა რუსეთის ხელისუფალთა ეს განხრახვა და მიზანდასახულობა საქართველოში? სამწუხაროდ, ვერა ყოველ შემთხვევაში, ნ. ქორდანიას მიაჩნდა, რომ საქართველოსადმი დამოკიდებულებაში მოსკოვს ორი ტენდენცია ჰქონდა: ერთი პოლიტიკური და მეზობლური, მეორე ომპერიალისტური. თითქოს ამ უკანასკნელს მეთაურობდნენ ტროცკი და სტალინი, პირველს კი ლენინი (ნ. ქორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ. 117). საარქივო და სხვა ღოკემენტური მასალით დადასტურებული მოვლენათა შემდგომი განვითარება მოწმობს, რომ ნ. ქორდანიას ეს შეხედულება მცდარი. იყო გარკვეულ დრომდე ლენინის მართლაც თავშეკავებული დამოკიდებულება საქართველოსადმი მხოლოდ ტაქტიკური ჩანაფიქრი იყო, თორემ პრინციპში საქართველოს გამოყოფა ისევე მიუღებელი იყო ლენინისათვის, როგორც ცარიზმისა და დროებითი მთავრობისათვის, ან თუ გნებავთ, თეორგვარდიელი რუსი გენერლებისათვის, მაგრამ ამაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ქვეყნის შიგნით სტაბილურობის განმტკიცებასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა უცხოეთის სახელმწიფოთა მიერ მის ცნობა-აღიარებას. ამ მხრივ განსაკუთრებული ინტერესით მოელოდნენ უერსალის საზაფო კონფერენციას, რომელსაც საქართველოს წარმომადგენლობაც ესწრებოდა. მაგრამ ეს დიდი პოლიტიკური თავურილობა ისე დამთავრდა, რომ იქ ჩვენთვის სანუგეშობევრი არაფერი თქმულა. ამ მდგომარეობამ, ნ. ქორდანიას სიტყვით, ცხადი გახადა „საქმის ისევ რუსეთიდან დაწყების აუცილებლობა".

მართლაც, 1920 წლის გაზაფხულზე საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის, ნ. ქორდანიას დავალებით

მოსკოვს გაიგზავნა დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ურატაძე. მისი შერჩევა ამ მისისათვის აშშოლოდ ერთმა გარეომებამ განაპირობა: „დესანი უნდა უმუშილეს დენინისა და მისი შტაბის ნაცნობი, სოციალ-დემოკრატი, პარტიის ყრილობაზე ნამყოფი” (ნ. ქორდანია). გ. ურატაძე სოციალ-დემოკრატთა სტოკოლმისა და ლონდონის კონგრესის მონაწილე იყო, ხოლო ლენინს ჯერ კიდევ 1911 წლიდან იცნობდა, როგორც ლონეიუ-მოს პარტიული სკოლის მსმენელი.

გ. ურატაძე არ ყოფილა დიპლომატი. მას ამ საქაფეში არათუ პროფესიონალური მომზადება, რაიმე პრაქტიკული გამოცდილებაც კი არ გააჩნდა. ამიტომ გაკვირვებას იწვევს, როგორ იდო თავს მან იხეთი საპასუხისმგებლო საქმე, როგორიცაა ორ ქვეყანას შორის საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა. ჩვეულებრივ, ამგვარი დოკუმენტის გაფორმებას წინ უსწრებს პროფესიონალ და კომპეტენტურ პოლიტიკოსთა, იურისტთა, სამხედრო საქმის სპეციალისტთა და სხვათა მრავალმხრივი მუშაობა. გაოცებულნი დარჩნენ რუსი დიპლომატები, როცა საქართველოს დელეგაციის ოფიციალური მიღების დღეს დარბაზში ჩიჩერინის, კარახანის, მდივნებისა და მემანქანეთა მთელი შტაბის წინაშე „რუსი ბლუზით და ჩექმებით“ მარტოდმარტო წარსდგა გ. ურატაძე. საარქივო ცნობის თანახმად, მოსკოველთა შეკითხვაზე: სადარის საქართველოს დელეგაციაო, გ. ურატაძეს უპასუხია: „მე ვარ დელეგატი და სხვა არავინ მოსულია“. იმავე ცნობაში ვკითხულობთ: „გაქვირვება იმით იყო თურმე გამოწვეული, რომ მოსკოვი ჩვეული ყოფილა პატარა „ბურეუაზიული“ ქავენებიდან, როგორც მაგ. ლატკია, ლიტვა, ესტლანდია და სხვა, დიდძალი შტატებიანი მრავალრიცხოვანი დელეგაციების მიღებას. 30 კაცზე ნაკლები არც ერთი დელეგაცია არ ყოფილა, ასევე ელოდნენ თურმე „ბურეუაზიული“ საქართველოდანაც. როცა დაინახეს, რომ ერთი კაცია საქართველოდან მოსული, მათაც თავის მხრივ ერთი კაცი დანიშნეს, სახელდობრ, საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილე კარახანი“ (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტო-

რიო არქივი, პარვარდის უნივერსიტეტის ფონდი, საბჭო №753). (აქვე შევნიშნავ: მართალია, რუსეთის მხრიდან გადამოწყვეტილი მოღაცარაკებას ოფიციალურად ერთი კაცი, ლ. ჯორჯებია ნი აწარმოებდა, მაგრამ იგი გამუდმებით ღებულობდა ინსტრუქციებს ლენინის, ჩიქერინისა და მთელი პოლიტბიუროსაგან. ცხადია, ამგვარ შესაძლებლობას გ. ურატაძე მოკლებული იყო).

წასვლისას გ. ურატაძეს მთავრობის თავმჯდომარებ მისცა განაწესი, რომლის თანახმადაც საქართველოს წარმომადგენელს უნდა მოეთხოვა რუსეთის მხრივ ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარება და საზღვრების ხელშეუხებლობა. ყველა დანარჩენი საკითხი, ნ. ქორდანიას სიტყვით, იყო მეორეხარისხოვანი და შეიძლებოდა მოღაცარაკების გზით გადაჭრილიყო.

მოსკოვის მოღაცარაკება პირველი დღიდანვე მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. მოღაცარაკებისას ბ. ურატაძემ უმთავრეს საკითხად წამოაყენა საქართველოს სრული დამოუკიდებლობის ცნობა და შინაურ საქმეებში ჩაურევლობა, რაზეც მაშინვე მიიღო თანხმობა. სახელმწიფო საზღვრების გამორკვევის დროს, როგორც ეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგის ნ. ქარცივაძის ხელმოწერილ ერთ დოკუმენტშია აღნიშნული, „ურატაძეს უთქვამს, რომ ამ კითხვაში ჩვენს შორის წარმოუდგენელია დავა, ვინაიდან ერთნაკერ მიწის გარშემო ჩვენ კამათს არ გავაგრძელებთ, ისე კი, იმედი გვაქვს, რომ უზარმაზარი სივრცის პატრონი რუსეთი პატარა საქართველოს არ დაჩაგრავს ამ საკითხში. ამ განცხადებას ისეთი გავლენა მოუხდენია, რომ ისინი ეჯიბრებოდნენ თურმე ჩვენს წარმომადგენელს თვაზიანობასა და დემოკრატიაში და არათუ მიიღეს ჩვენს მიერ გავლებული ხაზი, მეხადირთან მათ ჩვენს მოთხოვნას გადააჭარბეს კიდეც და მდინარე პსოუ აღნიშნეს საზღვრად". იმავე დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ რუსეთსა და საქართველოს ეკონომიკურ საკითხშიც ურთიერუპირატესობის პრინციპი მიუღიათ ასევე შდავოდ, „თუმცა საქონლის თავისუფლად გაცელა-გამო-

ცვლის შესახებ მოლაპარაკების დროს პქონია ადგილი
ასეთ დიალოგი:

„რა გაქვთ თქვენ რუსეთში შემოსატანი? უკითხავს
კარახანს.

- პირეელ ყოვლისა, ღვინო, - უპასუხნია ურატაძეს.
- ღვინის სმა რუსეთში აკრძალულია.
- ჩვენ გვაქვს ტყე.
- მოედი რუსეთი ტყე არის, - სიცილით უთქვამს კა-
რახანს და თან დაუძინია: არა უშავს, თქვენ გაიტანეთ,
რის გატანასაც მოახერხებთ რუსეთიდან და შემდეგ გა-
ესწორდებით" (სცსსა, პარვარდის უნივერსიტეტის ფო-
ნდი, საქ. №753).

საზავო მოლაპარაკების მსვლელობისას გ. ურატა-
ძისთვის კერძო წყაროდან ცნობილი გახდა, რომ საბჭო-
თა რუსეთის ჯარის ნაწილები აზერბაიჯანის მხრიდან
საქართველოს საზღვრებში შემოიკრნენ და ჩვენს ჯარე-
ბთან ომს აწარმოებდნენ. საქართველოს წარმომადგე-
ნელს, როგორც თვითონ იგონებს, მიუმართავს ლენინი-
სათვის და განუცხადებია, რომ თუ იგი არ გასცემდა
განკარგულებას ომის შეწყვეტის შესახებ, მოლაპარაკე-
ბას თავს გაანებებდა. ლენინს უპასუხნია, რომ ამის შე-
სახებ არაფერი იცის, ხოლო „ჭორებმა არ უნდა შეუშა-
ლოს ხელი მოლაპარაკებასთ".

ეს რომ ჭორი არ იყო და სინამდვილეს შეესაბამე-
ბოდა, ლენინს იმ დეპეშებიდანაც მოეხსენებოდა, ს. ორ-
ჯონიებებმ ბაქოდან რომ გაუგზავნა: „რამდენიმე დღეში
თბილისში ვიქნები, ყველაფერი ბრწყინვალედ გამოვაო".
ამასაც რომ თავი დავანებოთ, საბჭოთა რუსეთს უკვე
მიღებული ჰქონდა საქართველოს დემოკრატიული რესპუ-
ბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს რამდენიმე ოფი-
ციალური ნოტა. პირველი ნოტა კმაყოფილებით ეგებე-
ბოდა საბჭოთა მთავრობის განცხადებას ჩვენი საზღვრე-
ბის ხელშეუხებლობის შესახებ, მაგრამ აღნიშნავდა,
რომ ცენტრალური ხელისუფლების ამ მისწრაფებას
ეწინააღმდეგება კავკავში და ბაქოში მყოფი საბჭოთა
მთავრობის წარმომადგენლების ზოგიერთი აგრესიული
ნაბიჯი საქართველოს მიმართ, ხოლო შემდეგ ნოტაში

პირდაპირ იყო მითითებული, რომ აზერბაიჯანის შეინდან ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებდა რუსეთის წარეკლასტრის 287-ე და 288-ე პოლკები.

ყოველივე ეს, ცხადია, საქართველოდან მოსკოვში გ. ურატაძის სახელზეც გაიგზავნა, მაგრამ, სამწუხაროდ, მას არ გადასცეს.

მას შემდეგ, რაც მოსკოვმა დაინახა, რომ შეუძლებელია საქართველოს „ერთი დაქვრით გაწითლება“ (ჩვენმა ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს შემოქრილი მტრის ნაწილები), ს. ორჯონიქიძეს ებრძანა, შეეწყვიტა საომარი მოქმედებები და უკან დაეხია.

მოლაპარაკება გაგრძელდა. 5 მაისს გ. ურატაძემ თბილისს გადმოსცა საზავო ხელშეკრულების ტექსტის პროექტი, რომელმაც „საერთოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა“, მაგრამ იყო რამდენიმე საყოფანო მუხლი, კერძოდ, მეხუთე, რომლითაც რუსეთი მოითხოვდა საქართველოს დაეცვა მტკიცე ნეიტრალიტეტი და თავის საზღვრებში არ მიეცა აღილი რუსეთის მოწინააღმდებე თორგანიზაციებისა და მასთან მტრულად განწყობილ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალებისათვის. მუხლის ამგვარი ფორმულირება მიუღებელი იყო ქართული მხარისათვის, რადგან იგი ანგანტის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობას ზღუდავდა. პროექტში შეტანილ იქნა შესწორება ისეთნაირად, რომ „საბჭოთა რუსეთსაც მტკიცე გარანტიები მივანიჭეთ ჩვენის მხრით ყოველგვარის აგრესიონის აღკვეთისა და მეორე მხრით, საგვებით დავიცავით ჩვენი სრული ნეიტრალობა და სუვერენობა და შევინახეთ თავისუფლება ევროპის სახელმწიფიუროებთან „ურთიერთობაშიო“, - აღნიშნულია საქართველოს საგარეო სამინისტროს ერთ-ერთ იმდროინდელ ბიულეტენში.

სანამ თბილისიდან ამ შესწორებებს გადასცემდნენ, პირდაპირი მავთული გაფუჭდა. იძულებული შეიქნენ ეს ვრცელი შესწორებები შიფრით გადაეცათ რადიოს საშუალებით, რამაც დიდი დრო მოითხოვა. გ. ურატაძეს არ დაუცდია შესწორებების მიღებისათვის და 7 მაისს, დამის 12 საათზე, ხელი მოაწერა საზავო ხელშეკრულებას.

საქართველოში დაბრუნებულმა ურატაძემ, დაძფუდნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისათვის გაკეთებულ მოხსენებაში, ხელშეკრულების ჩელშემუშავაზე თავისი აჩქარება შემდეგნაირად ახსნა: მას თურმე „მოსკოვში აჩქარებდა იმის შიში, რომ პოლონეთან მოის გართულების გამო სამხედრო და საგარეო საქმეთა ხელმძღვანელი, რომელთაგანაც უმთავრესად დამოკიდებული იყო ჩვენთან საზაფო მოლაპარაკება, იძულვბულნი იქნებოდნენ მოსკოვიდან წასულიყვნენ ფრონტისაკენ და ეს გააჭიანურებდა მოლაპარაკებას. შემდეგ შესაძლო იყო პირობები შეცვლილიყო და ჩვენთვის ხელსაყრელი გარემოებები ჩვენდა საზიანოდ მოქცეულიყო. ამას გარდა, მოსკოვს ჩავიდნენ ამ დროს სომხების და ოსების დელეგატები და შესაძლო იყო, თუ მოლაპარაკება საჩქაროდ არ დასრულდებოდა, საზღვრების გამორკვევის დროს მათ ჩვენთვის ხელი შეეშალათ". (დასახელებული საარქივო საქმე, №753).

გ. ურატაძის სიტყვით, „მოსკოვის ყველა წრეები საქართველოსთან ზავს დიდის აღტაცებით მიგებებია". საარქივო ცნობის თანახმად, „დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ჩვენს წარმომადგენელს ოქრო არ მოუთხოვნია. სხვა ყველა დელეგაციები თურმე მოლაპარაკებას ოქროს მოთხოვნით იწყებდნენ" (მართლაც, ხელშეკრულებით ესტონეთთან, ლატვიასთან და ლიტვასთან საბჭოთა რუსეთი ვალდებულებას კისრულობდა, თითოეული ამ სახელმწიფოსათვის მიეცა ოქროს საქმაო რაოდენობა).

როგორ შეხვდა ჩვენი ქვეყანა სამშეიდობო ხელშეკრულებას? აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილენ. ქარცივაძე: „რუსეთთან ზავის ხელის მოწერამ ხალხზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ხალხი გამხნევდა და დამოუკიდებლობის დაცვისაკენ მისწრაფება უფრო გაცხოველდა. მთავრობის მდგომარეობაც განმტკიცდა. მოხდა დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომა, რომელიც ერთსულოვანის კმაყოფილებით შეეგება რუსეთთან ზავს. ქალაქი იმ დღეს ბაირალებით მოირთო

და ზარბაზანმა 21-ჯერ გაისროლა. ქუჩებს სადღესასწაულო ელო ელფერი პქონდა. საქართველოს ყველა კუთხით მოგვდის ცნობები, რომ ხალხი ყოველგან დიდის ხილოვნებით ეგებება ამ ცნობას... მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებზეც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთთან ზავმა და ჩვენი ავტორიტეტი გაიზარდა გათ თვალში".

ეს ყველაფერი სიმართლეა. გარეგნული ეფექტი ხელშეკრულებისა, მართლაც, დიდი იყო. ამ ხელშეკრულებამ, როგორც საერთაშორისო სამართლებრივმა დოკუმენტმა, მნიშვნელოვანად შეუწყო ხელი საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად აღიარებას ევროპის უდიდესი სახელმწიფოების მიერ, მაგრამ თავად ბოლშევიკურ რუსეთთან ურთიერთობა ვერ მოაწესრიგა. საქმე ისაა, რომ ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლი, რომელიც იმთავითვე ბუნდოვანი იყო, შემდეგშიც განუწყვეტილი ურთიერთპრეტენზიების საფუძველს წარმოადგენდა, ვიდრე რუსეთმა საერთოდ არ დაარღვია ხელშეკრულება, როდესაც 1921 წ. თებერვალში ძალდატანებით გაასაბჭოვა საქართველო.

პროფესიონალი დიპლომატი ადვილად შეამჩნევს ხელშეკრულების ხარვეზს. ევგენი გეგეტეორი 1920 წლის 8 მაისს პირდაპირი მავთულით საუბრისას გ. ურატაძეს ეუბნებოდა: „ოქვენს მიერ გადმოცემული ტექსტი ტოვებს სიგელის შთაბეჭდილებას და არა ხელშეკრულებისა ორ თანასწორ მხარეს შორის. ამიტომ შეიტანეთ ნაცვალგების პრინციპიო". სამწუხაროდ, უკვე გვიანი იყო. იგივე მ-გეგეტეორი საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობათვის განკუთვნილ ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა: „რუსეთთან საზავო ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლი ჩვენ არ გვაკმაყოფილებს. ჩვენ ვეცდებით რატივიკაციის დროს, რომლის უფლება აქვს დამფუძნებელ კრებას და რომელიც უთუოდ უნდა მოხდეს, ამ მუხლებს მივცეთ სხვა სახე და შეძლებისდაგვარად ჩვენ სასარგებლოდ შევსცვალოთ მათი რედაქცია".

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების რატიფიცირება არ მოხხდარა, რადგან დოკუმენტი მასზე ხელის

მოწერის მომენტიდან „თვით ფაქტის ძალით“ შევიდა /მა-
ლაში.

როგორ მოხდა, რომ ორ სუვერენულ სახელმწიფოს
შორის ურთიერთობის განმსაზღვრელ ისეთ მნიშვნელო-
ვან დოკუმენტს, როგორიცაა საზავო ხელშეკრულება,
ხელი მოაწერეს არა ამ სახელმწიფოთა მეთაურებმა ან
დიპლომატიური სამსახურების ხელმძღვანელებმა, არამედ
გაცილებით უფრო დაბალი (ყოველ შემთხვევაში საქარ-
თველოს მხრიდან მაინც) რანგის მოღვაწეებმა?! 1783
წლის გეორგიესკის ტრაქტატი აქ ანალოგად არ გამო-
დგება, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ თავია-
ნთი წარმომადგენლების გ. ჭავჭავაძის, ი. მუხრანბატო-
ნის და პ. პოტიომეკინის შემდგომ სარატიფიკაციო სიგვ-
ლებს ხელი მოაწერეს ერეკლე მეორემ და ეპატერინგ
მეორემ.

1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულების რატიფიკაცია-
ზე ამყარებდა იმდეს საქართველოს დემოკრატიული რე-
სპუბლიკის ხელისუფლებაც, მაგრამ ხსენებული დოკუმენ-
ტი მასზე ხელისმოწერის დღიდანვე, რატიფიცირების
გარეშე შევიდა ძალაში. ამით საერთაშორისო სამა-
რთლის ნორმა არ დარღვეულა, რადგან ეს სამართლი
იცნობს სხვა არაერთ დოკუმენტს, რომლებიც „ფაქტის
ძალით“ შესულან კანონიერ მოქმედებაში.

რაც შეეხება ბოლშევიკურ რუსეთს, მისთვის სულ
ერთი იყო ვისი ხელმოწერა ექნებოდა საქართველოსთან
დადებულ ხელშეკრულებას, რადგან მას თანაბრად შეკ-
დლო დაერღვია როგორც ლენინის, ისე კარახანის ხელ-
მოწერილი დოკუმენტი. ეს მით უფრო, რომ საქართვე-
ლო იმთავითვე მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის
ორბიტაში იყო მოქცეული. ამ მიზნის მისაღწევად კი
საბჭოთა რუსეთი პრინციპებს არ დაგიდევდათ.

„საქართველო“,
1992 წ., 25 სექტემბერი-2 ოქტომბერი

1990 წელს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადგებიდან 70 წელი შესრულდა. ჩვენმა საზოგადოებამ ცხოველი ინტერესი გამოავლინა ამ ისტორიული ფაქტის მიმართ. გამოქვეყნდა არაერთი საგაზითო და საჯურნალო სტატია. ქართველ მკითხველს შესაძლებლობა მიეცა გასცნობოდა ემიგრანტული პოლიტიკური დიიტერატურის მასალებს (მოგონებები, დოკუმენტები, მიმოხილვითი წერილები და სხვ), მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი როდია ნათქვამი. ეს წერილი 7 მაისის ხელშეკრულების ზოგიერთი სამართლებრივ ასპექტს ეხება.

ცნობილია, რომ 1920 წლის 7 მაისს დემოკრატიული საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის მთავრობათა წარმომადგენლებმა გრიგოლ ურატაძემ და ლევ კარახანმა მოსკოვში ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას, რომელიც რატიფიკირის გარეშე, „თვით ფაქტის ძალით“ შევიდა ძალაში. ხელშეკრულებით რუსეთმა უარი თქვა საქართველოს მიმართ ოდინდელ უფლებებზე და ყოველი პირობის გარეშე სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოსა და რუსეთს, როგორც თანახმორუფლებიან და სუვერენულ სახელმწიფოებს შორის ახალი სამართლებრივი ურთიერთობანი დამყარდა. გაიცვალა ელჩები. რსფსრ სრულუფლებიან წარმომადგენლად საქართველოში სერგეი კიროვი დაინიშნა, ხოლო საქართველოს მთავრობამ თავის წარმომადგენლობა მოსკოვში დამფუძნებელი კრების წევრს, სოციალ-დემოკრატ გერასიმე მახარაძეს მიანდო. საქართველომ განახორციელა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებანი (კომუნისტური ორგანიზაციების ლეგალიზაცია, უდელტებილების ნეიტრალიზაცია და სხვ.) აღსანიშნავია ისიც, რომ 7 მაისის ხელშეკრულების საფუძველზე 1920 წლის 14 ნოემბერს თბილისში დაიდო საგაჭრო-სატრანზიტო შეთანხმება რსფსრ-ს, აზერბაიჯა-

ნის სსრ და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის, რომლითაც მხარეებმა ერთმანეთს თავისუფალი ტრანზიტის უფლება მიანიჭეს.

დავსვათ კითხვა: არის თუ არა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი? მცირეოდენი იურიდიული განათლებაც კი საქმარისია იმისათვის, რომ ამ კითხვაზე დადგებითად ვუპასუხოთ.

დავიწყოთ იმით, რომ 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს შეთანხმება არის საერთაშორისო პოლიტიკური ხელშეკრულება, რომელიც ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის „მტკიცე და მშვიდობიანი ურთიერთობის“ დამყარების მიზნით დაიდო. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ამგვარი ხელშეკრულების დადება მხოლოდ სუვერენულ და თავისუფალ სახელმწიფოებს შეუძლიათ, რადგან დამოკიდებულ ან ვისმე პროტექტორატის ქვეშ მყოფ ქვეყანას არა აქვს პოლიტიკური ხელშეკრულების დადების უფლება.

ხელშეკრულების დადების მომენტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მართალია, მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების მიერ არ იყო ცნობილი, მაგრამ თითქმის ასეთივე მდგომარეობაში იმყოფებოდა საბჭოთა ხელისუფლებაც რუსეთში. თავისთვავად ეს გარემოება საქმეს არ ცვლის, - ღვუპაქტო-დ არსებულ მთავრობებს შეუძლიათ სხვა ქვეყნებთან ხელშეკრულების დადება, რამდენადაც ისინი ნამდვილად ფლობენ ხელისუფლებას. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა არა მარტო ღვუპაქტო-დ არსებობდა, არამედ კანონიერადაც იყო დამტკიცებული. ნდობის მანდატი მას ხალხის ნების გამომხატველი, მრავალპარტიული სისტემით, დემოკრატიულ საფუძველზე არჩეული დამფუძნებელი კრების მიერ პქონდა მინიჭებული.

საერთაშორისო ხელშეკრულებები თავიანთი ხასიათით სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს. მაგალითად: ტრაქტატი, კონვენცია, პაქტი, დეკლარაცია, კომუნიკე და სხვ. საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებით, ხელშეკრულების დამდები მხარეები თავადვე არჩევენ შეთანხმე-



გის სახელწოდებას, რომელიც უმთავრესად მისივე შენიშვნები არსითაა განპირობებული. რუსეთ-საქართველოს შეფარდების მება ორმხრივი სამშეიდობო (საზავო) ხელშეკრულებაა. ასეთი ხელშეკრულება, ჩვეულებრივ, წერილობით ფორმდება ორივე კონტრაპენტის ენაზე.

როგორც ცნობილია, 7 მაისის ხელშეკრულება მხოლოდ ერთ - რუსულ ენაზეა შედგენილი, მაგრამ ამით საერთაშორისო სამართლის ნორმა არ დარღვეულა, რადგან საერთო წესით დადგენილი არ არის ხელშეკრულების სავალდებულო ენა. ზოგჯერ მხარეები ამჯობინებენ შეარჩიონ ერთ-ერთი ენა.

ამდენად, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, როგორც ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის დადგებული საზავო შეთანხმება, არის საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტი.

ამ ხელშეკრულების საერთაშორისო-სამართლებრივ სტატუსს სხვა ფაქტორიც განაპირობებს. სახელდობრ, მისი პრომულგაცია. საერთაშორისო ხელშეკრულები ხელმომწერ მხარეთა მიერ, როგორც წესი, ქვეყნება ოფიციალურ სამთავრობო გამოცემებში, პერიოდულ პრესაში, კრებულში და სხვ.

7 მაისის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. იგი ორივე სახელმწიფოს მიერ გამოქვეყნებულია თავიანთ ოფიციალურ გამოცემებში. კერძოდ, 1920 წ. 9 მაისს ხელშეკრულების ტექსტი (დამატებების გარეშე, დამატებითი მუხლები ხელმოწერილია 12 მაისის) გამოქვეყნდა „იზვესტიაში“ (№99). იმავე წლის ივლისში ხელშეკრულება სრულად დაიბეჭდა რსუსეთის სამთავრობო კრებულში „Собрание узаконений и распоряжений рабочего и крестьянского правительства“ (1920 წ. 9 ივლისი, №64). (ამავე კრებულშია გამოქვეყნებული საბჭოთა რუსეთის 1920 წლის სამშეიდობო ხელშეკრულები ესტონეთთან, ლატვიასთან, ლიტვასთან, პოლონეთთან).

1920 წლის ივნისში ხელშეკრულება საქართველოშიც გამოქვეყნდა: 6-8 ივნისს იგი დაიბეჭდა გაზეთ „ერთობაში“ (№125, 126), ხოლო 8 ივნისს მთავრობის ოფი-

7 მაისის ხელშეკრულება გამოქვეყნებულის ფრანგულ ენაზეც. 1924 წელს იგი დაიბეჭდა პარიზში, 1926 წელს კი უნევაში - ედგარ მილოს ნაშრომში „საქართველო, რუსეთი და ერთა ლიგა“ („კომუნისტი“, 1989 წ., 17 აგვისტო).

ხელშეკრულების ავთენტიკურობის დასადგენად და იურიდიული ძალის მისანიჭებლად, ჩვეულებრივ, ხდება მისი რატიფიკაცია. მაგრამ საერთაშორისო სამართალი იცნობს ისეთ ხელშეკრულებებსაც, რომელთა ტექსტში ვეა იმითითებული - „ძალაში შედის რატიფიკაციის გარეშე“ (მაგ. 1840 წლის ლონდონის კონვენცია თურქეთისათვის დაუყოვნებლივ დახმარების თაობაზე ეგვიპტის აჯანყებული ფაშის წინააღმდეგ). ასევე არ საჭიროებდა რატიფიკაციას 7 მაისის ხელშეკრულებაც, რადგან იგი „თვით ფაქტის ძალით“ შევიდა კანონიერ მოქმედებაში. მიუხედავად ამისა, 1920 წ. 11 მაისს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ იმსჯელა და მოიწონა იგი, რაც ხელშეკრულების კონფირმაციად შეიძლება ჩაითვალოს.

საერთაშორისო სამართალი აღიარებს, რომ ხელშეკრულება, თუ მისი მოქმედების ვადა განსაზღვრული არ არის, მუდმივად მიიჩნევა. მაგრამ ხდება ხელშეკრულების შეწყვეტა მისი დენონსაციის ან ანულირების გზით. 7 მაისის ხელშეკრულებაში მინიშნებული არ არის მისი ხანგრძლივობის ვადა, ამდენად იგი უვალო ხელშეკრულებად უნდა მივიჩნიოთ. არ მომხდარა ამ ხელშეკრულების არც დენონსაცია და არც ანულირება, იგი ცალმხრივად იქნა დარღვეული.

საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი *Pacta sunt servanda* (ხელშეკრულებანი უნდა სრულდებოდეს) ავალდებულებს სახელმწიფოებს, შეასრულონ ხელშეკრულებით ნებაყოფლობით ნაკისრი ვალდებულებანი. ეს უძველესი პრინციპი აღიარებულია გაეროს წესდებით და ვენის 1968-69 წწ. კონვენციით, რომლებზეც სსრ კავშირს ხელი აქვს მოწერილი. ამ პრინ-



ციაის დარღვევა საერთაშორისო დელიქტს წარმოადგენს
და პასუხისმგებლობა დამრღვევ მხარეს ეკისრება.

რუსეთმა დაივიწყა ეს პრინციპი, 1921 წლის სტეფან
რვალში ცალმხრივად დაარღვია საქართველოსთან და-
დებული საერთაშორისო ხელშეკრულება, შემოიჭრა სუ-
კერენსული საქართველოს ფარგლებში და მოახდინა მი-
სი ოქუპაცია. თითქმის 9 თვის მოქმედების შემდეგ,
უხეშად შეწყდა 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება,
რისთვისაც პასუხისმგებლობა მხოლოდ საბჭოთა რუ-
სეთს უნდა დაეკისროს.

საქართველოს აქვს უფლება დასვას 7 მაისის ხე-
ლშეკრულების აღდგენის საკითხი.

* * *

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე
ხესის დღის წესრიგში შეტანილია საკითხი საქართვე-
ლოს რევენტის მიერ საქართველოს დემოკრატიული რუ-
სპეცბლიკის პოლიტიკური ინსტიტუტების გაუქმების აქ-
ტების სამართლებრივი შეფასების თაობაზე. ეს მნიშვნე-
ლოვანი მოვლენაა არა მარტო ისტორიული უსამართ-
ლობის გასწორების თვალსაზრისით, არამედ, როგორც
ახალი ეტაპი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუ-
კიდებლობის აღდგენის გზაზე.

რევენტის დეკრეტები და აქტები, რომლებმაც გააუ-
ქმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლი-
ტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტები, რითაც ფაქ-
ტობრივად ბოლო მოედო ქართულ დამოუკიდებელ სახე-
ლმწიფოებრიობას, სამართლებრივი თვალსაზრისით უკა-
ნონოა. იურიდიულ საფუძველს მოკლებული იყო თვალ
საქართველოს რევენტის არსებობაც. იგი „მნიშვნელების
კონტრრევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ ხალხის
მასების აჯანყების ცეცხლიდან და კვამლიდან გამოსუ-
ლი“ კი არ ყოფილა, როგორც თვითონ ამტკიცებდა,
არამედ შექმნილი იყო რუსეთის კომუნისტური პარტიის
(ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბი-
უროს მითითებით და შელავერში მდგომი XI წითელი
არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ბრაძნებით

1921 წლის 16 თებერვალს. რევკომს არ გააჩნდა ქართველი ერის ნდობის მანდატი, იგი „მუშარ-გლეჭური ხა-ქართველოს“ ინტერესების ერთად-ერთი გამოშეატველის როლსაც უსამართლოდ ითვისებდა. ნიშანდობლივია, ისიც, რომ საქართველოს რევკომი თბილისში 26 თებერვალს შემოვიდა, მას შემდეგ, რაც ქალაქი რუსეთის სამხედრო შენაერთოებმა დაიკავეს, აქ სამხედრო მდგომარეობა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გამოაცხადეს. „ქალაქი ტფილისი ბურჯუაზიის უკანასკნელი სიმაგრე დაეცა და საქართველოს გამოცხადებულია საბჭოთა რესპუბლიკად“ - ნათქვამია XI არმიის თბილისის მიმართულების ჯგუფის უფროსის მ. ველიკანოვის ბრძანებაში ლაშქრისადმი, რომელიც 25 თებერვალს გამოქვეყნდა.

საქართველოს რევკომის პირველი დეკრეტი ამნისტიის შესახებ იმდენად ჰუმანური და უწყინარი იყო, რომ ძნელია ეჭვი შეიტანო მის შემოქმედთა სათნოებაში, მაგრამ როცა ეცნობი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბოლშევიკთა მიერ კლასობრივი ნიშნით მოწყობილ კაცთმოძულე სისხლიანი აქციების შედეგებს, ყველაფერი თავდაყირა დგება და რწმუნდები, რომ მათი პირველი დეკრეტი მხოლოდ თვალთმაქცობა და ბოლშევიკთათვის ჩვეული „ლამაზი“ სიტყვა იყო. „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური მთავრობა მოკლებული შურისძიების ყოველ გრძნობას თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ“, - ვკითხულობთ დეკრეტში - აცხადებს ყველა პოლიტიკური პარტიის, ჯგუფების და პირების ამნისტიას. „ამ ამნისტიის ძალით არც ერთი წევრი ამგვარი პოლიტიკური პარტიის, და საერთოდ არავინ, არ უნდა იქნეს დატუსადებული, მიცემული სამართალში და ადმინისტრაციულად დევნილი იმ ბოროტი მოღვაწეობისათვის, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა ძალაუფლების და საქართველოს კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ“. მეორე დღეს, რევკომის სპეციალური ბრძანებით კონტრრევოლუციასთან, სპეკულაციასა და საბოტაჟთან საბრძოლველად შეიქმნა საქართველოს



საგანგებო კომისია... ბოლშევიკთა სიტყვა და საქართველოს როგორც ცა და დედამიწა ისე დაშორდნენ ერთმანეთს კომისა

რევოლუციის შემდეგი დეკრეტით გამოცხადდა დემობილიზაცია და დათხოვნილ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმია და სახალხო გვარდია. თუმცა ქართული საარმიო შენაერთები ერთბაშად არ დაშლილა. ცნობილია, რომ ამ დეკრეტის გამოქვეყნებიდან თითქმის სამი კვირის შემდეგ, თვით ბოლშევიკთა წინადაღებით, გენერალმა გ. მაზნიაშვილმა ქართული ჯარის ნაწილების მეშვეობით ბათუმი თურქთა ხელიდან გამოიხსნა.

დეკრეტი №6-ით (1921 წ. 22 მარტი) გაუქმებულ იქნა სენატი და სასამართლოს სხვა დაწესებულებანი (სასამართლო პალატა დეპარტამენტებით, სამხედრო სასამართლო, იუსტიციის სამინისტროსთან ასრებული კანონთა გადამსინჯავი კომისია და სხვა), როგორც „კლასობრივ პრინციპებზე აგებულნი“, რომლებიც „არ შეესაბამებიან ფართო მშრომელი მასის მოთხოვნილებებს და ერ უზრუნველყოფებ მართლმაჯულების სისწორით განხორციელებას“.

„საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონერი კომიტეტის ამა წლის 1921 წლის მარტის 24-ის დადგენილების თანახმად საქართველოს დამფუძნებელი კრება დათხოვნილია“, - იუწყებოდა დეკრეტი №7, რომელსაც ხელს აწერდნენ რევოლუციის თავმჯდომარე ფ. მახარაძე და მდივანი შ. გაბრიელიძე. ასე, „რევოლუციური დროის კანონით“ გააუქმეს ერთი ნების გამომხატველი საქართველოს დამფუძნებელი კრება, რომელიც ჰქონდა დემოკრატიულ საფუძველზე იურიდიული. ამ კრების უკანასკნელი სხდომა 1921 წლის მარტში გაიმართა ბათუმში. კრებამ დროებით შეაჩერა საქართველოს კონსტიტუციის მოქმედება და მიიღო სპეციალური დადგენილება, რომლის თანახმად დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრები, როგორც „კრების იურიდიული გამოხატულება“, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მთავრობასთან ერთად მისით გაგზავნა უცხოეთში სამუშაოდ.

1921 წლის 21 აპრილს საქართველოს რეველუციური მოსცა დეკრეტი სახელმწიფო ხელისუფლების პორტფელის ზაფირის შესახებ, რითაც გააუქმა დემოკრატიული რესპუბლიკის სამინისტროები და სანაცელოდ შექმნა სახელმწიფო მმართველობის ახალი ორგანოები - სახალხო კომისარიატები.

მაღვე რეველუცია კიდევ კრთი დეკრეტი გამოაქვეყნა, რომლითაც გააუქმა დემოკრატიული საქართველოს ეროვნული სიმბოლოები - შვინდისფერი დროშა შავ-თეთრი ზოლით და გერბი - ცხენოსანი თეთრი გიორგი, შვიდი მნათობითურთ. 1921 წლის 20 მაისს გამოცემულ დეკრეტში №36 ნათქვამია: „ვინაიდან 1921 წლის თებერვლის 25-დან საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება კ. ი. მშრომელთა დიქტატურა, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი სამუდამოდ გაუქმებულად აცხადებს ბურჟუაზიული წყობილების ყველა ემბლემებს, როგორიც იყო სამფეროვანი დროშა და ძველი დერბი”.

ვერ გააუქმა რეველუცია სამუდამოდ სამფეროვანი დროშა. თითქმის შვიდი ათეული წლის შემდეგ ეროვნულმა დროშამ კვლავ მოუხმო და დარაზმა საქართველოს დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის მებრძოლი ძალები. დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ძნელ გზაზე ხევნებული სესიის გადაწყვეტილებანი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

„ახალგაზრდა ივერიელი”,
1990 წ., 19 ივნისი.

საქართველოს ოქტოპირი - დიდი ეროვნულ-დემოკრატი
 (სპირიდონ კედია - 110)

გასული საუკუნის 60-იან წლებში წარმოიშვა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ახალი მიმართულება - ეროვნულ დემოკრატიზმი. იგი საკაცობრიო გამოცდილების ეროვნულ პრიზმაში გარდატეხის შედეგად ჩამოყალიბდა და არსებითად ქართულმა ყოფილმა სინამდვილემ შეაპირობა. ეროვნული და დემოკრატიული მსოფლმხედველობის დამკვიდრება ჩვენში იღია ჭავჭავაძესა და მის სახელოვან თაობას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალ-დემოკრატიზმი ეროვნულ-განმათვისეუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიას წარმოადგენდა, როგორც ყოველი სიახლე, ისიც ძნელად და წინააღმდეგობრივად მიკავდებდა გზას. იღიამ ამ მიმართულების პოლიტიკური პარტიის შექმნაც სცადა პირველი რევოლუციის პერიოდში, მაგრამ, რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გამო, ეს წამოწყება მწერლის სიცოცხლეში ვერ განხორციელდა. ამ პარტიის ფორმირება და პირველი მესაჭირება ბედმა სპირიდონ კედიას არგენა.

რთული და ექლიანი გამოდგა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და მისი დამარსებლის სპირიდონ კედიას ცხოვრება და მოღვაწეობა. ისე მოხდა, რომ ხელისუფლებაში ყოფნის ღირსი პარტია საერთოდ აკრძალულ იქნა, ხოლო მისი პირველი თავმჯდომარე ემიგრაციაში, ერთი მომცრო საპარტიუმერიო ფირმის აქციონერიად გარდაიცვალა. მაგრამ უმჯობესია მივყვეთ თავიდან.

სპირიდონ მალხაზის - ძე კედია (ზოგიერთი საარქივო დოკუმენტით კედია) დაიბადა 1884 წლის 20 სექტემბერს ქ. ზუგდიდში, შეძლებული აზნაურის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მომავალმა პოლიტიკურმა

და საზოგადო მოღვაწემ მშობლიური ქალაქის ხუთწლიან რუსულ სკოლაში მიიღო (იმხანად ზუგდიდში მდგრადი საზოგადო სკოლა ჯერ კიდევ არ არსებობდა), 13 წლისაში კი სწავლა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში განაგრძო. პატარა სპირიდონი დედამ საცხოვრებლად ცნობილი პედაგოგისა და სახელოვანი მამულიშვილის იოსებ ოცხელის ოჯახში დაბინავა. სპ. კედიას ბიოგრაფის, საზღვარგარეთ მოღვაწე პატრიოტის და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრის მიხეილ ქავთარაძის სიტყვით: „ოცხელის ოჯახში ცხოვრება, შემდეგი საუკეთერის პატრიოტული სკოლა იყო გულისყურის მქონე ბავშვისათვის და მის გულში უკვე დანერგულ სამშობლოს სიყვარულს კიდევ ახალი უფრო ძლიერი ყლორტები დაემყნა“.

სპ. კედიას მოწაფეობის წლები დაემთხვა როულ და ბობოქარ მოვლენებს, რასაც აღგილი პქონდა რუსეთის ვრცელ იმპერიაში ახალი საუკუნის დასაწყისიდან. (რუსეთ-იაპონიის ომი, პირველი სახალხო რევოლუცია). რევოლუციური მღელგარება - გაფიცვები, მიტინგები, მანიფესტაციები უცხო როდი იყო მაშინდელი ქუთაისისათვის. მოსწავლე-ახალგაზრდობა ენერგიულად ჩაება ამ მოძრაობაში. წარმოებდა საწრეო არალეგალური მუშაობა, გამოსცემდნენ ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებს, პროცესულებდნენ პექტოგრაფზე გადაბეჭდილ ანტისაომარ პროკლამაციებს და სხვ. თანატოლებში გამორჩეული ჭაბუკი ხპირიდონი ამ მოძრაობის შეაგულში იდგა. სპ. კედიას მეუღლის, სოფიო ჩიჯავაძე-კედიას გამოუქაეყნებელი მოგონებებიდან ვებულობთ, რომ სპირიდონს, როგორც ქუთაისელ მოსწავლეთა წარმომადგენელს, მონაწილეობა მიუღია და სიტყვა წარმოუთქვამს ხელისუფლების საწინააღმდეგო მიტინგზე, რომელიც თბილისში, ახლანდელი უნივერსიტეტის მიდამოებში გამართულა. მიტინგი კაზაკთა რაზმს დაურბევია, მაგრამ ასეთი განსაცდელი ვერ აშინებს საბრძოლველად შემართულ მომავალ პოლიტიკოსს, იგი მთელი არსებითაა ჩაბმული მოძრაობაში.

არქივში დაცულ ეანდარმერის ერთ-ერთ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მერვე კლასელ სპ. კედიას აქ-



გიური მონაწილეობა მიუღია ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეთა არეულობაში 1905 წ. იანვრის ბოლოს, რესპუბლიკური ფინანსთა მინისტრის მიერ გარიცხულ იქნა.

მოსწავლე-ახალგაზრდობის საკმაოდ დიდი ნაწილი თანაუგრძნობდა რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებსა და მათ იდეოლოგიას, რომელიც ფართოდ ვრცელდებოდა იმდროინდელ საქართველოში. იოსებ ოცხელის ფრთხებები დაფრთხიანებული ახალგაზრდა სპ. კედია კი შორს იდგა მარქსიზმისაგან. იგი განმსჭვალული იყო ეროვნული მსოფლმხედველობით და იზიარებდა საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას.

პოლიტიკურ ძალათა შორის საქართველოს ავტონომიის საკითხი პირველად სოციალისტ-ფედერალისტურმა პარტიამ დააყენა. სწორედ ამ იდეის ერთგულებამ დააკავშირა სპ. კედია ფედერალისტებთან. მ. ქავთარაძის გადმოცემით, სპ. კედია ამ პარტიის „საიდუმლო მოქმედების მონაწილე და რუსეთ-იაპონიის ომის დროს დეეპოზიშვილის მიერ გამოგზავნილ იარაღის მიღების უშუალო თრგანიზატორი“ ყოფილა.

აგენტურის მონაცემებით ირკვევა, რომ სპ. კედია ზუგდიდის მაზრაში ხშირად გამოსულა გლეხთა თავჭრილობებსა და საიდუმლო შეკრებებზე როგორც ორაბორი. იგი გმობდა ხელისუფლების რეაქციულ ღონისძიებებს და მხარს უჭერდა საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას. ყოველივე ამის გამო სპ. კედია ქუთაისის ქანდარმთა სამმართველოს ყურადღების საგანი გამხდარა. მის წინააღმდეგ ქანდარმერიას ფორმალური მოკვლევაც უწარმოებია, მაგრამ სპირიდონს მოუსწრია მიმაღვა, სვანეთში გადასულა და დროებით იქ უპოვია თავშესაფარი. ძიება კვლავ გრძელდებოდა, დაპატიმრების შემთხვევაში კედიას სასჯელი არ ასცდებოდა, ამიტომ იგი იძულებული გამხდარა უცხოეთში გახიზნულიყო.

სპ. კედიამ საფრანგეთს მიაშურა და დიდი წვალებით პარიზს ჩააღწია.

ემიგრაციაში გამგზავრებამდე სპ. კედია ჩამოშორდა სოციალისტ-ფედერალისტებს. 1906 წ. ზაფხულში

უედერალისტურ პარტიაში განხეთქილება მოხდა მემკრეობაზე ჯვენენი, უმთავრესად ეროვნულ-დემოკრატიკული რიგებიდან გავიდნენ, მათ შორის იყო ს. კედიაც. სწორედ იმ ხანებში ადგილი პქონდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზაცია და ჩამოყალიბების ცდას, მაგრამ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ეს წამოწყება უშედეგოდ დამთავრდა.

პარიზში მყოფი ს. კედია ჯერ კოლეჯ დე ფრანსის მსმენელი ხდება, მომდევნო წელს კი ირიცხება სორბონის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. სტუდენტი კედია ფულად შემწეობას ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საზოგადოებიდან იღებდა.

ილია ჭავჭავაძის სულიერ მემკვიდრეობაზე აღზრდილი ახალგაზრდა შორეულ საფრანგეთშიც თავის სამშობლოს ჭირ-ვარამზე ფიქრობდა, ცდილობდა ოდნავ მაინც გამოდგომოდა საქვეყნო საქმეს. ს. კედიას სტუდენტობისდროინდელი მისწრაფებებისა და განწყობილებების შესახებ მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის მისი წერილები სარგის კაკაბაძისადმი.

ცნობილი ისტორიები ს. კაკაბაძე და ს. კედია ერთად სწავლობდნენ ქუთაისის გიმნაზიაში. შემდეგ ში მათი გზები გაიყარა, - ერთი პარიზში აღმოჩნდა, მეორე კი ვენაში, თუმცა წერილობითი კავშირი არ გაუწყვეტიათ. „თუ ცოტაოდენ ანგარიშს გაუწევთ იმ მრავალფეროვან სულიერ მოთხოვნილებას ჩვენი ხალხისას, არ შეიძლება ყრუდ დავრჩეთ მის სამართლიან მოთხოვნაზე უველაზე უფრო მოვალეობა გვაწევს ჩვენ, მოსწავლე მზარდ თაობას და უკვე სამოქმედოდ გამოსულ ინტელიგენტურ ძალებს“, - წერდა ს. კედია 1907 წელს ს. კაკაბაძისათვის გაგზავნილ წერილში და იქვე დასძენდა: „ცოცხალი სამეცნიერო, ისტორიული, სახალხო პოპულარული, მეცნიერული წიგნების გამოცემა ჩვენს ენაზე დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენი ხალხის იდეურად მომწიფების საქმეს“. ამ მიზნით პარიზელ ქართველ სტუდენტებს „მთარგმნელთა საზოგადოება“ შეუქმნიათ და ს. კედიაც ამ საქმიანობაში ჩაბმას სთხოვდა თავის გიმნაზიელ ამხანაგს.



სპ. კედია არ კმაყოფილდება სორბონის დამთავრული ბითა და დიპლომის - „ლისანს ეს სიანს"-ის მიღებით სამარტინო საუკუნეებისათვის, მაგრამ ჭიათურიდან ფულის გზავნა შეუწყდა, როგორც კურსდამთავრებული. ამასთან ეკროპაში ძალუმად იგრძნობოდა მოახლოებული ომის სუნთქვა, რამაც ახალგაზრდა ქართველს სამშობლოში დაბრუნებისაკენ უბიძგა. სპ. კედიამ, იცოდა, რომ რუსეთის იმპერიის საზღვრებში დაბრუნება ძებნილი კაცისთვის ითლი არ იყო. ამიტომ წინასწარ იხსრუნა: თავის პროფესორს რუსეთში საფრანგეთის ელჩისადმი სარეკომენდაციო წერილი სთხოვა, ჯიბეში ყალბი პასპორტი (გვარად დემეტრაშვილისა) ჩაიდო და ისე გამოემგზავრა, მაგრამ ფხიზლად იყო საიმპერიო ქანდარმერიაც, რომელსაც თავისი აგენტურა მრავლად ჰყავდა უცხოეთშიც. მისთვის ცხობილი გახდა სპ. კედიას განზრახვა სამშობლოში არალეგალურად დაბრუნებისა სხვისი, შესაძლოა ვინმე ჯანაშიას პასპორტით.

პოლიციის დეპარტამენტმა თავის ქვედანაყოფებს ოპერატორი დავალება მისცა, თუ კედია იმპერიის ფარგლებში გამოჩნდებოდა, მასზე დაეწესებინათ ფარული მეთვალყურეობა ძებნილის რევოლუციური კავშირების გამოსარჩევად; ამასთან დაუგზავნა სპ. კედიას ფოტოსურათი და აღწერილობა. მოგვყავს ეს აღწერილობა დედის ენაზე: „Приметы Кедия: высокого роста, крепкого телосложения, нос большой, кожа на лице очень пористая, причем лицо, как будто, усеяно мельчайшими черными точками; большие, торчащие в сторону, усы; волосы на голове черные с боковым пробором; очень близорук, всегда носит пенснэ без оправы; сильно картавит; прекрасно владеет русским, французским и грузинским языками. Тип грузина и производит впечатление настоящего серьезного интеллигентного господина".

ქანდარმერიამ მაღვევე შეიტყო სპ. კედიას პეტერბურგში ჩამოსვლა. იგი დაპატიმრეს და ციხეში ჩასვეს.

ხელნაწერთა ინსტიტუტის ივ. ჯავახიშვილის ფონდში დაცული წერილები მოწმობს, თუ როგორ შეუწებია ამ ფაქტს პეტერბურგში მცხოვრები ქართველობა.



მათ ყველა ღონე იხმარეს ახალგაზრდა თანამედროვეების გასანთავისუფლებლად, რასაც მიაღწიეს კიდევ უნიტალი გენერლის ნაქაშიძის შემწეობით. პატიმრობიდან თავდასხილი სპ. კედია 1914 წელს თბილისში ჩამოვიდა.

სამშობლოში დაბრუნებულმა სპ. კედიამ ნახა, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე აქ ბევრი არაფერი შეცვლილიყო. ილიას სიკედილმა მხოლოდ დროებით გამოაფხიზდა და შეკრა ქართველობა. მერე ისევ ყველაფერი ძველებურად წარიმართა... სოციალ-დემოკრატებს კიდევ უფრო განხმტყიცებინათ თავიანთი პოზიციები. ეროვნული მიმართულების ორიოდე პერიოდული ორგანო თავისი უმნიშვნელო ტირაჟით ამინდს ვერ ქმნიდა. სპ. კედიამ განიზრახა ახალი ქართული გაზეთის გამოცემა. ამ მიზნით იგი დაუკავშირდა ბაქოელ ქართველებს, რომლებმაც უყოფმანოდ გაიღეს გაზეთის დაარსებისათვის საჭირო თანხა (აღსანიშნავია, რომ ქართულ კოლონიას ბაქოში ჯერ კიდევ 1908 წელს შეუდგენია პროგრამა ეროვნული პარტიის ჩამოსაყალიბებლად). სპირიდონმა შემოიკრიბა ეროვნულ მოღვაწეთა ჯგუფი (რ. გაბაშვილი, დ. ვაჩნაძე, შ. ამირჯიბი და სხვ.), რომელიც 1912 წლიდან უურნალ „ელდეს“ გამოსცემდა. ახალ ეროვნულ-დემოკრატიულ გაზეთს, რომლის პირველი ნომერი 1915 წ. 24 მაისს გამოვიდა უწოდეს „საქართველო“. მისი თავდაპირველი რედაქტორი პოეტი ს. შანშიაშვილი იყო. გაზეთი ყოველდღე გამოდიოდა. დღითი-დღე იზრდებოდა მასზე ხელმომწერათა რიცხვი. ახალი ორგანოს პოპულარობას ორი გარემოება განაპირობებდა: 1) ეროვნული პრობლემატიკა, რომელიც „საქართველოს“ უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენდა თანდათან უფრო მახლობელი ხდებოდა ფართო საზოგადოებრიობისათვის და 2) გაზეთში თანამშრომლობდნენ ქართველი ინტელიგენციის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენელი და ნიჭიერი კალმოსნები, როგორებიც იყვნენ: ნ. ნიკოლაძე, გ. ქიქოძე, მიხ. ჯავახიშვილი, გ. გვაზავა, ვ. ბარნოვი, ექვ. თაყაიშვილი, ალ. ასათიანი და სხვ. ბევრს წერდა თავად სპ. კედიაც, უმთავრესად მოწინავებს. სპ. კედიას საგაზეთო წერილებს გამოარჩევდა პი-

რდაპირობა, სათქმელის სიცხადე და მიმზიდველი სტილი. ავტორის გამბედაობას წინ ეღობებოდა მეტისმცველური ფრთხილი ცენზურა. ხშირად მეთაური წერილები ცენზურისაგან შემოკლებულ-დანაკუწებული იძეჭდებოდა, რის გამოც გაზეთის პირველ გვერდზე ბევრი თეთრი ადგილი რჩებოდა, მაგრამ „საქართველო“ თავის მიზანს მაინც აღწევდა. იგი გარს იკრებდა და მჭიდროდ რაზმავდა ეროვნულ-დემოკრატიული იდეის მიმდევართა და თანამგრძნობათ.

გაზეთში მოღვაწეობას დიდი დრო და ენერგია მიკენდა, მაგრამ ს. კედია ახერხებს იმოგზაუროს საქართველოს ყველა კუთხეში, იპოვოს თანამოაზრენი, რომელთაც მაღე სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ პოლიტიკურ პარტიად შეაკავშირებს. ს. კედიას არ შეუქმნია ახალი პარტიის თეორიული დებულებები და პრინციპები. ამის საჭიროება და აუცილებლობა არც იყო. ალ. ასათიანის სიტყვით, „ეროვნულ-დემოკრატიული დარაზმულობა დაემყარა იმ საფუძვლებს, რომელიც მტკიცებ იყო ჩამოქნილი და ჩამოყალიბებული მესამოციანთა იდეურსა და პრაქტიკულს მოღვაწეობაში“.

1917 წ. მარტის პირველ რიცხვებში შეიქმნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი ს. კედიას, გ. გვაზავას, გრ. ვეშაპელის, ვ. წერეთლის, შ. ქარუმიძის და სხვ. შემადგენლობით. მათ გაშალეს ნაციონალურ-დემოკრატიულ შეხედულებათა პროპაგანდა. 10 მარტს თბილისში გაიმართა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრთა და თანამგრძნობათა ხალხმრავალი კრება, რომელსაც ორი ათასამდე კაცი დაესწრო. კრებას თავმჯდომარეობდა ს. კედია. ეს იყო ერთ-ერთი პირველი ლეგალური შეკრება, რომელმაც თვალნათლივ აჩვენა, რომ ნაციონალურ-დემოკრატიული იდეოლოგია გარს იკრებს თანამოაზრეთა ახალ ფართო წრეებს და მძლავრ პოლიტიკურ ძალად ირასმება.

1917 წლის ინისში გაიმართა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი ყრილობა. პარტიის თავმჯდომარედ ერთხელ არჩეულ იქნა ს. კედია. იმავე წლის ნოემბერში მას ირჩევენ ეროვნული საბჭოსა და

მისი აღმასკომის წევრად. სპ. კედიას, როგორც უცხადებოდა ლისტი პოლიტიკოსის მთელი საქმიანობა შემართული იყო საქართველოში მოქმედი პოლიტიკური ძალების გაერთიანებისაკენ, ამასთან იგი მჯიდროდ იყო დაკავშირებული საზღვარგარეთ არსებულ „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტთან“, რომლის წევრები უცხოეთში იღწვოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

სპ. კედიამ თავი გამოიჩინა დიპლომატიურ სარბიჟლზეც. როდესაც გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტისაგან“ მოითხოვეს მოლაპარაკებაზე ჩასულიყო საქართველოს მიერ ნდობით აღჭურვილი პიროვნება, ასეთ კაცად შერჩეულ იქნა სპ. კედია. სპ. კედიასვე დაკისრა გერმანიის მთავრობასთან უკვე დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური დელეგაციის მდივნობა, რასაც ასევე წარმატებით გაართვა თავი. მალე სპ. კედია ბერლინიდან სამშობლოში დაბრუნდა, რათა ჩამდგარიყო ახლად აღდგენილი ქართული სახელმწიფოს მშენებელთა რიგებში.

1919 წ. თებერვალში ჩატარდა საქართველოს დამფუძნებელი კრების მრავალპარტიული არჩევნები, რომელშიც წარმატება ხოციალ-დემოკრატებს ხედათ. ეროვნულ-დემოკრატთაგან, რომელებმაც 8 მანდატი მიიღეს, დეპუტატები გახდნენ: სპ. კედია, ნ. ნიკოლაძე, გ. გვაზავა, ექვ. თაყაიშვილი, ალ. ასათიანი და სხვ.

სპ. კედია არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო და თვითმმართველობის კომისიებში. განსაკუთრებული ინტენსივობით გამოირჩეოდა საკონსტიტუციო კომისიის საქმიანობა, რომელმაც შეიმუშავა პირველი ქართული კონსტიტუციის პროექტი. იგი დამტკიცებულ იქნა დამფუძნებელი კრების მიერ.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ურაქცია რიცხობრივად მცირე, მაგრამ ინტელექტუალური შესაძლებლობებით სერიოზულ და საგულისხმოობობის წარმოადგენდა.

დამფუძნებელ კრებაში სპ. კედიას გამოსვლების უმთავრესი საგანი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმ-



ტკიცების საკითხი იყო. იგი ასაბუთებდა, რომ როგორც ერის დაცვის იმედი, უთუოდ პოლიტიკის გარეშე უნდა იდგეს", და უმჯობესია ქვეყანას გააჩნდეს, თუნდაც მცირერიცხოვანი, მაგრამ კარგად გაწვრთნილი და დისციპლინირებული არმია, ვიდრე ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამხედრო ძალა (გვარდია და რეგულარული ჯარი).

ს. კედია აკრიტიკებდა მთავრობის საგარეო პოლიტიკურ კურსს, გმობდა მის მერყევ ორიენტაციას „მებრძოლ ინტერნაციონალურ პოლიტიკასა და ნამდვილ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პოლიტიკას შორის", მოითხოვდა გამოეჩინათ მეტი პრინციპულობა შინაური თუ გარეშე მტრების წინააღმდეგ და სხვ. მისი მსჯელობა გამოირჩეოდა დამაჯერებელი არგუმენტაციით, თანმიმდევრობითა და მტკიცე ლოგიკით. გამოსვლისას მუდამ ზომიერ და თავდაჭერლ ტონს ამჯობინებდა. ყველაფერ ამას ემატებოდა ს. კედიას იშვიათი ორატორული ნიჭიც, რის გამოც მას „საქართველოს ოქროპირსაც" ეძახდნენ. ი. ჯავახიშვილს თურმე უთქვაშს: სპირიდონ კედიას სიტყვა „ევროპულ დიდ პარლამენტში მოსმენის ღირსიაო". მაგრამ, ნათქვამია: „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინიდათ"... 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს თავს დაატყდა დიდი განსაცდელი... ჩვენმა ქვეყანამ თავისუფლება და დამოუკიდებლობა დაჲკარგა. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა ემიგრაციაში გახიზნულიყო. მთავრობასთან ერთად გაემგზავრა დამფუძნებელი ქრების წევრთა ერთი ნაწილიც.

ს. კედია უცხოეთში არ წასულა, თუმცა მას არაერთგზის მიმართეს თხოვნით ამის თაობაზე. ნ. ქორდანიასაც შეუთავაზებია: თუ ოფიციალურ პირად არა, კმრბო პიროვნებად მაინც წამობრძანდითო, მაგრამ ს. კედია სამშობლოში დარჩა. იგი ერთი წუთითაც არ შერიგებია ახალ ხელისუფლებას, მეტიც, ს. კედიამ თავი მოუყარა დაფანტულ ეროვნულ ძალებს და იწყო ბრძოლა დაქარგული თავისუფლებისა და სუვერენობის აღსაღენად. თითქმის ერთი წლის განმავლობაში იგი, როგორც აღიარებული ხელმძღვანელი, სათავეში ედგა

ეროვნულ მოძრაობას, აღვივებდა თავისუფლების საქართველოს სკოლების.

1922 წლის თებერვალში, საქართველოს დაპყრობის წლისთავზე, განხრახული იყო თბილისში ფართო დემონსტრაციის მოწყობა, მაგრამ წინა დამით სპ. კედია და ბევრი სხვა ეჭვმიტანილი დაატუსაღეს. ერთი წელი და-პყო სპ. კედიამ პატიმრობაში, - ჯერ მეტების, ხოლო შემდეგ საგუბერნიო ციხეში. მთელი ამ ხნის განმავლობაში მას არ გაუწევებია კავშირი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან“, რომელიც ანტისაბჭოთა აჯანყებას ამზადებდა. სპ. კედია იზიარებდა იდეას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საერთო კავკასიური მასშტაბით (მთიელებთან და აზერბაიჯანელებთან ერთად) გამოსვლისა და მიაჩნდა, რომ მარტო ქართველობა, მეზობლების დაუხმარებლად, ვერას გახდებოდა.

სპ. კედიას მეუღლის, სოფიო ჩიჯავაძე-კედიას გაბედული მოქმედებით მოხერხდა ეროვნულ-დეკმოკრატთა ლიდერის ციხიდან განთავისუფლება, მაგრამ სპირიდონს სამშობლოში ცხოვრების ნება არ დართეს. იგი ბათუმში ეტაპით ჩაიყვანეს და იქიდან საზღვარგარეთ გაასახლეს.

სპ. კედია საფრანგეთში ჩავიდა. აქ იმყოფებოდა სამშობლოდან განდევნილი სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, მაგრამ სპირიდონმა მისგან გამიჯნულად ყოფნა არჩია, თუმცა პოლიტიკურ მოღვაწეობას არ ჩამოშორებია. 1925 წელს მან პარიზში დაარსა გაზეთი „სამშობლოსათვის“, რომელსაც თვითონვე რედაქტორობდა, ხოლო მოგვიანებით გამოსცა „საქართველოს გუშაგი“.

სპ. კედია 64 წლის ასაქში გარდაიცვალა 1948 წელს, დაკრძალულია პარიზთან ახლომდებარე ლევოლის ქართველთა სასაფლაოზე.

„... დავკარგეთ ივერიის ერთგული გუშაგი; აღარ გვავს უკეთილშობილები წარმომადგენელი ქართველი ერის მარადიული იდეალისა, რომელიც მთელი თავისი ენერგიით და უანგარო პატრიოტიზმით მუდამ იღწვოდა ქართული საქმისათვის, მტკიცედ ატარებდა თავისუფლების დროშას, საუკეთესო დამცველი იყო ქართული აზ-

როვნების...", აღნიშნავდა კალისტრატე სალია სპ. კედიახ /
დაქრძალვის დღეს სასაფლაოზე წარმოთქმულ სიცემის გადასაცემა
საქართველოში კი ბოლო დრომდე თითო-ოროლა
კაცმა თუ იცოდა სპ. კედიას ვინაობა, რადგან სისხლის
ღვრითა და ძალადობით დამკვიდრებულმა ბოლშევიკუ-
რმა ხელისუფლებამ ძალადობა იხმარა ისტორიაზეც.
იგი შეეცადა თაობებისათვის სამუდამოდ დაემალა
მშობლიური ისტორიის სამწლიანი მონაცემთი, - საქართ-
ველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანა
და ტაბუ დაადო იმ პერიოდის მოღვაწეთა სახელებსაც.

მაგრამ არაფერია დამალული, რაც არ გამჟღა-
ვნდეს. დრო იცვალა. ათწლეულების ბურუსს ქარი ფა-
ნტავს, ნათელი ეფინება უსამართლოდ დავიწყებულ მა-
მულიშვილთა სახეებს. მათ შორის გამოკრთის ერო-
ვნულ-დემოკრატიული პარტიის დამაარსებლისა და პირ-
ველი თავმჯდომარის სპირიდონ ქედიას უკვდავი სახეც.

„საქართველოს რესპუბლიკა”,
1994 წ., 24 სექტემბერი.

„და თებერვალიც შეიმოსა ოქტომბრის კაბით!“

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მესამე, 1921 წლის დასაწყისი, საერთაშორისო თვალსაზრისით, ცუდს არას უქადდა ჩვენს სახელმწიფო ფორმირებისას. პირიქით, ევროპიდან დიდი ხნის ნანატრი, სასიხარულო ცნობა მოვიდა: მოკავშირე სახელმწიფოთა უძალესი საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს დამოუკიდებლობა იურიდიულად იქნა აღიარებული. ეს ნიშნავდა, რომ ჩვენს ქვეყანას ფართო გზა ეხსნებოდა ცივილიზებულ ერთა დიდ ოჯახში დასამკეიდრებლად. აღტაცებით მიიღეს ეს ცნობა საქართველოში. დამფუძნებელმა კრებამ ამ ფაქტის გამო საგანგებო სხდომა გამართა. საქართველოს მთავრობამ კი მოაწყო საზეიმო ბანკეტი, რომელზეც მოიწვიეს უცხოეთის სახელმწიფოების ელჩები, სხვა დიპლომატიური წარმომადგენლები. წარმოითქვა მისასალმებელი და სამადლობელი სიტყვები, შეისვა სადღეგრძელოები. სტუმართა შორის იყო საბჭოთა რუსეთის სამსახურში მყოფი ჩვენივე თანამემამულე, თბილისში რუსეთის საელჩოს პირველი მრჩეველი ს. ქავთარაძე. სხვებთან ერთად, რუსეთის სახელით, მანაც მიუღლოცა საქართველოს საერთაშორისო აღიარება, მაგრამ საქუთარი გულისწადილი ბოლომდე ვერ დაუარა და ნ. ქორდანიასადმი მიმართვა ასე დაამთავრა: „ამხანაგო ნოე! მე მოგმართავთ ასე, რადგან ის წყარო, რომლიდანაც ჩვენ მიგეიდია იდეური საზრდო - ერთია... თქვენთვის, როგორც სოციალისტისათვის, რომელიც სახელმწიფოს სათავეში უდგია და რომლის საბოლოო მიზანი სოციალიზმია, არსებობს საქართველოსა და რუსეთს შორის უფრო დრმა კაეშირი, ვიდრე ისტორიული და გეოგრაფიული... იმ პიმნს, რომელიც არის ლოცვა მთელი მსოფლიოს სოციალისტური პროლეტარიატის და აგრეთვე თქვენიც, თქვენ მოისმინეთ დრმა სასოებით და თქვენი გული მეტის თანაგრძნობით და სიყვარულით

აძგერდება „ინტერნაციონალის“ ხმების გაგონებაზე". მართლაც, ჩრდილოეთიდან არა თუ „ინტერნაციონალის“ პანგები მოისმოდა, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის იდეით აღტკინებულ წითელარმიელთა აჩქარებული სუნთქვაც საქმაოზე მეტად საგრძნობი გამხდარიყო.

ხსენებული ბანკეტი თბილისში 1921 წლის 6 თებერვალს შედგა, მაშინ, როდესაც ბოლშევიკურ მოსკოვში უკვე დასრულებული იყო სამზადისი საქართველოს გასაბჭოების მზაკვრული გეგმის ხორცშესასხმელად. დგა ბოდა უამი პრაქტიკული მოქმედებისა.

11 თებერვალს, დამით, ლორეს ოლქში დაიწყო ინსცენირებული აჯანყება. ამ საქმეში ქართველ გლეხობას ბრალი არ მიუძღვის. „აჯანყება“, როგორც ეს გათვალისწინებული იყო, ხომებს რევოლუციონერთა და რუსი წითელარმიელების მეშვეობით განხორციელდა. მათვე მიმართეს ლენინს დახმარებისათვის. ამ უკანასკნელმაც არ დააყოვნა. უკვე 14 თებერვალს მე-11 არმიას მიეცა წერილობითი ნებართვა, აელო თბილისი. საქართველოს დედაქალაქის აღება მხოლოდ გარედან სამხედრო ჩარუვით თუ მოხერხდებოდა, ვინაიდან ქვეყნის შიგნით აღარ იყო ძალა, რომელიც შეძლებდა, დაემხო მთავრობა. ეს კარგად იცოდა კრემლმა საქართველოში შემოგზავნილ მრავალრიცხოვან აგენტთაგან. აქაური ელჩი შეინმარცა ამასვე უდასტურებდა ლენინს.

„აჯანყებულები“ დაიძრნენ თბილისისაკენ. ირკვევა, რომ საქართველოს მთავრობამ სწორად ამოიცნო ამ მოვლენის არსი. ამას მოწმობს არქივში დაცული ერთი დოკუმენტი. ამ დოკუმენტით საქართველოს მოსკოველ ელჩს, გ. მახარაძეს ევალება, გაარკვიოს რუსეთის ხელისუფლებასთან, თუ რატომ მოეწყო თავდასხმა საქართველოზე, რომელთანაც თავდამსხმელ მხარეს სამშვიდობო ხელშეკულება აქვს დადებული.

საქართველოს ხელისუფლება ბრმად ენდობოდა რუსეთის ელჩს შეინმანს, რომელიც აცხადებდა: „მომხდარის თაობაზე არავითარი ცნობა არ გამაჩნია, დარწმუნებული ვარ, აქ რუსეთი არაფერ შუაშია, საჭიროა შეიქმნას კომისია ადგილზე მდგომარეობის გასარკვევა-

დო" და სხვა. ელჩს დრო გაჲყავდა. ჩვენი სოციალ-ფუნკციურიული მთავრობა კი იმდოვნებდა, ურთიშოუტონფლიქტს მშვიდობიანად მოაგვარებდა. აღბათ, აშიტომაც იყო, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ლორეში მომხდარი ფაქტის შესახებ მას არც დამფუძნებელი კრებისა და არც მოსახლეობისათვის სიმართლე არ შეუტყობინებია. 15 ოქტემბერვალსაც კი, დამფუძნებელი კრების სხდომაზე გამოსვლისას, ნ. უორდანია და ვ. ჯუდჯლი ირწმუნებოდნენ, - ლორეს ამბებში მოსკოვის ხელი არ ურევიაო.

მთავრობამ მხოლოდ 16 ოქტემბერვალს ატეხა განგაში, როცა გამოაქვეყნა მიმართვა „ყველას, ყველას, ყველას!" მიმართვაში ნათქვამი იყო: „რუსეთის საბჭოთა მთავრობა იდენს ისტორიაში უმაგალითო ბოროტმოქმდებას. მას შემდეგ, რაც დაარღვია ჩვენთან დადებული ყველა ხელშეკრულებები, მან გადასწყვიტა, წითელი დროშის და ლამაზი ლოზუნგების ნიდბის ქვეშ, შეიძრალებული ძალით მოსპოს ჩვენი თავისუფლება, ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენი სუვერენობა!"

გამოცხადდა საყოველთაო მობილიზაცია, გატარდა სხვა საჭირო ღონისძიებები მტრის მოსაგერიებლად, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. საქართველომ თავი ვეღარ დაიცვა. დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა, სამშობლოს გასცლოდა.

1921 წლის 25 ოქტემბერვალს თბილისში რუსეთის ჯარის ნაწილები შემოვიდნენ. საქართველოში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება.

გავრცელებულია წარმოდგენა, რომ თბილისში შემოჭრილ მე-11 არმიას წინ მოუძღვდა თეთრ ცხენზე ამხედრებული ს. ორჯონიქიძე. ეს ვარაუდი შეიძლება ეფუძნებოდეს ზ. ავალიშვილის წიგნს „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში", რომელშიც ნათქვამია: „25 ოქტემბერვალს 1921 წელს, საბჭოთა ჯარები შედიოდნენ თბილისში, წინ მიუძღვდა წითელი ბაირალით ხელში, თეთრ ცხენზე მჯდომი, ერთი ქართველი კომისართაგანი". ამასვე მოგვი-

თხრობს პოეტი ქოლაუ ნაძირაძეც თავის ცნობილ
ქში „25 თებერვალი, 1921 წელი“.



„წითელი დროშით,

მოღერილ ყელით,
თეთრ ცენზუ მჯდომი,
ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა სიკედილი
ცელით“.

ს. ორჯონიქიძე 25 თებერვალს მე-11 წითელ არმიას თბილისში არ შემოყოლია. იგი, როგორც რკპ(ბ) კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელი და მე-11 არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წარმომადგენელი, მართალია, იყო საქართველოში სამხედრო ძალით შემოჭრის ერთ-ერთი აქტივისტი და ორგანიზატორი, მაგრამ თვით შემოჭრის მომენტში ჯერ კიდევ ბაქოში იმყოფებოდა. აქედან მას სისტემატური კავშირი ჰქონდა როგორც „აჯანყებულებთან“, ისე კრემლთან. ბაქოდანუა გაგზავნილი მისი ცნობილი დეპეშაც: „თბილისშე საბჭოთა ხელისუფლების დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“ ბაქოშივე მიიღო ს. ორჯონიქიძემ 27 თებერვალს წითელი დროშის ორდენი წარწერით: „თბილის ადებისათვის“. ეს ორდენი სერგოს საბჭოთა აზერბაიჯანის რევოლუციური მატარებელი გადასცა. ს. ორჯონიქიძე მხოლოდ ამის შემდგომ ჩამოვიდა თბილისში. რაც შეეხება ცხნების ამხედრებულ ქართველ კომისარს, იგი შალვა ელიაშვილი უნდა ყოფილიყო.

რუსეთის არმიის შენაერთები აქამდეც შემოსულან თბილისში. ადრე ეს ქართლ-კახეთის კანონიერი მეფის თხოვნით ხდებოდა, როგორც, მაგალითად, 1899 წლის ნოემბერში. თვითმხილველის სიტყვით, მაშინ ათასობით კაცი „მიისწრაფოდა ქალაქს გარეთ, რომ რუსთა რაზმების შემოსვდა ენახა. ...ზარბაზნების სროლა და ზარების რეკა ყველა ეკლესიაში ატყობინებდა ქართველ ხალხს... ზეიმის შესახებ. ხალხის მოძრაობა, მისი აღმაფრენი შეძახილები ავსებდნენ ქმური მიღების ამაღლვებელ სურათს და ამეღავნებდნენ რუსეთისადმი გულწრფელ ერთგულებას“.



აღნიშნულის შესახებ შთამბეჭდავად მოგვითხრობს ილია ჭავჭავაძეც. იგი წერდა: „მეფის კარიდამ და მარწყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულმა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია საქართველოს ამისთანა პრწყინვალე დღე აღარ ეხახა".

მაშინ ერთმორწმუნე რესეთის ბატალიონებს. გარე გნულად მაინც, აღმოსავლეთ საქართველოს გარეშე მტრისაგან დაცვა ევალებოდა. ამიტომაც დამხვდურთა ასეთი სიხარული და აღტაცეა გასაგებია.

ვინ მოიწვია 1921 წლის ოქტერვალში ბოლშევიკური წითელი არმიის შენაერთები საქართველოში? ამჯერად „თხოვნა“ საქართველოს რევოლუციის სახელით რამდენმე ბოლშევიკმა მოღვაწემ გაგზავნა. მოვუმინოთ ფ. მახარაძეს: „ჩვენ არ ვმაღავთ, პირიქით, სიამაყით ვამბობთ, რომ ჩვენ აქ შემოვიყვანეთ წითელი ჯარი... დიახ, ჩვენი ნება-სურვილით მოვიდნენ საქართველოში წითელარმიელები. ჩვენ მოვუძღვით მათ“.

პქონდა თუ არა რევკომს უფლება, ემოქმედა მთელი ქართველი ერის სახელით? რა თქმა უნდა, არა! იგი უკანონო ორგანო იყო. ამიტომაც გამოაცხადა მისი წევრები დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს მოღალატებად.

როგორი იყო მოსახლეობის დამოკიდებულება საქართველოში შემოსული ჯარისადმი? ს. ორჯონიკიძე ირწმუნებოდა: „ჩაგრულთა დამცველი წითელი არმიის გამოწენამ საქართველოს ტერიტორიაზე აუწერები აღტაცება და ზეიმი გამოიწვია. თავიანთ მხსნელებს პურ-მარილით ხვდებოდნენ, ბევრი სიხარულისაგან ტიროდნენ“. თვითმხილველნი კი სხვას მოგვითხოვთ: „მაგონდება მე ტფილისი თებერვლის 25-ს, დაღურემილი, თავზარდაცემული ჩვენი საზოგადოება, ზანგად გამოსული ქუჩაზე, თითქოს ცხოვრების მიზანი დაკარგვია ამ ხალხს და გაოგნებულს აღარ ესმის, რას უნდა ემსახუროს, რა ნაბიჯი გადადგას, რა გზას მისცეს თავი“, - წერს ერთი მათგანი.



სადგურის წინა მოედანზე, თბილისიდან გაქაშე
ვად გამოსული, არეულ-დარეული ხალხის სახეზე და სამოდენის სოფტ-არკეტის სამინელება იყო აღბუჭდილი. ის-
მოდა ოცნება და წულვა-კრულვა. დატვირთული მანქანე-
ბის, ეტლების და დროგების რიცხვი სულ უფრო მატუ-
ლობდა. ეს იყო შეუკავებელი გაქცევა ნახევრად შეშ-
ლილი ხალხისა, რომელსაც ამოძრავებდა შიშის გრძნო-
ბა", - დასტენს მეორე.

ვის დავუჯეროთ? რა თქმა უნდა, არა ორჯონიერ-
ებს. თუ ხალხი თავის მხენელებს ხვდებოდა, თანაც
ზეიმითა და პურ-მარილით, რაღად იყო იგი თაგზარდა-
ცემული, შეშინებული და სასოფტარკეტილი? ხალხი მხ-
ელებს კი არ ხვდებოდა, თავდამსხმელს გაურბოდა.
დაის, 1921 წლის თებერვალში აგრესორი ლენინის რუ-
სეთი თავს დაესხა პატარა საქართველოს, მაგრამ დასა-
ვლეთის საზოგადოებრივი რეაქციის შიშით, ამ თავდა-
სხმას თავისი ნამდვილი სახელი კი არ უწოდა, არამედ
„საქართველოს აჯანყებული მუშებისა და გლეხების
მშური დახმარება" დაარქვა.

ს. ორჯონიერება კრემლის მითითებებს ასრულებდა.
მისი მტკიცება წმინდა წელის პროპაგანდა იყო, რომე-
ლიც თავად ბოლშევიკებს სჭირდებოდათ, რათა თავია-
ნთი აგრესია მსოფლიო საზოგადოების თვალში სათხო-
ებად გაესაღებინათ. ეს მითი შემდეგაც, შვიდი ათეული
წლის მანძილზე, სინამდვილედ საღდებოდა. სინამდვილე
კი ის იყო, რაც მიუკერძოებელმა თვითმხილველებმა აგ-
ვიწერეს.

რითო ამართლებდნენ ბოლშევიკები საქართველოში
ჯარის ნაწილებით შემოსვლას? მათი აზრით, „საქართ-
ველოს მენშევიკური მთავრობა ულმობელ ექსპლუატაცი-
ას უწევდა მუშებსა და გლეხებს". საქართველოს დემოკ-
რატიულმა რესპუბლიკამ, თითქოს მტრული პოზიცია
დაიჭირა საბჭოთა რუსეთისადმი. ვითომც „ის კონტრრე-
ზოლუციის ბანაკში გადაბარგდა, მაშინ როდესაც საქარ-
თველოს მთელი მშრომელი ხალხის გულისცემა მიმარ-
თული იყო ოქტომბრის რევოლუციისაკენ. პროლეტარულ
რესერს კი არ შეეძლო გაჭირვებაში მიეტოვებინა თავი-

სი ქლასობრივი თანამომძენი. 25 ოქტომბერი, რომელმაც შექმნა რუსეთის მუშათა კლასის საბრძოლო ჯანმრთელობულების აქტი, საქართველოსთვის 25 თებერვალი მი გამოიხატა".

ბოლშევიკური ხელისუფლების იდეოლოგთა ეს მტკიცება ზემოთხსენებული პროპაგანდისტული მითის შემადგენელი ნაწილი იყო. იმისათვის, რომ ეს მითი ადამიანებს დაეჯერებინათ, როგორც რეალობა, ამუშავდა მძლავრი პროპაგანდისტული მექანიზმი, რომელშიც ჩართული აღმოჩნდნენ (ნაწილი იძულებით, ნაწილი ნებით) მეცნიერები, მწერლები, პოეტები - ყველა, ვის სიტყვა-საც დამაჯერებლობა უნდა პქონოდა. ასე გაჩნდა მრავალი ცრუ გამოკვლევა, ლექცია თუ მხეატვრული ნაწარმოები, რომელთა ტიპიური მაგალითია პოეტის სტრიქონები:

(საქართველო) „შორით მოსკოვმაც გადაკოცნა
წითელ ტუნებით...
და თებერვალიც შეიმოსა
ოქტომბრის კაბით!"

ოქტომბრის გადატრიალების შემდგომ რუსეთის ხელისუფლების სათავეში მოქცეული ბოლშევიკები იმთავითვე ცდილობდნენ, განევრცოთ თავიანთი ძალაუფლება მეფის რუსეთის ღიანდელ იმპერიულ ფარგლებში. მაგრამ პირველ ხანებში მათ ეს ვერ მოახერხეს ქვეყანაში ატენილი სისხლიანი სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერენციის გამო. როდესაც ეს დაბრკოლებები დაძლეულ იქნა, ბოლშევიკებს თავიანთი თავადაპირველი მიზნის მიღწევა დიდად აღარ გასჭირვებიათ. მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანსა და სომხეთში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, დასაცლეთისაგან რეალურ დახმარება მოკლებული საქართველო განწირული იყო. მასაც იგივე ხვედრი ელოდა, რაც მეზობელ კავკასიურ სახელმწიფოებს. თანაც, მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციაზე მეოცნებე ბოლშევიკთათვის საქართველოს სხვა დატვირთვაც პქონდა: მას უნდა შეესრულებინა „მოსკოვის როლი აღმოსავლეთში". გასაბჭოებული საქართველოს სახით კრემლმა „შექმნა ახალი დასაყრდ-



ნობი პუნქტი პროლეტარული თავისუფლებისა, რეალისტური დაუკავშირდეს აღმოსავლეთის მშრომელ ხალხს და ამხოს საერთაშორისო კაპიტალის ბატონობა". ბოლშევიკთა ნამდვილი მიზანიც ეს იყო და მიუხედავად ზემოდან გაფრთხილებისა - ფარულად შეენახათ იგი, „რევოლუციის ზოგიერთ რაინდს" უნებურად მაინც დასცდულიდა სიმართლე.

მაში, თებერვალში საქართველოსთვის არ დამდგარა გაზაფხული. 25 თებერვალი არ ყოფილა დღე - სასწაული. ეს იყო დღე დიდი დამარცხებისა. მკრეხელობა იყო ამ თარიღის ზეიმით აღნიშვნა.

„ოქტომბრის კაბით" შემოსილმა თებერვალმა მოსპო საქართველოს დამოუკიდებლობა და წერტილი დაუსვა 26 მაისის აღმაფრენას. ამ დღეს დაიხურა საქართველოს თავისუფალი არსებობის სამწლიანი მატიანე, რომელიც ბოლშევიკებმა დასავიწყებლად გაიმეტეს. კომუნისტური მმართველობის წლებში თითოოროლა კაცს თუ შეეძლო გადაეფურცლა ამ ფოლიანტის მტვერწაყრილი გვერდები, თუმცა, სიმართლის გამედავნების ნება არც მათ ჰქონდათ.

დროა, გადავშალოთ 1921 წლის 25 თებერვალს დახურული წიგნი ჩვენი თავისუფლებისა, ჩამოვაცილოთ მის სიყვითლეშეპარულ ფურცლებს ათწლეულების მტვერი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამწლიანი გამოცდილება ჩავაყენოთ დღევანდელობის სახსურში.

„ქავებასიონი",
1994 წ., 24 თებერვალი.

ჩვენები მოვიდნენ? ანუ 25 თებერვალი გათენდება ხვალ

საოცარი ხალხი ვართ ქართველები, ზოგჯერ ისე-თი გულუბრყვილონიც, რომ აშეარად დაუჯერებელსაც յი შესაძლებლად მივიჩნევთ. თავად განსაჯეთ: ხალხური სიმღერა გვაქვს ერთი, რომელშიც ასეთი სტრიქონია: „იანვარშიც შეიძლება გაგვითენდეს გაზაფხული“. ჩვენ ვისმენთ (ვმდერით) ამას და მართლა გვგონია, რომ ასეც შეიძლება მოხდეს.

ერთი პერიოდი ლამის იმაშიც დაგვაჯერეს, მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო, ხოლო თებერვალი რომ საქართველოს გაზაფხული იყო, ამაში თითქმის აღარავის გვეპარებოდა კვითი. ორი ათეული წლის განმავლობაში ჩვენს ბავშვებს სკოლაშივე ვაზეპირებინებდით: „25 თებერვალი გათენდება ხვალ, თებერვალო საქართველოს გაზაფხული ხარ!“ (სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს ლექსი უკვე ამოიღეს სასკოლო სახელმძღვანელოდან).

25 თებერვალი ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეა. საქართველოში კომუნისტური მმართველობის თითქმის შეიდი ათწლეულის მანძილზე ეს თარიღი ზარ-ზეიმით აღინიშნებოდა.

მაინც რა იყო საზეიმო, რას შევტრიულით, რას შევხაროდით? ხელისუფლების სათავეში მდგომი ბოლშევიკ-კომუნისტები ქვეყანას არწმუნებდნენ, რომ ამ დღეს დაიწყო თავისუფალი და განახლებული საქართველოს წელთაღრიცხვა, დიადი კომუნისტური აღმშენებლობის საოცარი ხანა, რომელმაც უზრუნველი, საამური და ბედნიერი ცხოვრება დაგვიმევიდრა. სინამდვილეში, ყველაფერი იყო აღნიშნულის საპირისპიროდ.

სამწუხაროდ, ისტორიული მეხსიერება სხვა არა-ერთ შეუსაბამობასაც იტევს. მაგალითად: XI არმიის „მკვლევარი-ისტორიკოსი“ მ. ტრასეკუნოვი წიგნში „საბოძოლო თანამეგობრობის სახელოვანი ფურცლები“ (თბილისი, 1962) წერს რომ, როცა წითელი არმია 1921 წლის 25 თებერვალს თბილისში შემოვიდა, „ქალაქში



გაისმოდა სიმღერები, უკრავდა ორკესტრი, რუსთაველის პროსპექტის ახლოს გაჩერდა ერთ-ერთი ნაწილი. პთავის მოყარეს ქალაქის მცხოვრებლებმა. ჩვენები მოვიდნენ! ჩვენები მოვიდნენ! გაისმოდა ჟაველგან" (გვ. 129) (ხაზი ჩემია, - ო. ჯ.).

მადლობა ღმერთს, უკვე მესამე წელია 25 თებერვალს აღარ ვზეიმობთ, მაგრამ ის „ჩვენები“, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ჩვენთან არიან, ამიტომ ურიგო არ იქნება, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, როგორ და რისთვის შემოვიდნენ საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარები და გავარკვით - რამდენად ჩვენები არიან ისინი.

რუსეთის წითელი არმიის შემოჭრის მომენტში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰყავდა თავისი კანონიერი ხელისუფლება - მრავალპარტიულ არჩევნებში პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო და ფარული კენჭისყრით არჩეული, ხალხის ნების გამომხატველი და მფუძნებელი კრება და კრების მიერ დანიშნული მთავრობა. მიუხედავად ეკონომიკურ სფეროში არსებული სიძნელებისა, საქართველოში შენდებოდა სამართლებრივ ნორმებზე დაფუძნებული დემოკრატიული სახელმწიფო ერთობა და ქართველი ერიც მსოფლიოს ცივილიზებულ ერთა შორის იმქვიდრებდა ადგილს. საქართველო ევროპული განვითარების ნორმალურ კალაპოტში დგებოდა. ქვეყანაში მშეიდობამ დაისადგურა, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ხელისუფლებისადმი ნდობით იყო განწყობილი, რევოლუციური გადატრიალების მოსაწყობად აღარავითარი საფუძველი არ არსებულა. საქართველოში შემოჭრილ საბჭოთა ჯარებს, როგორც თვითონ ირწმუნებოდნენ, „მენშევიკთა ბატონობისაგან განაწამები მუშებისა და გლეხების განთავისუფლება“ კი არ ამოძრავებდათ, - მათ მიზანს იმპერიის მარწუხებისაგან თავდასხილი საქართველოს კვლავ დაპყრობა და რუსეთის გავლენის ქვეშ მოქცევა შეადგენდა.

რაც შეეხება იმ ქართველ ბოლშევიკებს, რომლებმაც აქტიურად შეუწყვეს ხელი რუსეთს საქართველოს ხელახლა დაპყრობაში, - მათ საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ჯერ კიდევ 1921 წლის 21 თებერვალს

გამოუტანა განაჩენი, როდესაც ისინი ქართველობის
მოღალატებად გამოაცხადა. გამარჯვებულმა კომუნისტებ-
ბმა ეს განაჩენი საგულდაგულოდ დამაღეს, მაგრამ
„არაფერია დაფარული, რომელიც არ გაცხადდება”, -
ხალხმა ყველაფერი შეიტყო. საქართველოს რევკომის
წევრთა სახელები წყვით იხსენიება და, ცნობილი ლე-
ქსის პერიფრაზას რომ მიემართოთ, ჩვენთვის დღესავით
არის ნათელი, რას იტყვის მათზე შთამომავლობა.

იმ ადამიანებისათვის კი, ვინც დამოუკიდებელ სა-
ქართველოში იცხოვრა და თავისუფლებაწართმეული სა-
მშობლო იხილა, ყველაფერი იმთავითვე ნათელი იყო.
საიდუსტრიაციოდ მოვუსმინოთ რამდენიმე მათგანს.

ქართველი ემიგრანტი მიშა ლაშქარაშვილი იგო-
ნებს: „დამშეული და ფეხშიშველი მე-11 არმიით შემოსუ-
ლმა რუსებმა თან მოიყოლეს ქართველი მოღალატეების
მარქსისტული ჯგუფი ფილიაჟ მახარაძის მეთაურობით.
აქედან იწყება კაცობრიობის დამაქცევარი ქმედება: მმა-
თა მკვდელობა, ყოველგვარი სიყალბე, მთელი არსებუ-
ლი კულტურის განადგურება” („რესპუბლიკა”, 1991 წ., 6
იანვარი).

ცნობილი სწავლული ზურაბ ავალიშვილი შემდეგ-
ნაირად გადმოგვცემს წითელი არმიის ნაწილების შემო-
ჭრას: „25 თებერვალს 1921 წ., საბჭოთა ჯარები შედიო-
დნენ თბილისში; წინ მიუძღვდა წითელი ბაირადით ხე-
ლში, თეთრ ცხენზე მჯდომი, ერთი ქართველი კომისარ-
თაგანი, მას გვერდით უხილავათ მოძყვებოდა, გაძვალტ-
ყავებული ჯახრიკაზე, ძონძებში გახეველი წონწისი და
გასისხლიანებულ თითებში ეჭირა ნგრევის ცელი” (ბ.
ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921
წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1925, გვ. 383-
382).

პოეტმა კოლაუ ნადირაძემ, საქუთარი თვალით
რომ იხილა დაუცველად მიტოვებულ თბილისში მტრის
ჯარების შემოსვლა, ლექსში - „25 თებერვალი, 1921 წე-
ლი“ - ასე აღწერა ნანახი:

„თოვდა და თბილისს ებურა თაღხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.

წითელი დროშით, მოდერილ ჟელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა სიკედილი ცელით".

(„პოეტის ათასი სტრიქონი", თბ., 1985, გვ. 295).

შეიძლება კაცმა დაიჯეროს, რომ ჩვენები ნგრევითა
და სიკედილის ცელით შემოვიდნენ საქართველოში? არა
და არა! არც წინამძღოლი ქართველი კომისარი და
არც უკან მომყოლი რუსი წითელარმიელები არ ყოფი-
ლან ჩვენები. ისინი სამშობლოს უარმყოფელი მარქსის-
ტული იდეოლოგიით გაბანგული, მანთურქი საბჭოთა
დამპურობლები იყვნენ.

საყოველთაო ჭეშმარიტებაა, ყველაზე უფრო პოეტი
შეიგრძნობს როგორც დროის მაჯისცემას, ისე ცხოვრუ-
ბის ცვალებადობას. აი, ოციანი წლების ქართული პოე-
ტური შემოქმედების რამდენიმე ნიმუში, სადაც ძალუმად
იგრძნობა ეპიქის სუნთქვა:

„კელას გადაგეიტანს სიკედილი მალე
ასე დატრიალდა ბოროტი საქანელა

ნეენ უფრო უარესი დრო მოგვეწია,

რადგან ჩეენ თვალწინ დექსი დაობდა".

ეს ტიციან ტაბიძეა. ლექსი 1922 წლის 25 სექტე-
მბრით თარიღდება („ბახტრიონი", 1922 წ., 9 ოქტომბე-
რი). საქართველოს თავისუფლების დაკარგვიდან ჯერ
მხოლოდ ერთი წელი და 7 თვეა გასული.

„დღეები წელს და დღეები შარშან

ჰევანან კუბოებს და კატაფალკებს" -

დაწერს 1923 წელს ილო მოსაშევილი ლექსში, რო-
მელსაც „დღეები კუბოებით" დარქმევს („ივერია", 1923
წ., 11 ნოემბერი). სულდატევებული პოეტი შალვა კარ-
მელი საპყობილებელცემულ სამშობლოდან გაქცევას ლა-
მობს და ფრთებს დაეძებს. ეს მისი სიტყვებია: "სად
არის ფრთები, რომ ავცდე ბორგილს" („ბახტრიონი",
1922 წ., 16 ოქტომბერი).

თავისუფლებისათვის ბრძოლაში შეილდაღუპული
და სამშობლოს ბედით შეჭირვებული მხცოვანი პოეტი



კოტე მაყაშვილი მწარედ ამოიკვნესებს: „თერჯოული სამუდამოდ დამიზამთრა მაისი“.

რამ დაუობათ პოეტებს ლექსი? ვინ დაადოთ ხუნდი და ვინ დაუზამთრათ მაისი? ვინ დაამსგავსა დღეები კუბოებსა და კატაფალკებს? ჩვენებმა?!

უფრო ახლოს გავეცნოთ „ჩვენებს“. მათში ხომ რუსეთის წითელარმიელები იგულისხმებიან.

ვიდრე საქართველოში შემოიჭრებოდნენ, რუსეთის ჯარებმა ჯერ აზერბაიჯანი დაიკავეს და იქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. თვითმსილველი გვიამბობს:

„აზერბაიჯანში მყოფი ჯარი ძალიან ცუდ შთაბეჭდილებასა სტოვებს, ჩაუცმელია, მოუვლელი, დაზჟეული... აზერბაიჯანში მყოფლილ მოსამსახურებში შიგა და შიგ ქართველი ბოლშევიკებიც ყოფილან, მაგრამ თავისი თვალით რომ დაუნახიათ, თუ რას წარმოადგენდნენ ბოლშევიკები, უთქვამთ: ღმერთმა დაგვიფაროს ამათგანო და საქართველოში აზრშეცვლილები დაბრუნებულან“ („ხახალხო საქმე“, 1920 წ., 28 მაისი).

სხვა პიროვნება, რომელმაც ცოტა ხანს ციდევ დაჲყო გასაბჭოებულ აზერბაიჯანში, გვიმოწმებს: „საბჭოთა ჯარების შემოსვლასთან ერთად ბაქოში გაქრა სურსათი, ნაწილი გატანილ იქნა რუსეთში, ნაწილს კი რეკვიზიცია უყვეს ჯარის საჭიროებისათვის... ბაქოში შესულმა ნაწილებმა დაიტაცეს 25 ათასი წყვილი იტალიური ტანსაცმელი“ („ხაქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 10 იანვარი).

გგონიათ საქართველო დაინდეს?

„რუსები შეიმოიჭრნენ თუ არა, მათ დაიწყეს რუსეთში გაზიდვა პურის, სიმინდის, ხილის და ხებ ხანოვანების... 25 თებერვლის კატასტროფის პირველი დღიდანეე მშიერმა რუსეთმა დაბეგრა საქართველოს მცხოვრებლები... მარტო შირაქში 4880 ფუთი ხორბალი შეაწერეს“ („რესპუბლიკა“, 1991 წ., 5 თებერვალი).

სხვისი ქონების მითვისება, ძარცვა, გლეჯა, მაროდიორობა და სპეცულაცია, ჩვეულებრივი მოვლენა იყო საბჭოთა ჯარისკაცთა შორის. აი, რას ვკითხულობთ საქართველოში შემოჭრის ორი თვის თავზე, 1921 წლის



28 აპრილს გამოცემულ ბრძანებაში თბილისისა და ქართველობის რაიონის გარნიზონისადმი: „იყო შემთხვევა, რომანაფეროვანი ლაბრის ბაზარზე ზოგიერთი შეგნებული წითელი არმი-ელები ჰყიდდნენ ტანკსამოსს, რომლებიც მიცემული ჰქონდათ ჩასაცმელად და რომლებიც ირიცხებოდა მათ სახელზე...“

როგორც წითელი არმიელი, რომელიც ჰყიდის მისამართ მიცემულ ტანკსამოსს, ისე მისი შემსეფიდვები მოქადაქე, არის მტერი რევოლუციისა და დასჯილ იქნება რევოლუციური კანონის მთელი სისასტიკით”... ბრძანებას ხელს აწერენ გარნიზონის უფროსი მელნიკოვი, კომისარი ლარის ქინი და კომენდანტი აბაშიძე („წითელი მხედარი”, 1921 წ., 15 მაისი).

არც სახელმწიფო დაწესებულებებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის სახლების გადაწვა ყოფილა უცხო ახალ საბჭოთა დამპყრობელთათვის. სწორედ ეს გარე-მოება ჰქონდა მხედველობაში იუმორისტულ ერთნალ „ყუმბარას”, რომელიც 1921 წლის პირველ ნომერში სიმწრით ხუმრობდა: „ტფილისის სამაზრო რევოლმი იწვევს დახელოვნებულ ცეცხლის წამეიდებლებს ახალ ბინის გადასაწველად. ჯილდოთ მიეცემათ რაც მის საწყობში სურსათ-სანოვაგე მოიძებნებაო“.

დამპყრობელმა ღვთისმრბლის წილხვედრი ქვეყანა თავისად დაიგულა და მის ყველებას შეუდგა. საქართველოს დაბა-ქალაქებსა და კურორტებს ოჯახებით მოუღვნენ ჩვენი „განთავისუფლებისათვის“ მებრძოლი „ამხანაგები ცენტრიდან“, რომელთა შორის მრავლად იყვნენ გაიძვერები, თაღლითები და ქურდები (გ. ორჯონიქიძე, სტატიები და სიტყვები, თბ., 1957, გვ. 90). მათი ამაზრზენი ქცევა ადგილობრივ მცხოვრებთა უქმაყოფილებასა და აღმუნოთებას იწვევდა.

სამხედროები თავიანთი გონიერივი პორიზონტისა და გაქანების ფარგლებში ცდილობდნენ ქართულ სოფლებში დაბანაკებული ჯარის ნაწილებისა და მოსახლეობის ურთიერთობა წარმოეჩინათ როგორც შეხმატებილებული და იდილიური ყოფა. მათი აზრით, რუსი წილებული და იდილიური ყოფა. მათი აზრით, რუსი წილებული ქართველი გლეხების დასახმარებლად თელარმიელები ქართველი გლეხების დასახმარებლად

გულანთებული მებრძოლები იყენენ, თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობის შესრულებაზე ფიქრში რომ უთენ-უდამდებოდათ.

XI არმიის პოლიტსამმართველოს გაზეთს „ერასნი ვოინს“ თავის ფურცლებზე პქნდა რუბრიკა „წითელი არმია და მოსახლეობა“. გავეცნოთ ერთ ინფორმაციას ამ რუბრიკიდან: „დაშქობათა შემდეგ წევნი ბრიგადა გარნიზონის სახით ბოლოს გაწერდა წითელწყაროში. წითელარმიელებმა მიიღეს დასევნების საშუალება. მაგრამ მათ არ სურთ ისხდნენ შინ. ერთმა დარიბმა გლეხმა მეთაურს სოხოვა ცხენები, რომ მიწა დაეხნა. ამხ. ბალაშოვმა ნება დართო და ჯარისკაცებმა შერემეტმა და უალევმა სურვილი გამოიჭვეს ერთი დღე ემუშავნათ. ეს ასეც მოხდა. ქება და დიდება თქვენ ამხანაგებო. თქვენმა ერთი დღის მუშაობამ ერთი წლის სარჩო მისცა გლეხის ოჯახს“ („ერასნი ვოინ“, 1921 წ., 18 მაისი).

ამგვარი პროპაგანდისტული ცნობების გვერდით იმავე გაზეთის ფურცლებზე საქმაოდაა უფრო რეალისტური მასალა, რომელსაც რეფრენივით გასდევს საგროთ საზრუნავი: „დროა აღმოვფხვრათ ლოთობა!“ დავიმოწმებ გაზეთის კორესპონდენტის კოსტიუმის წერილს: „ა მაისს მომისდა მოწმე ეყოფილიყავი დამადონებელი სცენის. ხაშურში სოხუმს მიმავალი მზევრავ ჯარისკაცთა შენაერთი მატარებელში სხდებოდა. უველანი, მცირე გამონაკლისის გარდა, მთვარალები იყენენ, უწესოდ იქცეოდნენ და აღგილობრივ მცხოვრებთ აბუნად იგდებდნენ. მთვრალი იყო ოცეულის მეთაურიც. ასეთი მოვლენები სცენებ წევნს ავტორიტეტს მშრომელ მოსახლეობაში“ („ერასნი ვოინ“, 1921 წ., 24 მაისი).

როცა საბჭოთა ჯარისკაცთა განუკითხაობაზე თვით სამხედრო გაზეთი ასეთ რამეს წერდა, ადვილი წარმოსადგენია, რა იქნებოდა სინამდვილეში.

„მოლაშქრენო, გათავედდით,
 შეუტიოთ მედგრად მტერსა;
 დავლეწოთ და დავამტერით,
 გველავ მიესდიოთ დანამტერევსა!“



- მოწოდებს წითელარმიელი ეინმე შ. მარანდოაჩჩუავა თანამებროლებს 1921 წლის 19 ივნისს გაზეთ „წითელი მხედრის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ „ლექსში“.

კველა კველა და საბჭოთა არმიელებს ლეწვა-მტკ-რევისა და გათავსედებისაკენ მოწოდება ნამდვილად აღარ სჭირდებოდათ, მათ ჩინებულად იცოდნენ თავიანთი „ბაქმე“.

„რუსის ჯარისკაცები არბევენ ქვეყანას და ხელს უშლიან მიწის მუშაობას, წითელ არმიასა და მცხოვრებლებს შორის გრძებელდებოდა შეტაკება“, - კორვნულ-პატრიოტული ძალები ცდილობდნენ საქვეყნოდ მოეფინათ სიმართლე, მაგრამ არავინ იყო გამკითხავი. მეტიც, გაზეულის ცნობით, თურმე ოპერის თეატრში შეკრებილი თბილისის აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს პროფესიონალურთა საბჭოს გაერთიანებული პლენურის მონაწილენი ამ გულშემზარავ ამბავს „ხარხარით ისმენდნენ“ („კომუნისტი“, 1922, წ., 1 ივნისი).

საზოგადოებრივი აზრის გაუვნებლობა ოდენ იგნორირებით შეუძლებელი იყო, მით უფრო, რომ საქართველოში საბჭოთა ჯარების შემოჭრა დასავლეთშიც შეფასებულ იქნა, როგორც სუვერენული ქავნის ოცაპია, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა. ამიტომ დამპურობდებიც და მისი დამქაში ქართველი ბოლშევიკები კონტრაგიტაციას შეუდგნენ.

„ლაპარაკი ოცაპიაზე შეუძლებელია, ვინაიდან წითელი ჯარი არ არის კონგლომერატი რომელიმე განკერძოებული ერისა, არამედ ის არის მთლიანი ინტერნაციონალური მუშაობა და გლეხთა შეიარაღებული ძალა, რომელიც ხელში იცავს თავის უფლებას“, - ამტკიცებდა წითელი ჯარის მეთაური ეგოროვი საქართველოს ცაკის სესიაზე გამოსვლისას („კომუნისტი“, 1922 წ., 8 ივნისი). ასეთი „რკინისებური“ ლოგიკა გააჩნდა როდიონოვის წინამორბედ სარდალს, მაგრამ დამატებითი შეკითხვით, - თუ რა უფლების დაცვაზე იყო ლაპარაკი, განერალი არავის შეუწუხებია.

მაინც რისთვის მოვიდა წითელი არმია საქართველოში? მოვუსმინოთ გაზეთ „წითელ მხედარს“, რომე-

ლომაც 1921 წლის 1 მაისს თავის ფურცლებზე უკასუხა ამგვარ კითხვას:

„რათ შემოვიდა საქართველოში წითელია არმია? ხან გულუბრყვილოდ და ხან ბოროტად პეითხულობენ როგორც რუსი „ობივატელები“ ისე უზომოდ ფიცხი და საეჭვო ქართველი პატრიოტები: და მაშინევ გიასუხებენ პირველი: ადბათ იგი იმიტომ მოვიდა, რომ კელავ შეუერთონ რუსეთს მისგან ჩამოშორებული საქართველო.

შეორენი ამბობენ და უარულად გულში პფიქრობენ იმავეს. ხოლო თუ ასეთი განხირახეა არა, - განგრძობს მრავალი რუსი - მაშინ ამაოდ დაღვრილა რუსეთის მხედრობის სისხლი თბილისთან, ქუთაისთან და სურამთან, და ამ შემთხვევაში რუსეთის არმიის ყოფნაც ზედმეტია. საბჭოთა საქართველოს მტრები სიხარულით ებრაულებიან აზრს, რომ რუსეთის წითელი არმიის კელავ საქართველოში დარჩენა მართლაც სრულიად არაა საჭირო, თუ იმისთვის არა, რომ შტიკების საშუალებით გაამაგრონ საქართველოს ხალხის სურვილის წინააღმდეგ კომუნისტების ძალაუფლება.

... მოვიდა რა საქართველოში რუსეთის წითელი არმია და დაუკავშირდა რა ქართველ მშრომელ ხალხს, ამით მან შექმნა ახალი დასაყრდენი პუნქტი პროლეტარულ თავისუფლებისა, რათა გამაგრდეს და დაუკავშირდეს აღმოსავლეთის მშრომელ ხალხს და მით დაამხოს საერთაშორისო კაპიტალის ბატონობა" (ხაზი ჩემია, - ო. ჯ.).

საქართველოში კარგა ხანია აღარ არის კომუნისტების ძალაუფლება, დამშეული საბჭოთი კი ახლა უსირცხვილოდ საჭმელ-სასმელს თხოვს იმათ, ვისაც უწინ მუშტს უდერებდა. ფიქრი „საერთაშორისო კაპიტალის“ დამხობაზე დღეს უახრობად იქცა.

მაშ რაღას უდგანან საბჭოთა არმიის ნაწილები საქართველოში? რა, მართლა ჩვენებად მიაჩნიათ თავი?

„ახალგაზრდა იურიელი“,
 1991 წ., 19 თებერვალი.

„წევენ რომ ვუთხრათ, ისინი დღესვე დატოვებენ საქართველოს“



1921 წლის 14 თებერვალს ლენინმა პარტიის ცენტ-
რალური კომიტეტის სახელით XI არმიას ნება დართო
„საქართველოს ნორმების დაცვით“ აედო თბილისი. სა-
მხედრო ოპერაცია, რომელიც საქართველოს ოკუპაციას
და გასაბჭოებას ისახავდა მიზნად, კარგა ხნის განმაფ-
ლობაში მზადდებოდა. საქართველოს სოციალ-დემოკრა-
ტიულმა მთავრობამ ვერ შესძლო ქეყნის დაცვა. მიუხე-
დავად ქართველი იუნკერების თავდადებისა, გვარდიისა
და ლაშქრის რამდენიმე წარმატებული ბრძოლისა,
მტრის შემოტევა ვერ იქნა მოგერიებული... 25 თებე-
რვალს XI წითელი არმიის ნაწილები თბილისში შე-
მოედნენ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება გამო-
ცხადდა.

საბჭოური ისტორიოგრაფია თითქმის შეიდი ათეუ-
ლი წლის განმავლობაში ამტკიცებდა, რომ წითელი არ-
მია საქართველოში შემოვიდა მენშევიკების წინააღმდეგ
აჯანყებულ მშრომელთა ძმური დახმარებისათვის და,
რომ მადლიერი ქართველი ხალხი არმიას თავის მხსნე-
ლად მიიჩნევდა. ეს დებულება ეყრდნობოდა ს. ორჯონი-
კიძის გამიზნულ ტყუილს: „ჩაგრულთა დამცველი წითე-
ლი არმიის გამოჩენამ საქართველოს ტერიტორიაზე აუ-
წერებული აღტაცება და ზეიმი გამოიწვია. თავიანთ მხსნე-
ლებს პურ-მარილით ხვდებოდნენ, ბევრი სიხარულისგან
ტიროდნენ“ (გ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები,
თბ., 1957, გვ. 188). ეს იყო ცინიზმი. ორჯონიკიძე სიმა-
რთლის აბსოლუტური იგნორირებით სასურველს რეა-
ლურად ასაღებდა. სინამდვილე კი სულ სხვა იყო. შე-
ვეცადოთ თვითმხილველთა მონათხრობისა და დოკუმენ-
ტებზე დაყრდნობით აღვადგინოთ სურათი.

ჯერ „წევენი მხსნელი“ XI არმიის გარეგნული სახე
ვნახოთ. თავად სამხედრო უწყების ერთ-ერთი ხელმძღვა-
ნელი, ტროცკი, ამ არმიას „პარტიზანებისა და ბანდიტე-
ბის ბრბოს“ უწოდებდა. საქართველოში შემოქრამდე
ცოტა ხნით ადრე, ეხებოდა რა XI არმიის მდგომარეო-

ბას ს. ორჯონიქიძე წერდა: „ჯარისქაცებმა სტაეროპო-
 ლელ გლეხებს ჩამოართვეს ტყაპუჭები, იმისათვის, რომ
 შემოსილიყვნენ, თუმცა ცნობილია, რა ბოროტომედე-
 ბას იწვევს ამგვარი თვითშემოსვა. ეს წენის წინააღმდეგ
 ამხედრებდა მოსახლეობას. ასევე არ იყო ფული ჯარის-
 ქაცებისათვის ჯამაგირის მისაცემად... არმია შიშველ-ტი-
 ტელი, ავადმყოფი, უფულო და უიარადო, სულ უფრო
 და უფრო კარგავდა თავისი თავისადმი რწმენას. დაი-
 წყო გახტანა" (გ. ორჯონიქიძე, დასახ. წიგნი, გვ. 108,
 178).

„წენ უველას მოგვაქვს თან ტომრები, რადგან და-
 გვაირდნენ, მთელი კეირა თბილისის გაძარცების ნებას
 გაძლევთო: იქ მდიდარი ბურუჟები არიან და უველაფერი
 უნდა წავართვათო" - გულახდილად ამბობდა თბილისის
 მისადგომებთან ბრძოლაში ტყველ ჩავარდნილი ერთი
 რუსი ჯარისქაცი. „წენ ძალით გვაძრმოლებდნენ და
 მშიერ-მწყურვალო იმედებით გვავებავედნენ, რომ საქართ-
 ველოში ვიპოვით სამოთხესო" - დასძნდა მეორე ტყვე
 („საქართველო", 1921 წ., 24 თებერვალი) და ეს უველა-
 ფერი მართალი იყო. სწორედ ამგვარი დაპირებებითა და
 ლოზუნებით აღაფრთოვანებდნენ ჯარისქაცებს მათი
 ბოლშევიკი მეთაურები და კომისრები. „როსტოკს იქით
 წენ გველოდებიან თავისუფლებისმოყვარე კავკასიის მუ-
 შები და გლეხები. წინ არის არა მარტო გამარჯვება,
 არამედ პურიც დამშეულთათვის, ნახშირი, ნაეთობი" -
 მიმართავდა ს. ორჯონიქიძე წითელარმიელებს ხარკოვის
 აღების შემდეგ, 1920 წლის დეკემბერში.

თუ რას ნიშნავდა პური რუსი ჯარისქაცისათვის
 იმ დროს ნათლად მოწმობს ეს წერილი: „მჩაო სერიო-
 უბა! დიდი ხანია რაც შენს შესახებ არა ვიცი რა, შენი-
 ოჯახი სულ დაანგრიეს, ვანკა შიმშილით მოკედა, ფუ-
 თი ხორბალი 50000 მან. ღირს, მაგრამ საყიდელიც
 არსად იშოვება. ხვალ მიედივარ სოფ. ივანოვეაში, იქნებ
 იქ მაინც ვიშოვნო, შენგან მოველოდი პურს, იქნებ რო-
 გორმე მოახერხო ერთი ფუთის გამოგზავნა". რუსეთიდან
 გამოგზავნილი ეს ბარათი ტყვედჩაგდებულ ერთ-ერთ წი-
 თელარმიელს აღმოაჩნდა ჯიბეში 1921 წლის თებერვა-

ახლა ის ვიკითხოთ, თუ როგორ იქცეოდნენ „შენ-ნელად” მოვლენილი საბჭოთა რუსეთის ჯარის ნაწილები საქართველოში. „თბილისში პროდუქტები ბევრია, ზაგრამ შეუმნეველად ქრება” - წერდა 1921 წლის 23 მარტს ფ. მახარაძე ლენინს. ამ გაქრობაში თავისი წვლილი შექმნდათ რუს ჯარისკაცებს. ისინი იტაცებდნენ სურსათ-სანოვაგეს, არბევდნენ საწყობებს, სხვადასხვა ნაგებობებს.

გასული საუკუნის ბოლოს ცნობილ ზუბალაშვილებს თბილისში მარტოხელა მოხუცების თავშესაფარად და სამკურნალოდ „უპოვართა სახლი” აუგიათ. იგი მკუდრად ნაგები, „მოხდენილი შენობა” ყოფილა, მდებარეობდა სტ. ზუბალაშვილების ქუჩაზე. ამ ამბების თანამედროვე ა. ზუბალაშვილი იგონებს: „...მახსოვე 1921 წლის 25 თებერვალი, თბილისში შემოჭრილი წითელი არმია. დილით, უპოვართა სახლის დარაჯი შეშინებული მოიჭრა წევნთან... და ცრემლმორეულმა გვიამბო წითელარმიელთა ნამოქმედარზე, რომლებსაც სასტიგად დაერიათ შენობა, ნამსხერევებად ექციათ ვესტიბიულში მდგარი იქაურობის ამშენებელ-დამაარსებლის მწვანე მარმარილოს ბიუსტი” („კომუნისტი, 1990 წ., 25 მარტი).

„სოფლებში ანაგაში, ვაქირში პირეელი შემოსელი-დან დღევანდლამდის იმყოფება ჯარის ნაწილები. ამას დიდი ზარალი მოაქვს მუშა-გლეხებისათვის და უკმაყოფილებასაც იწვევს... გლეხები, რომლებიც თითო კვირა-ობით მიღიოდნენ სახნავ-სათესად და ასევე უენახებში სამუშაოდ, ეხლა ვეღარ ანებებენ სახლებს თავს, რაღაც გარეშე ძალა თვით სახლებში დგას და ამისთანა შემოსევებაში კი წვენი გლეხი სახლს ვერ შორდება. განსაკუთრებით ეს ითქმის ქიზიგზე, სადაც სახნავ-სათესი მინდვრები ორი-სამი დღის სავალზე იმყოფება”, - წერდა გაზეთი „სოციალ-ფედერალისტი” 1921 წლის 12 აპრილს.

ასეთივე მძიმე მდგომარეობა იყო შიდა ქართლშიც, საარქივო დოკუმენტი მოგვითხოვთ, რომ სოფლების:

სეერის, ქემერტის, მინდიანის, ყაფლანის და სხვ. მცხოვრები რებლებმა 1921 წლის 25 აპრილს ერთობლივი განცხადებით მიმართეს მთავრობას. განცხადებაში ნათქვამია: „შეგვაწუხა ჯარმა, რომელიც დგას დღეს ცხინვალში. მოდიან სახლებში და გვაწუხებენ. გეთხოვენ ჭირნახულებს, საქლავს და აფუჭებენ ჭირნახულს და ვენახებს და არ გვაქეს დამე ძილი. მუდამ დამე ხდება დაცემა. ამასთან საქონელი გვეამს მუდამ სახლში, რადგანაც გვეშინიან მოტაცების. თუ წავიყვანთ საძოვრად, მოდიან და იტაცებენ, რადგან არ ეშინით“ („ახალგაზრდა კომუნისტი“, 1990 წ., 20 იანვარი).

დავიმოწმოთ ოფიციალური მასალაც: „რა ზომებია მიღებული იმ მხრივ, რომ წელს ყველა საძოვრები ხელთ იგდეს წითელარმიელებმა და გლეხობა უსაძოვროდ დატოვებს?“ - კითხულობს ერთ-ერთი მაზრის წარმომადგენელი სრულიად საქართველოს მაზრებისა და ქალაქების რევერმების თავჯდომარეთა და მათი მოადგილების პირველ ყრილობაზე, რომელიც 1921 წლის ნოემბერში გაიმართა. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი პასუხობს: „ჩვენ ბევრი საჩივრები მოგვდის ამის შესახებ. არმიელებმა ეს საძოვრები ხელში ჩაიგდეს და ხელიდან არ უშევებდნენ. ჩვენ მიემართეთ უმაღლეს მთავრობას ზომების მისაღებად. გვიპასუხეს: ზომებს მიეიღებთო, მაგრამ დღემდე არავითარი ზომები არ მიუღიათ. ამ მხრივ ჩვენ ბრალს ვერ დაგვედებთ, რადგან ეს არმიელები ჩვენ განკარგულებაში არ არიან“ (იხ. ამ ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, თბ., 1922, გვ. 153, 160).

წითელი არმიის საჭიროებისათვის სამხედრო მოქმედების დროს მოქალაქეებს ჩამოერთეათ ცხენები, ურმები, საქონელი, საკედი და სხვ. მართალია, საქართველოს რევერმმა შექმნა ზარალის ამნაზღაურებელი კომისია, მაგრამ ზარალს იმ შემთხვევაში უნაზღაურებდნენ, „თუ რეკვიზიციის გამო დაზარალებული პირი ქონებრივად უზრუნველყოფილი არ იყო და ნამდვილად უკიდურეს გაჭირებას განიცდიდა“. ამასთან, დაზარალებული მოქალაქე უამრავ ბიუროკრატიულ წინააღმდეგობას აწყის.

დებოდა, ვიდრე კომისია მის კანონიერ პრეტენზიას და - ქაყოფილებდა. ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიშველი-
ებ სტატისტიკას: შექმნიდან 6 თვის განმავლობაში დაუკარგ-
რის მისიაში 862 საქმე აღიძრა, მათგან მხოლოდ 376 იქნა
განხილული, ხოლო კიდევ უფრო მცირეა კომისიის მი-
ერ დაკმაყოფილებულ მოქალაქეთა რიცხვი - 219 (იხ. დასახელებული ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში,
გვ. 79-80).

„საბჭოთა რუსეთი მხსნელად მოევლინა საქართვე-
ლოს“, - ამტკიცებდა ხელისუფლება; „წითელარმიელებს
ქართველები პურმარილით ხვდებოდნენ“, - ხელისუფალთ
კვერს უკრავდნენ და თაობებს აბრიყვებდნენ ისტორიკო-
სები და უურნალისტები. ამ მხრივ ტიპიურია ასეთი მა-
გალითი: წითელი არმიის შემადგენლობაში, რომელმაც
საქართველო დაიყრო, სხვებთან ერთად იბრძოდა ნიკი-
ტა ხრუშჩოვიც. იგი მაშინ XI არმიის მე-9 დივიზიის
(მეთაური ნ. კუიბიშვილი) 74-ე მსროლელი პოლკის მე-2
ბატალიონის კომისარი იყო. 1961 წლის თებერვალში,
ახლა უკვე პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანლის
რანგში, ხრუშჩოვი კვლავ ესტუმრა თბილის, სადაც
გაიმართა ამიერკავკასიის რეპუბლიკების სოფლის მეუ-
რნეობის მოწინავეთა თათბირი. თათბირის დღეებში
ხრუშჩოვმა მოიგონა 40 წლის წინანდელი ამბები და
ახსენა აჯამეთელი ნიკოლაძის ოჯახი, სადაც იგი მიუ-
პატიუნიათ. „მასსოფს მაშინ აჯამეთში ძალიან შადალი
სიმინდი მოყავდათო“, - მეტი ვერაფერი გაიხსენა თავი-
სი წითელკომისრობის დროიდან ნიკიტა სერგის-ძემ. ამ
ფაქტის შემსწრე „ბედნიერი“ უურნალისტი სასწრაფოდ
აჯამეთში გაემგზავრა, მოძებნა სანუკვარი ოჯახი და 90
წელს გადაცილებულ ბერიკაცს რ. ნიკოლაძეს ასეთი
რამ ათქმევინა: „იმ წელიწადს რა დამავიწყებს: წითელ
არმიასთან ერთად ჩეენ სოფელში ახალი ცხოვრება შე-
მოვიდა. ჩეენ უველანი, მათ შორის მამაჩემიც, სიხარუ-
ლით ვეგებებოდით წითელ ჯარისეაცებსა და მეთაუ-
რებს. მეთაურები ხშირად გვესაუბრებოდნენ, გვიამბო-
ბდნენ, თუ როგორ უნდა მოგვეწყო ახალი ცხოვრება“
(„სოფლის ცხოვრება“, 1961 წ., 12 მაისი).

ასე საღდებოდა სიცრუე სიმართლედ ათწლეულების განმავლობაში. ფაქტებს რომლებიც საპირისპიროს დაღადებდნენ, გვერდს უვლიდნენ, ვითომ არც არსებულიყო. „მაგონდება მე ტფილისი თებერვლის 25-ს, დაღვრემილი, თავზარდაცემული წევნი საზოგადეობა, ზანტად გამოსული ქუჩაზე, თითქოს ცხოვრების მიზანი დაპერგვია ამ ხალხს და გაოგნებულს არ ესმის, რას უნდა ემსახუროს, რა ნაძიჯი გადადგას, რა გზას მისცეს თავი" - წერდა ამ ამბების თვითმხილველი გაზეთ „სოციალ-ფედერალისტში" 1921 წლის 16 მარტს.

მწერალი ლევან მეტრეველი ასე აღწერს 1921 წლის 24 თებერვლის ღამის თბილისს: „ადარავინ დადის წევლებრივათ - როგორც ათიოდე დღით წინეთ. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს საღღაც მიისწრაფიან, ვიღაც მისღევთ უკან... ქალაქი ცარიელია. მარტო სადგურისაკენ მიმავალ მთავარ ქუნებზე მოსწანს ხალხი და ფეხის პირი აქვს სადგურისაკენ... ესა პგავს მხოლოდ ომით შეშინებულ ხალხს" (ლ. მეტრეველი, განთიადი 25 თებერვლისა საქართველოში, თბ., 1931, გვ. 4, 10, 12).

ექიმი იოსებ ასლანიშვილი, - იმხანად ქართული არმიის ერთ-ერთი სამედიცინო რაზმის უფროსი, ჯარის ნაწილებთან ერთად უკან იხევდა ბათუმისაკენ. მის მეხსიერებას ქუთაისისა და ხონის ასეთი სურათი შემორჩა: „ქუთაისი... ამ დროს წარმოადგენდა მკვდარ ქალაქს, დუქნები დაკეტილია, სუსველას მიენქარება სახლებისაკენ, სდგება თავდაცევითი რაზმები და სხვ. საშინელია ასეთი მომენტები, სცილდები შენს ოჯახს, ხედავ ცრემლიან, დაღონებულ დედ-მამას, რომელთაც სტოვებ მტრის მოლოდინში და... რა იცი თუ რა მოედის ამათ". ხონი - „დაღვრემილი სახეები, შიშითმოცული ხალხი, გამოურკეველი მდგომარეობა" („სოციალ-ფედერალისტი", 1921 წ., 23, 24 აპრილი).

ტენდენციურობა რომ არავინ დაგვწამოს, სიტყვა ბოლშევიკსაც მივცეთ. მოვუსმინოთ სერგო ქავთარაძეს, რომელიც იმხანად თბილისში რუსეთის საელჩოს პირველ მრჩევლად მუშაობდა. როცა წითელი არმია თბილისს მოადგა, საქართველოს მთავრობამ იგი დაპატი-



გრა და დედაქალაქის დატოვების შემდეგ ბათუმს ესკორპიონი ვანა. ს. ქაფთარაძემ ნანახი და განცდილი აღწერას უსახლის გის მოგონებებში. თბილისში შექმნილ მდგომარეობას იყი შემდეგნაირად გადმოგვცემს: „სადგურის წინ, მოვდანზე, რომელიც ეპერის წინა შესავალს, სრულიად უწესრიგოდ ეყარა ჩემოდნები, დატენილი ტომრები, ფუთები, საზარეულოს ნივთები, ქოთნები, ტაშტები, ერთი სიტყვით, ყველაფერი ხარახურა, შეშაც კი. ერთი ტომრიდან ლობიო ცეიოდა. იქვე ფუსფუსებდნენ ვიღაც ქალები... მათ სახეზე სასოწარეკვეთილება და საშინელება იყო აღბეჭდილი. ისმოდა ოხერა და წყევლა-კრულვა-დატეირული მანქანების, ეტლების და დროგების რიცხვები სულ მატულობდა. ეს იყო შეუძაებელი გაქცევა ნახევრად უშლილი ხალხისა, რომელსაც ამომრაცებდა შიშის გრძნობა" („მნათობი“, 1957, №11, გვ. 167).

როგორც ვნახეთ, 1921 წლის ოქტომბერვალში წითელი არმიის სახით საქართველოში შემოსულა არა მხსნელი, არამედ მტერი. მტრისა და მომხდურის მეტი რა უნახავს ქართველს, მაგრამ ეს არ იყო ჩემელებრივი მტერი. წითელი არმია ჩვენში მიმზიდველი ლოზუნგებითა და ლამაზი დაპირებებით, „მმაღ“ მოსული დამპყრობელი, ანუ „მოყვარე მტერი“ იყო. „მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისგან უფრო მტერია“, - გვასწავლის რუსთაველი.

„ჩვენ არ ვმალავთ, პირიქით, სიამაყით ვამბობთ, რომ ჩვენ აქ შემოვიდეანეთ წითელი ჯარი... დიახ ჩვენი ნება-სურვილით მოვიდნენ საქართველოში წითელარმიელები. ჩვენ მოვუძღვდით მათ. ნურავის პგონია, რომ ისინი თავისი ბალაუფლებით მოქმედებენ. ჩვენ რომ ეუფხრათ, ისინი დდებენ დატოვებენ საქართველოს“ - მიმართავდა ფილიპე მახარაძე ნაძალადევის სახალხო სახლში შეკრებილ თბილისელ მშრომელებს 1921 წლის 13 მარტს („კომუნისტი“, 1921 წ., 16 მარტი). არ ამბობდა სიმართლეს მახარაძე! ქართველი ბოლშევიკები მართლაც ესწრაფოდნენ „საქართველოს დამარცხებას“ საბჭოთა რუსეთის ჯარებით, მაგრამ წითელი არმიის შემოსვლაზე მათი დასტური როდი იყო აუცილებელი. ფი-



ლიპე და ძმანი მისნი (საქართველოს რევკომის შემსუბურვეს მხოლოდ მაშინ დასჭირდა, როცა საქართველოში წითელი არმიის შემოსელის სამართლებრივი გაფორმება გახდა საჭირო. თუმცა ყველაფერი ზუსტად მაინც ვერ გათვალეს. საქართველოს რევკომი 16 თებერვალს შეიქმნა და შესაბამისად, თხოვნაც საბჭოთა რუსეთისადმი ჯარით დახმარების თაობაზე ამ რიცხვითაა დათარიღებული, მაშინ, როდესაც XI არმიის ნაწილებმა საქართველოს წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციები 11 თებერვალის დამით დაიწყეს, ხოლო 14 თებერვალს მათ უკვე ხელთ პქონდათ ლენინის ნებართვა თბილისის დაქავების თაობაზე.

„გულუბრუვილო ადამიანს შეუძლია იფიქროს, თათქმო რუსეთის წითელი არმიელები იმიტომ დერიან თავიანთ სისხლს, რომ ფილიპე მახარაძე დასვან მთავრობაში.

ნამდვილად რუსის ბოლშევიკების ერთად-ერთი მიზანი ის არის, რომ გაანადგურონ საქართველოს რესპუბლიკა და ისე დაუმორჩილონ დიდ რუსეთს. როგორც ეს პქნეს აზერბაიჯანში, სომხეთში და სადაც კი მისულან", - წერდა გაზეთი „საქართველო" 1921 წლის 23 თებერვალს. დიახ, ეს იყო მთავარი. წითელი არმია ჩვენში სწორედ ამგვარი მიზნით შემოვიდა და ამაზე რუსეთს ფილიპე მახარაძის ნებართვა არ დასჭირებია. წითელი არმია საქართველოს რევკომს როდი ემორჩილებოდა, იგი ცენტრის ნებასურვილით მოქმედებდა და საქართველოდან მის გაყვანას მახარაძეს არავინ კითხავდა. „მიიღეთ უაღრესად ენერგიული ზომები, რათა ეს არმია (XI - ღ. ჯ.) დატოვებულ იქნას საქართველოში" ... „ამ საკითხს უაღრესად სერიოზული ყურადღება მიაქციოთ", - მოვიდა ლენინის დირექტივა ს. ორჯონიქიძის სახელზე 1921 წლის მარტის ბოლოს (ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 45, გვ. 83-84). სერგომ დავალება პირნათლად შეასრულა. წითელი არმია საქართველოში დარჩა.

„ახალგაზრდა ივერიელი",
1991 წ., 21 თებერვალი.



ეს მუქარა, რომელიც მიმართულია სერგო ორბეგოვისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკელა წევრისადმი, ვ. ლენინს ეკუთვნის. ამ-გვარი მუქარით ახლა ვეღარავის შეაშინებ. კომუნისტური პარტიიდან ხალხი ბოლო დროს ისე აქტიურად გადის, როგორც ლენინური გაწვევების უამს შედიოდა მის რიგებში. ამიტომ პარტიიდან გაგდება დღეს დიდ საფრთხეს აღარ წარმოადგენს (მე შენ გეტყვი და პარტიიდან გაგდებული ან გასული, თუ სხვა პარტიაში შესვლას გადაწყვეტს, არჩევანი აქეს მცირე, - საქართველოში რამდენიმე ათეული პოლიტიკური პარტია მოითვლება), მაგრამ თუ ლენინის სსენებული მუქარა მაინც გამოგვაქვს მკითხველის სამსჯავროზე, ეს ერთი გარემოებით აიხსნება: საკითხი, რომლის გამო ასე იმუქრებოდა ლენინი 1922 წელს არანაკლებ აქტუალურია 1990 წელსაც. საქმე ქართული ეროვნული არმიის შექმნას ეხება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების მეორე დღესვე - 1921 წ. 26 თებერვალს, საქართველოს რევკომმა დემოკრატიული საქართველოს ეროვნული არმია და სახალხო გვარდია დაშლილად გამოაცხადა. საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენს, როგორც უკელგან, საქართველოშიც წითელი არმია წარმოადგენდა. წითელი არმია კი მოძალადე ქვეყნის - საბჭოთა რუსეთის ჯარი იყო. XI არმიის რიგებში იბრძოდნენ ქართველი ჯარისკაცებიც (სხვათა შორის, წარმოშობით თბილისელი იყო ამ არმიის სარდალი ა. ჰეკერიც), მაგრამ ამ არმიის ეროვნული შემადგენლობა, ისე როგორც საქართველოში შემოტრილი VIII და IX არმიებისა, ძირითადად რუსული იყო. მიუხედავად წითელი არმიის „ინტერნაციონალური მოვალეობისა“, იგი საქართველოსათვის უცხო ძალას წარმოადგენდა, რაც იმთავითვე ასევე იქნა შეფასებული ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილის მიერ. წითელ არმიას საქართველოსთვის დამპყრობლად მიიჩნევდნენ დასავლეთშიც, რაშიც დიდი

ლილი შექმნდათ ემიგრაციაში მყოფ საქართველოს შემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრებს სართველი ინტელიგენციის იმ წრეებს, რომლებიც უცხოურ თში განაგრძობდნენ პოლიტიკურ საქმიანობას.

საბჭოთა რუსეთს ამ მიმართულებით რაღაც უნდა ეღონა. საქმეში აქტიურად ჩაერთო ლენინი. მან ურჩია, დაუყოვნებლივ შეექმნათ საქართველოს მუშარ-გლეხური წითელი არმია.

ქართული წითელი არმიის შექმნა არ იყო განპირობებული სამხედრო აუცილებლობით. „ახლა ადარ უნდა გეშინოდეთ იმისა, რომ ანტანტა თავს დაგესხმით და სამხედრო დახმარებას გაუწევს ქართველ, აზერბაიჯანელ, სომებს, დაღესტნელ და მთიელ თეთრგვარდივლებს“, - წერდა ვ. ლენინი ჯერ კიდევ 1921 წლის 14 აპრილს აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღუსტნის და მთიელთა რესპუბლიკის კომუნისტებს (ვ. ი. ლენინი, თხ. ბ. 32, გვ. 398). მაში რისთვის იყო საჭირო ასეთი სიჩქარე? გავიხსნოთ, ეს საკითხი ლენინმა პირველად 1921 წლის 2 მარტს დააყენა. ს. ორჯონიკიძისადმი წერილში იგი მიუთითებდა: „საჭიროა დაუყოვნებლივ შევაიარადოთ მუშები და უდარიბები გლეხები და ამნაირად შეექმნათ საქართველოს მტკიცე წითელი არმია“ (ვ. ი. ლენინი, თხ. ბ. 32, გვ. 189). აქ სიტყვა მტკიცებ არ უნდა დაგვაბნიოს, არ უნდა შეგვიქმნას შთაბეჭდილება, რომ ლენინს საქართველოს არმიის სიმტკიცე ფიქრი მოსუნებას უქარგავდა. მტკიცე არმიის ჩამოყალიბებას რომ საკმაო ფინანსები დასჭირდებოდა, ეს არ უნდა იყოს საკამათო. ცენტრი კი სხვაგვარად ფიქრობდა. ს. ორჯონიკიძის თხოვნაზე არმიის შექმნის ხარჯებისათვის დაეტოვებინათ საქართველოში ერთი მილიონი ოქროს მანეთი, რომელიც ცენტრალური კომიტეტის დადგენილების თანახმად მოსკოვს უნდა გაგზავნილიყო, ი. სტალინმა უპასუხა: ქართული წითელი არმიის მატერიალური უზრუნველყოფისათვის „ოქრო სულაც არ არის საჭირო. იგი დანიშნულებისამებრ გააგზავნეთო“ (ლ. თოიძე, 25 თებერვლის შემდეგ, თბ., 1990, გვ. 5). ჩანს, მოსკოვს ქართული არმიის რიცხოვნობა და სიმ-

ქეიცე იმდენად არ აინტერესებდა, რამდენადაც ფაქტო, რომ არსებობს საქართველოს მუშარ-გლეხური არმია, თორემ საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში რესტრი თის წითელი არმიის ნაწილებიც კარგად იცავდნენ. ამასთან ეს დაცვა ოვით ქართველ ბოლშევიკთა მიერ საქართველოს მშრომელებზე ზრუნვად საღდებოდა. მაგრამ უცხოელ პოლიტიკოსთა მოტყუება იოლი როდი იყო. გათ მშვენივრად იცოდნენ, რომ საქართველოს გასაბჭოება ეს იყო საქართველოს ოკუპაცია რსფსრ-ს მიერ და დრო და დრო ხმასაც იმაღლებდნენ ამ ფაქტის წინააღმდეგ. ამიტომ ლენინის ზრუნვა საქართველოს წითელი არმიის შესაქმნელად, ეს იყო პოლიტიკური სვლა, გამოზნული დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივი აზრის გასაბრიყებლად და შეცდომაში შესაყვანად. სწორედ ამას ნიშნავს ლენინის ფრაზა ს. ორჯონიქიძისადმი წერილიდან: „ეს პოლიტიკურად აბსოლუტურად აუცილებელია“.

ვ. ლენინის მონდომება საქართველოს წითელი არმიის შესაქმნელად დიდი ხნის განმავლობაში მიჩნეული იყო რევოლუციის ბელადის უანგარო ზრუნვად საბჭოთა საქართველოსადმი. სინამდვილეში, როგორც ვნახეთ, საქმე სხვაგარად იყო. დასავლეთის ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების მაძიებელ რუსეთის ხელისუფლებას დამპყრობლისა და ოკუპანტის სახელი ცუდ სამსახურს გაუწევდა. ამიტომ, როცა არსებითი მიღწეული იყო, მცირედის დათმობა შეიძლებოდა - ცენტრი დათანხმდა შეექმნათ საქართველოს მუშარ-გლეხური არმია, იმ ვარაუდით, რომ ქართული ნაწილები გაერთიანდებოდნენ წითელ არმიაში. ამით, როგორც ეს ცენტრის მიერ ჩაფიქრებული იყო, გარკვეულად შეინიღებოდა რუსეთის ოკუპანტი წითელი არმიის ნამდვილი სახე.

ქართული სამხედრო შენაერთების წითელი არმიებისადმი სრულ დამორჩილებაზე თავდაპირველად ოფიციალურად არაფერი იყო ნათქვამი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არ იცოდა მოსკოვის ტაქტიკური სვლის ნამდვილია არსი. სწორედ ამას მოწმობს ფ. მახარაძის ნათქვამი ვ. ლენინისათვის განკუ-



თვისილ მოხსენებით ბარათში „საქართველოში მუშაობის შესახებ”, რომელიც 1921 წლის 6 დეკემბრით მართილებულია: „საჭიროა ადგილებზე პასუხისმგებელმა მშპანაგებმა იცოდნენ არა მარტო ცენტრის უახლესი მიზნები და ამოცანები, არმედ ისიც, თუ როგორია ტაქტიკა,... რომ შემთხვევით ცალკე ამხანაგების სურვილით, არ იყოს შესაძლებელი მისი შეცვლაო” („საქართველოს კომუნისტი”, 1990, №2, გვ. 93).

ქართველ ხელმძღვანელ ბოლშევიკთა ერთი ნაწილი დასაშვებად თვლიდა ეროვნული წითელი არმიის ორგანიზაციულად ცალკე არსებობას. ისინი ვარაუდობდნენ, რომ ამ საკითხზეც ცენტრშიც ასეთივე აზრი იყო. ამიტომ ფ. მახარაძეს მიაჩნდა, რომ როდესაც რკპ(ბ) კავბიურო და პირადად ს. ორჯონიშვილე ქართული ნაწილების წითელი არმიისადმი სრული დაქვემდებარების პოლიტიკას ახორციელებდნენ, თითქოს ისინი ცენტრის დირექტივას აღდვევდნენ და მის საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ.

ფ. მახარაძე ცდებოდა, ის რაც უცნობი იყო საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობისათვის ცნობილი იყო კავბიუროსათვის, რომლის ფაქტიურ ხელმძღვანელს ს. ორჯონიშვილე წარმოადგენდა. ორჯონიშვილეს კი პყოფნიდა სითამაშე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებისათვის ერთ-ერთ სხდომაზე პირდაპირ განეცხადებინა: „ბოლოს და ბოლოს გაიგეთ, რომ მოსეოვი თქვენ არ გენდობათ” („საქართველოს კომუნისტი”, 1990, №2 გვ. 93).

საქართველოს რევკომის 1921 წლის 11 მარტის დეკრეტით დაიწყო წითელი არმიის ქართული ნაწილების შექმნა. უკვე პპრილის დამლევს ჩამოყალიბდა ორი ქვეითი და ორი ცხენოსანი პოლკი. საარმიო შენაერთს გააჩნდა აგრეთვე ორი ჯავშანმატარებელიც.

ქართული პოლკები გააერთიანეს XI წითელ არმიაში, რომელიც 1921 წლის 29 მაისს, კავკასიის ფრონტის ლიკვიდაციის შემდეგ, რეორგანიზებულ იქნა კავკასიის ცალკე არმიად. თითქოს უკელაფერი უმტკივნეულოდ მოგვარდა, მაგრამ 1922 წლის დასაწყისიდან დასაცლეთში



ხელახლა, ამჯერად უფრო მძლავრად, იფეთქა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის საწინააღმდეგო კამპანიაში. გაისმა მოთხოვნები საქართველოდან საფრანგეთისა კუპაციო ჯარების გაყვანის თაობაზე.

მოსკოვს დასავლეთის შემორევისაგან თავის დასაცავად გარევეული არგუმენტაცია გააჩნდა: წითელი არმიის ნაწილების საქართველოში შემოსვლის საფუძვლად არსებობდა საქართველოს რევოლუციის თხოვნა კ. ლენინისადმი სამხედრო დახმარების თაობაზე (თუმცა რევოლუციის თხოვნისა და რუსეთის ჯარების საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყების თარიღები არ ემთხვევა ერთმანეთს, - თხოვნა 1921 წ. 16 თებერვალს გაიგზავნა, საბრძოლო ოპერაციები კი მანამდე - 11-12 თებერვალს დამით დაიწყო), მაგრამ ჩანს, თავად ლენინი გრძნობდა ამ არგუმენტის უსუსურობას, ამიტომ მან საქიროდ ჩათვალი წითელი არმიის ნაწილების საქართველოში დატოვება ცენტრისათვის ამჯერად რევოლუციუფრო წარმომადგენლობით ორგანოს, - თვით საქართველოს საბჭოების ყრილობას ეთხოვა.

ლენინმა აუცილებლად მიიჩნია აგრეთვე ისიც, რომ საქართველოს საბჭოების I ყრილობას (იგი 1922 წლის 25 თებერვალს - საქართველოს გასაბჭოების წლისთავზე ისხსნებოდა), მიეღო გადაწყვეტილება საქართველოს წითელი არმიის გადიდებისა და გაძლიერების შესახებ. ამ საკითხს იგი ისეთ პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭუბდა, რომ უმკაცრეს მუქარასაც არ მოერიდა. 13 თებერვალს გაგზავნილ წერილში კ. ლენინი ს. ორჯონიძეს სწერდა: „ამის შეუსრულებლობისათვის პარტიიდან გაგადებთ მოურიდებლად. ...როგორც თქვენ პირადად, ისე საქართველოს მთელი ცენტრალური კომიტეტი პასუხს აგებთ ამისთვის მთელი პარტიის წინაშე“. წერილის დასასრულს, მინაწერში, ლენინი ერთხელ კიდევ შეახსენებს: „ეს ეხადა ამხ. სერგოსაც და საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრსაც“ (კ. ი. ლენინი, თხ. ტ. 33, გვ. 226-227).

თავი დავანებოთ იმაზე მსჯელობას, თუ რამდენად იცავდა კომუნისტურ პარტიის წესდებას მისივე შემოქმე-

დი, როცა წერდა „პარტიიდან გაგაგდებთ მოურიდენლადო”. ნურც იმას გამოვედევნებით, რომ ამ დროებაზე ს. ორჯონიქიძეს პარტიის წინაშე ვაღი პირნათლად პქონდა მოხდილი - რუსეთისაგან გაქცეული საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი მან საბჭოთა რესპუბლიკის ერთგულებაზე დააფიცა და კვლავ იმპერიის ფარგლებში მოაქცია - და ახლა მისი პარტიიდან გაგდებითაც არაფერი დაშავდებოდა (ამგვარი ურთიერთდამოკიდებულება ბოლშევკითა წრებში დიდ ცოდვად არ ითვლებოდა). ჩვენ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი საქითხი გავარევით, სახელდობრ - წავიდოდნენ თუ არა რუსეთის წითელი არმიის ნაწილები საქართველოდან, თუ აქ შეიქმნებოდა საკუთარი არმია. პასუხი ამ კითხვაზე თოთქოს ნათელია. აკი საქართველოს საბჭოების I ყრილობამ დაუინებითი თხოვნით მიმართა რსფსრ-ს ხელისუფლებას, არ გაეყვანა ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან, ხოლო მანამდე კ. ლენინმა ს. ორჯონიქიძეს პოლიტბიუროს სახელით დაავალა - ენერგიული ზომები მიიღეთ, რათა XI არმია დატოვებულ იქნას საქართველოშით (კ. ი. ლენინი, თხ. 45, გვ. 83). მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს საქითხი შემდგომშიც საზოგადოების მუდმივი მსჯელობის საგნად რჩებოდა, ამასთან წითელი არმიის საქართველოდან გაყვანას შესაძლებლად მიიჩნევდნენ თვით ხელისუფლების წარმომადგენლები. 1922 წლის 22 თებერვალს ი. სტლინი წერდა: „ჩვენ ალბათ პირველი შესაძლებლობისთანავე (როგორც კი შეიქმნება საქ (ართველოს) წით (ელი) არმია) საქართველოდან გავიყვანთ რუს(ეთის) წით(ელ) არმიას”, ხოლო ს. ორჯონიქიძე აცხადებდა: „...ჩვენ რუსებაც და ქართველსაც წითელი არმიიდან რჩივეს შინ გაუშევდთ. დაგვანებოს ინგლისმა და საფრანგეთმა თავი და ჩვენ მუდმივ ჯარიდან ტერიტორიალურ (მილიციონურ) სისტემაზე გადავალთ. მაშინ ტამბოვედი ტამბოვში დარჩება და ქუთათური ქუთაისში” („ერმუნისტი”, 1924 წ., 5 ოქტომბერი). ეს ყველაფერი სიტყვით, თორემ საქმით კეთდებოდა სულ სხვა.

„რუსეთის წითელი არმია ჩეენ მიგვაწნია ჩეენს წითელ არმიად... ჩეენ უეტყვით მთელ მსოფლიოს, რომ განსხვავება რუსეთის წითელი არმიასა და საქართველოს წითელ არმიას შორის არ შეიძლება იყოს, რადგან ერთიც და მეორე არმიაც უწინარეს ყოვლისა არის არა რუსეთის ან საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის ან თურქისტანის არმია, არამედ თითოეული მათგანი იმყოფება რევოლუციის მსოფლიო შტაბის განკარგულებაში", - ამტკიცებდა ს. ორჯონიქიძე საქართველოს საბჭოების I ყრილობაზე.

წითელი არმია იყო ის რეალური ძალა, რომელიც ინარჩუნებდა საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში. ამას არც უარყოფდნენ. შ. ელიავა პირდაპირ მიუთითებდა: ვინც საქართველოდან რუსეთის არმიის გაყვანას მოითხოვს „ის მტერი არის მუშებისა და გლეხების" („ეომუნისტი", 1922 წ., 29 თებერვალი). არა, ამ ჯარებს ვერ შეეღეოდნენ. მით უფრო, რომ ს. ორჯონიქიძეს შიში პქონდა - რუსეთის არმიის საქართველოში ყოფნის პირობებშიც კი ცალკე საქართველოს წითელი არმიის შექმნას, ვაითუ ამ უკანასკნელის გახრწნა გამოეწვია (გახრწნაში უპირველესად საბჭოთა ხელისუფლების ერთგულებაზე უარის თქმა უნდა ვიგულისხმოთ).

ქართულმა წითელმა ნაწილებმა პირველხანებში რამდენიმე რეორგანიზაცია განიცადეს და საბოლოო სახით ასე ჩამოყალიბდნენ: 1922 წლის 21 ივნისს შეიქმნა I ქართული მსროლელი დივიზია (შემდეგში ი. ხტალინის სახელობის), რომლის მეთაურად დაინიშნა ს. ლექებთაძე. II ქართული მსროლელი (ტერიტორიალური) დივიზია ჩამოყალიბდა 1924 წლის პრილ-დექემბერში, (1926 წელს დივიზიას მ. ფრუნზეს სახელი მიენიჭა). დივიზიის მეთაური იყო ნ. ენუქიძე.

ქართული ეროვნული დივიზიები არ ყოფილან და მოუკიდებელი სამხედრო შენაერთები. ისინი ექვემდებარებოდნენ და შედიოდნენ კავკასიის ცალკე არმიაში, რომელიც 1923 წლის აგვისტოდან კავკასიის წითელდროშოთან არმიად იწოდებოდა.

უშედეგო გამოღვა კ. წ. ნაციონალ-უკლონისტების
ცდა შეენარჩუნებინათ ქართული საჯარისო ფონდის გამო-
ბისათვის დამოუკიდებლობის თუნდაც ზოგიერთი უკლო-
ბუტი. ქართულ ნაწილებს, როგორც „ძერუინსკის კომი-
სიის“ მასალებშია აღნიშნული, ეროვნული განმასხვავე-
ბელი ნიშნების ტარებაც აუკრძალეს და ჯარისკაცებს
ნაცვლად სვანური და ნაბდის ქუდებისა, სარდლობის
ბრძანებით, „ბუდიონოვაები“ დაახურეს (ლ. თოიძე, 25
თებერვლის შემდეგ, გვ. 10). აღსანიშნავია, რომ ნაციო-
ნალური ფორმის ტარებას მეფის მთავრობაც კი არ უშ-
ლიდა ცარიზმის არმიაში შემავალ ეროვნულ პოლკებს.

ცენტრის პოლიტიკამ მიზანს მიაღწია - რუსეთის
წითელ არმიაში აღრეული ქართული ნაწილები საბჭო-
თა წყობილების ერთგულ და საიმედო დამცველად აქ-
ცია. 1924 წლის აგვისტოს ცნობილი აჯანყების მა-
რცხის შემდეგ, რასაც შედეგად ულმობელი ანგარიშს-
წორება მოჰყავა, ანგისაბჭოთა ძალები საქართველოში
წელში გატეხილი აღმოჩნდნენ. ქვეყნის შიგნით საბჭოთა
ხელისუფლებას სერიოზული საფრთხე უკავე აღარ ემუქ-
რებოდა. რაც შეეხება ცენტრისათვის ნაკლებად საიმე-
დო ქართველ ბოლშევიკ მოღვაწეთა ჯგუფს, რომელსაც
კ. წ. ნაციონალ-უკლონიზმი ედებოდა ბრალი, მის წე-
ვრებს ცალ-ცალქე გამოუტანეს განაჩენი.

ქართულმა სამხედრო ფორმირებებმა 30-იანი წლების
შეორე ნახევრამდე იარსებეს, 1937 წლის მარტში კი
გამოქვეყნდა საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის
დადგენილება, რომლის საფუძველზე ქართული მსროლე-
ლი დივიზიები საერთო-საჯარისო შენაერთებად გადაქ-
თდნენ. მათ შემდეგი სახელები ეწოდათ: I ქართულ დი-
ვიზიას - „47-ე წითელ-დროშოვანი სამთომსროლელი დი-
ვიზია“, ხოლო II ქართულ დივიზიას - „63-ე წითელი
ვარსკვლავის ორდენისანი სამთო მსროლელი დივიზია“.

„გამული“,
1990 წ., ნოემბერი, №22.

ქართული პარლამენტარიზმის შუქ-წრდილები



საქართველოს დამფუძნებელი კრება, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი - ერის ნების გამომხატველი არჩევითი საკანონმდებლო ორგანოები: რადაცით პგვანან და არც პგვანან ერთმანეთს, ბევრი საერთო აქვთ და ბევრიც განსაკუთრებული. არაერთი პარალელი დაიძებენება მათ შორის, მაგრამ, რა თქმა უნდა, დიდია განსხვავებაც...

ქართული სახელმწიფოებრიობა საოცვეს შორეულ საუკუნეთა წიადში იღებს. სახელმწიფოს არსებობის ფორმა ასწლეულების მანძილზე ჩვენში უმთავრესად მონარქიული იყო. რაც შეეხება პარლამენტარიზმს, მისი ისტორია საქართველოში სულ რაღაც ექვსიოდ წელს მოიცავს, ისიც მხოლოდ მე-20 საუკუნის პირველ და უკანასკნელ მეოთხედებში (ის ფაქტი, რომ თამარის ზეობის ეამს დაისვა საკითხი მმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - კარავის დაარსების თაობაზე, გამოცდილების თვალსაზრისით, ბევრს ვერაფერს გვძენს).

როდესაც რუსეთში თვითმპურობელობა დაემხო და საქართველოს დაკარგული სახელმწიფოებრიობის ადგენის შესაძლებლობა მიეცა, საქართველოში თფიციალურად არც დასმულა საკითხი მონარქიული ხელისუფლების რესტავრაციისა. 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტით საქართველო დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა. 117-წლოვანი იძულებითი წყვეტის შემდეგ კვლავ აღორძინდა ქართული სახელმწიფოებრიობა, ოდონდ ტრადიციული სამეფო ხელისუფლების ნაცვლად შემოდებულ იქნა პარლამენტური მმართველობა. ერმა თავისი თავი უზენაესი უფლების მატარებლად გამოაცხადა. ამ უფლების გამოსახატავად, როგორც საქართველოს გამოლინების ჭეშმარიტი დასტური შექმნა დამფუძნებელი კრება. ამ ეროვნული საქრებულოს უმთავრეს მიზანს ახალი სახელმწიფოებრივი წესწყობილების სამართლებრივ საფუძველზე დამკვიდრება და ქვეყნის

უმთავრესი კანონის - კონსტიტუციის შემუშავებაზეადგენდა.

საქართველოს დამფუძნებელი კრების შემუშავებაზე შემომავა და 1918 წლის ნოემბერში გამოაქვეყნა დროებითმა საკანონმდებლო ორგანომ - საქართველოს პარლამენტმა. მომავალი არჩევნები - საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი - პროპორციული სისტემით ტარდებოდა. დამფუძნებელ კრებაში უნდა აერჩიათ 130 დეპუტატი.

საარჩევნო უფლებით სარგებლობდნენ რესპუბლიკის ორივე სქესის მოქალაქენი, რომელთაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდათ 20 წელი. დამფუძნებელი კრების არჩევნები 1919 წლის შუა თებერვლისთვის დაინიშნა.

როგორ ჩატარდა ქართველი ერის ისტორიაში პირველი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები?

იმ თაობის ადამიანები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ არჩევნებში, დღეისათვის ცოცხალი აღარ არიან. სამწუხაროდ, ამ მნიშვნელოვანი მოვლენის ამსახველი არც დოკუმენტური კინო მასალა შემოგვრჩა. პრესის გაყვითლებული უურცლები, მართალია, სრულად ვერ აცოცხლებენ, მაგრამ ზოგად წარმოდგენას უმჯობელად გვიქმნიან არჩევნების როგორც სამზადისის, ისე მიმდინარეობის შესახებ.

იმხანად საქართველოში თთხი ძირითადი პოლიტიკური პარტია გამოირჩეოდა: სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური და სოციალისტ-რევოლუციონერთა. მათგან ყველაზე მრავალრიცხვან, ორგანიზებულ და გავლენიან ძალას სოციალ-დემოკრატები წარმოადგენდნენ. საარჩევნო სიაში პირველი ნომერიც მათვე ჰქონდათ მიეუთვნებული. ამ პარტიის მესვეურნი თავიანთ კონკურენტებად ერთ-ენულ-დემოკრატებს მიიჩნევდნენ, რომლებიც დიდი ხანი არ იყო, რაც დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბდნენ, მაგრამ უკვე მესწორო ხალხის გარევაული ნაწილის სიმპატიების დამსახურება.



დამფუძნებელი კრების მანდატების მოპოვების ში-
ზით უშუალოდ არჩევნების წინ შეიქმნა რამდენიმე ცენტრალური ლიტერატური თრგანიზაცია. ცენტრალურმა საარჩევნო ჰკონსილიური მისიამ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად დაუშვა 15 პარტია, კავშირი და ჯგუფი. არც ერთი მათგანი საარჩევნო ბლოკად არ გაერთიანებულა, თითოეული ცალკე: დამოუკიდებლად ცდიდა ძალას. დეპუტატობის კანდიდატთა საერთო რაოდენობა 550-ს აღემატებოდა.

არჩევნები იმდენად დემოკრატიული იყო, რომ მასში მონაწილეობის უფლება შეზღუდული არ ჰქონიათ საქართველოს ბოლშევიკებსაც, რომლებიც არ ცნობდნენ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას. ბოლშევიკებმა ბოიოტი გამოუცხადეს და დამფუძნებელი კრების არჩევნების ჩაშლა განიზრახეს, თუმცა ვერას გახდნენ.

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები 1919 წლის 14, 15 და 16 თებერვალს გაიმართა. დიდთოვლობამ ზოგიერთ რეგიონში (ზემო სვანეთი, თიანეთისა და დუშეთის მაზრის ნაწილი) ხელი შეუშალა არჩევნების ჩატარებას. არჩევნები არ შემდგარა სოხუმის ოლქში (აქ მიმდინარეობდა ერობისა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნები), ბორჩალოს მაზრაში, ახალციხესა და ახალქალაქში (სომხეთთან ახლად დამთავრებული ომის გამო). არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 60 პროცენტზე მეტმა.

დამფუძნებელი კრების არჩევნებს თუიციალური საერთაშორისო მეთვალყურეები და დამკაირვებლები არ დასწრებიან. ოპოზიციურმა გაზეთებმა აღნიშნეს რიგი ხარვეზები, რამაც გარკვეული ჩრდილი მოაყენა არჩევნებს, მაგრამ, მათივე სამართლიანი შეფასებით, რომ არც ყოფილიყო ეს დარღვევები, დამფუძნებელ კრებაში დიდად არც შეიცვლებოდა ძალთა განხლაგება, რომელმაც საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო: 109 მანდატი ერგო სოციალ-დემოკრატებს, რომლებმაც ამომრჩეველთა ხმების 84 პროცენტამდე მოაგროვეს, 8-8 დეპუტატი გაიყვანეს ეროვნულ-დემოკრატებმა და სოციალისტ-ფედერალისტებმა, ხოლო 5 ადგილი სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ მოიპოვა. ამრიგად, მრავალპარტიული, და-

მოკრატიული წესით არჩეულ პირველ ქართულ საკანონ-მდებლო ორგანოში აბსოლუტური უმრავლესობაზე მიმდინარე თვეელოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ შეადგინა. დეპუტატის მანდატების მქონე დანარჩენი სამი პარტიის წარმომადგენლები თაოზიციაში აღმოჩნდნენ. დამატებით არჩევნებს, რომლებიც ექვსი თვის ვადაში, აფხაზეთის გარდა ზემოთ დასახელებულ ყველა სხვა ოლქში გაიმართა, დამფუძნებელი კრების პარტიული შემადგენლობაში სერიოზული კორექტივები არ შეუტანია. ქვეყნის პოლიტიკურ საჭეს სოციალ-დემოკრატები დაეუფლნენ.

ისტორია მოწმობს, რომ სხვადასხვა ქვეყანაში დამფუძნებელი კრების უმრავლესობა უიღბლო გამოდგა და თავისი მოდვაწეობა უშედეგოდ - დათხოვნა-გარეკვით დაასრულა. სამწუხაორი, იგივე ბედი ეწია საქართველოს დამფუძნებელ კრებასაც. იგი თბილისში რუსეთის წითელ არმიას შემოყოლილმა საქართველოს რევერმა დაითხოვა 1921 წლის 24 მარტის დეკრეტით.

ვინ იყვნენ საქართაველოს დამფუძნებელი კრების წევრები?

უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში არჩეულთა შორის იყვნენ სოციალ-დემოკრატიის აღიარებული ლიდერები: ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, იარკლი წერეთელი, ევგენი გეგეშქორი, ისიდორე და ნოე რამიშვილები, აკაკი ჩხერიძელი და სხვები; ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები: ნიკო ნიკოლაძე, ექს-თიმე თაყაიშვილი, გერონტი ქიქიძე, გიორგი გვაზავა (კრონულ-დემოკრატები), შალვა ნუცუბიძე, შალვა ალგესი-მესხიშვილი, სამსონ ფირცხალავა (სოციალისტ-ფედერალისტები), ლეო ქიაჩელი (შენგელია), გრიგოლ ნათაძე (სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიისაგან) და სხვა. „საქართველოს ცნობიერების გვირგვინი“ - ასე უწოდებდა დამფუძნებელ კრებას შალვა ნუცუბიძე.

დამფუძნებელმა კრებამ თავის პირველსავე სხდომაზე მიიღო და დამტკიცა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელსაც ხელი მოაწერეს მთავრობის წევრებმა და სხდომაზე დამსწრე დეპუტატებმა.



ახლად შექმნილ დემოკრატიულ რესპუბლიკას სახულმძღვანელო მიერთო ადმშენებლობა უაღრესად რთულ მდგრადი მნიშვნელობის მიზნით მოქალათებული მტრები (ბოლშევიკები) ნაკლებად იძლეოდნენ მშვიდობიანი ცხოვრების შესაძლებლობას. მაგრამ დამფუძნებელი კრების სასახლელოდ უნდა ითქვას, რომ იგი პირველი დღიდანვე შეუდგა ფართო კანონშემოქმედებით საქმიანობას. ინტენსიური შუშაობა მიმდინარეობდა კრების 4 მუდმივ (სარედაქციო, სარეგულამენტო, საქონსტიტუციო, საფინანსო-საბიუჯეტო) და 11 კომისიაში (შრომის, თვითმმართველობის, აგრარული, განათლების, ჯანმრთელობის, სამხედრო, იურიდიულ, გზათა, ხელოვნების, სამეცნიერო და საბიბლიოთეკი).

უნდა ითქვას, რომ კომისიებში მმართველი პარტიის წევრებთან ერთად აქტიურად თანაბარომლობდნენ ოპოზიციის წარმომადგენლები. ყოფილა შემთხვევები, როცა ოპოზიციონერები წვრილმან საკითხებზეც გამოდავებიან ხელისუფლების სათავეში მდგრომ ხოციალ-დემოკრატებს. მაგრამ დეპუტატთა ურთიერთდამოკიდებულება, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, ყოველთვის კორექტული და საქმიანი იყო. უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე მსჯელობა ხოგჯერ ცხარე კამათშიც გადაიზრდებოდა ხოლმე, მაგრამ ეთიკის ნორმები იშვიათად იწვეოდა.

მიუხედავად პარტიული სხვადასხვაობისა, დამფუძნებელი კრების წევრები ქეყნისათვის კრიტიკულ დღეში მუდამ ერთიანნი იყვნენ, რითაც ჩინებულ მაგალითს აძლევდნენ თავიანთ ამომრჩევლებს.

დამფუძნებელი კრების პლენარულ სხდომებზე დრო უმთავრესად დღის წესრიგით გათვალისწინებული კანონ-პროექტების განხილვა-დამტკიცებას ეთმობოდა. კეორუმის შეუკრებლობის გამო სხდომა იშვიათად თუ ჩაშლილა. დეპუტატები (როგორც ოპოზიციის, ისე მმართველი პარტიის) თავიანთ მოვალეობას კეთილსინდისიურად ასრულებდნენ, დამფუძნებელ კრებაში დროულად ცხადდებოდნენ და სხდომას უნდამორთვოდ არ ტოვა ბდნენ. თუმცა კრების რეგლამენტში მაინც იყო მუხლი,

რომელიც გაცდენებს შეეხებოდა: „დეპუტატს, რომელიც არა პატივსაღები მიზეზის გამო გააცდენს უსედომას, უნდა გამოერთიცხოს ყოველი გამოშეებული პასტომისათვის ერთი მეოცდათვედი თვიური გასამრჯელოსი. დეპუტატი, რომელიც ორი თვის განმავლობაში სრულიად არ დაესწრო სხდომას და არც არავითარი განმარტება არ წარმოადგინა ამის გამო, დამფუძნებელი კრების წევრობიდან გამორიცხულად წაითვლება და მის აღგიღს მორიგი განდიდატი დაიჭერს“.

დამფუძნებელი კრება მოკლებული იყო ტექნიკურ საშუალებებს (ელექტრო ტაბლო, პულტები და ა.შ.). უარული კენჭისყრა ჩვეულებრივ ბიულეტენებით წარმოქბდა. რეგლამენტი ითვალისწინებდა შემდეგსაც: „თუ ლია კენჭისყრის შედეგები ეჭვს გამოიწვევს, ხმის მიცემა ხდება კარებში გასვლით: წინადაღების მომხრენი ერთ კარში გადიან, მოწინააღმდეგენი მეორეში. ხმებს სოფლიან ქვესტორი და მისი თანაშემწერები“.

ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და მზარდი ინფლაცია დამფუძნებელი კრების დეპუტატებს აიძულებდა გადაეხედათ თავიანთი გასამრჯელოსათვის. დეპუტატის ხელფასი თავდაპირველად 1500 მანეთით განისაზღვრა, მოგვიანებით იგი 2500, ხოლო შემდეგ 6 ათას მანეთამდე გაიზარდა. სათქმელია ისიც, რომ კანონი კრძალავდა (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) დეპუტატობის შეთავსებას სხვა სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში სამსახურთან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დამფუძნებელი კრების მიერ მომზადებული და მიღებული პირველი ქართული კონსტიტუცია. ეს იყო უაღრესად დემოკრატიული კანონი, რომელიც სრულად ასახავდა და წინაც უსწრებდა იმდროინდელი მსოფლიო დემოკრატიზმის მიღწევებს. მართალია, კონსტიტუციამ მხოლოდ რამდენიმე დღე იმოქმედა (1921 წლის 25 თებერვალს თბილისში შემოჭრილმა წითელმა არმიამ დაამხო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა), მაგრამ იგი დარჩა, როგორც ფასდაუდებელი სამართლებრივი დოკუმენტი, რო-

მლის ბევრ დებულებას დღემდე არ დაუკარგავს ცხოველმყოფლობა.

დამფუძნებელი კრების სახით ქართული პარლამენტი მარიამ გადაიდგინია თუმცა კრებამ თავისი ლეგისლატურა (უფლებამოსილების ვადა) ბოლომდე ვერ ამოწურა, მაგრამ ამოცანა, რომელიც მას ქართველმა ერმა დაუსახა, არსებითად შეასრულა.

* * *

ცნობილია, რომ ბოლშევიკები საქართველოს ხელისუფლების სათავეში რუსეთის სამხედრო შენაერთების გამოყენებისა და ძალადობის გზით მოვიდნენ. ახლა არც ისაა ვინმესათვის უცხო, რომ მათი ძალაუფლების შენარჩუნება და განმტკიცება ამ ძალაზე დაყრდნობით გახდა შესაძლებელი. ასეთ პირობებში ისინი ქვეყანაში მრავალპარტიულობას ვერ დაუშევებდნენ და არც დაუშვიათ. აიკრძალა ყველა არამარქისტული პოლიტიკური ორგანიზაცია და დამკვიდრდა ერთპარტიული სისტემა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში არჩევნებმა არსებითად დაკარგა რეალური შინაარსი და პოლიტიკურ ფარსად იქცა. ასარჩევ კანდიდატებს (ერთ ადგილზე მხოლოდ ერთი პიროვნება!) ხელისუფლების ზემდგომ პარტიულ ორგანოში განსაზღვრავდნენ და ანაწილებდნენ არა პროფესიონალური, არამედ სოციალური ნიშნით. პირველ ხანებში უპირატესობა წერა-კითხვის უცოდინარ, მაგრამ „მგზენებარე ბოლშევიკ“ გლეხებსა და მუშებს ეძლეოდათ განათლებულ და ღირსეულ ადამიანებთან შედარებით, რომელთაც საეჭვო წარმომავლობა ჰქონდათ (იყვნენ თავიდაზნაურთა წრიდან). ამ მხრივ დამახასიათებალია ს. ორჯონიკიძის სიტყვები, ნათქვამი სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების მეორე ყრილობაზე. ამ ყრილობაზე მოკლე სიტყვით გამოვიდა უწიგნური გლეხი (ასე უწოდა ორატორმა თავის თავს) მელაძე. ორჯონიკიძემ თავის გამოსვლაში არა ერთხელ დაიმოწმა იგი, მერე კი განიცხადა: „ჩვენ გვწამს მელაძეების დემოკრატია. მათი წყა-

დობით ვართ მაგრამ მის მეზობელ ამილა-ხერის დემორატია წევნ არა გეწამს. მეღმიერ უნდა იჯდეს აქ და ... მართავდეს თავის სახელმწიფო სსქმე-ებს, ამილახერებისათვის კი წევნ გვყავს ამს. კვანტალი-ანი" (კვანტალიანი იყო საქართველოს საგანგებო კომი-სიის - „ჩექას" უფროსი).

ადვილი წარმოსადგენია, როგორი კანონშემოქმედვ-ბითი უნარი ექნებოდა ასეთი პრინციპით დაკომპლექტებულ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს, თუმცა, ისიც სათქმელია, რომ მას ამგვარი საქამიანობა არსებითად არც უხდებოდა: კანონპროექტებს მოსკოვში პარტიულ და სახელმწიფო აპარატის მოხელენი აღგენდნენ, თბილისში მას მხოლოდ გადმოთარგმნიდნენ, ორიოდე უმნიშვნელო ცვლილებას შეიტანდნენ და ცეტრალურ კომიტეტში „მოიწონებდნენ". დეპუტატები საქმეში დასკვნით ეტაპზე ერთვებოდნენ და კანონპროექტს კანონის ძალას ანიჭებდნენ. კენჭისყრას ფორმალური ხასიათი ჰქონდა. პარტიული ხელისუფლების მიერ მოწონებულ დოკუმენტს, როგორც წესი, ერთსულოვნად, მქუხარე ტაშით უჭერდნენ მხარს.

ხალხის „რჩეულ" დეპუტატებს ბევრი არაფერი ეპალებოდათ. ამგვარმა კითარებამ შექმნა მცდარი წარმოდგენა, რომ დეპუტატობას არავითარი მომზადება, ნიჭი და უნარი არ სჭირდება, იგი უველას ხელუწიფება. ამასთან, ფართო პრივილეგიებმა და პრესტიჟმა დეპუტატობის ხიბლი კიდევ უფრო ელვარე გახადა.

კომუნისტური მმართველობის წლებში არჩევნებს „საყოველთაო" ხასიათი ჰქონდა. წარმოუდგენლად იყო მიჩნეული კენჭისყრისაგან თავის არიდება და ხმის მიუცემლობა (საბჭოთა მოქალაქეებს არც კი გაუგოთ ხიტყვა აბსენტეიტმი). არჩევნების დღეს თუნდაც სულ არ გაკარებოდი საარჩევნო ურნას, შენს ხმას მაინც მიითვლიდნენ. ასე მოვედით 80-იანი წლების ბოლომდე, როცა ზემოდან მომდინარე დათმობებისა („გარდაქმნა") და ქვემოდან დაწყებული ეროვნული მოძრაობის შედეგად რაღაც უნდა შეცვლილიყო.

1990 წლის 25 მარტისათვის დაინიშნა საქართველოს უზენაესი საბჭოს ახალი არჩევნები. ტოტალურად რელი რეჟიმის 70 წლის მანძილზე პირველად განსაზღვრული შესაძლებლობა დეპუტატობის კანდიდატთა თავისუფალი შერჩევისა. ესევ მიღწევა იყო, როგორც საწყისი ნაბიჯი დემოკრატიზაციის გზაზე. დაიწყო საარჩევნო კამპანია, რომელმაც მოსახლეობის ფართო ფენების მხურვალე ინტერესი გამოიწვია, მაგრამ საზოგადოებრივ ასპარეზზე ახლად გამოსული ეროვნული ძალებისათვის, რომლებიც პოლიტიკურ ორგანიზაციებად ყალიბდებოდნენ, ეს არჩევები მიუღებელი აღმოჩნდა. 1990 წლის 13-15 მარტს გამართულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციამ დაადგინა: „... 1990 წლის 25 მარტის საქართველოს ქ. წ. უზენაესი საბჭოს მომავალ არჩევნებს გამოეცხადოს სრული ბოკიტი...“

გაიშალოს უფართოესი სამუშაო, რათა საქართველოს კანონიერი მოსახლეობის მიერ საყოველთაო, დემოკრატიული და პირდაპირი, თანასწორი, ფარული კენჭისყრით არჩეულ იქნას საქართველოს გარდამავალი კოალიციური ოპოზიციური ხელისუფლება...

პარიტეტულ საწყისებზე შეიქმნას ეროვნული ფორუმი..., რომელიც მოიწვევს საყოველთაო ეროვნულ ყრილობას და გარდამავალი კოალიციური ოპოზიციური ხელისუფლების საყოველთაო დემოკრატიულ არჩევნებს".

ინტელიგენციას სიმტკიცე არ ეყო. დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულმა ამ ფენის ბევრმა ცნობილმა წარმომადგენელმა, რომელიც აქტიურად იყო ჩაბმული საარჩევნო კამპანიაში, უკვე კონფერენციის მეორე დღიდანევე გამოაცხადა თავისი კანდიდატურის მოსხის შესახებ, რაც აღნიშნული კონფერენციის გადაწყვეტილების მხარდაჭერით მართლდებოდა.

შეშინებული თუ ზემოდან დარიგებული ხელისუფლება დაკუვა ეროვნული მოძრაობის ნებას. იმავე წლის 20 მარტს სასწრაფოდ გაიმართა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესია, რომელმაც დაადგინა: „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დე-

პუტიაშვილი გადატანილ იქნეს 1990 წლის 19 მარტის მიერთებულ შენიშვნის მიხედვით".

ამავე სესიამ მიიღო კანონი კონსტიტუციის მიხედვის შეტანის შესახებ, რითაც ოფიციალურად დაუშვა მრავალპარტიულობა.

როგორ საკანონმდებლო ორგანოს მიერთებდით, 25 მარტის არჩევნები რომ ჩატარებულიყო? რა თქმა უნდა, ეს არ იქნებოდა საუკეთესო პარლამენტი, რადგან საამისოდ ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ არ იყო მზად. მაგრამ ამომრჩეველთა გაზრდილი პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში, როდესაც ზურგს უკან ეროვნული მოძრაობის დიდ ძალასაც იგრძნობდა, ახლად არჩეული უზენაესი საბჭო, რომელშიც, ალბათ, უმეტესობა კომარტიისა და სახალხო ფრონტის წარმომადგენლებს ექნებოდათ, ზედმეტი რადიკალიზმის გარეშე შეამზადებდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სამართლებრივ საფუძვლებს.

უზენაესი საბჭოს არჩევა იმადაც იქნებოდა სასარგებლო, რომ იმ დროის განმავლობაში, რაც ეს საკანონმდებლო ორგანო იმუშავებდა, დაუდედარი ეროვნულ-პოლიტიკური ძალები, რომელთაც სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობისა და ქვეყნის წინამდოღოლობის არანაირი გამოცდილება არ გააჩნდათ, საამისოდ უკეთ მოემზადებოდნენ.

გაზაფხულისთვის დანიშნული არჩევნები არ შედგა, იგი შემოდგომისთვის გადაიდო. ჯერი საარჩევნო კანონზე მიღვინდა. მომზადდა და საყოველთაო განხილვისათვის გამოქვეყნდა კანონპროექტის სამი განსხვავებული ვარიანტი. საზოგადოება ცხოველი ინტერესით შეხვდა საბჭოთა ხელისუფლების მრავალწლიან ისტორიაში ამ უწვეულო მოვლენას. მომავალი არჩევნების შესახებ მსჯელობდნენ, თავიანთ შეხედულებებს გამოთქვა მდნენ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, წარმოება - დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში. პრესაში დაიბეჭდა გამოხმაურებები და შენიშვნები ამ დოკუმენტზე. უმეტესობა მხარს უჭერდა იმ კანონპროექტს, რომელიც შედგენილი იყო „მრგვალ

მაგიდაში" გაერთიანებული ორგანიზაციების, „დას"-ის, /
ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის, რესტრაციული
ბლიკურ-ფედერალური პარტიის, მწვანეთა პარტიის / და
სახალხო ფრონტის წარმომადგენელთა მიერ.

ხანგრძლივი ვნებათაღელვის შემდგომ საქართვე-
ლოს უზენაესი საბჭოს სესიამ 1990 წ. 17 აგვისტოს გა-
მოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით მიიღო სპეცი-
ალური კომისიის მიერ შეჯერებული კანონპროექტი და
28 ოქტომბერს დანიშნა არჩევნები.

მომავალი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატთა
რაოდენობა 250 კაცით განისაზღვრა. მათგან 125 უნდა
არჩეულიყო პროპორციული, 125 მაჟორიტარული სისტე-
მით.

საარჩევნო კამპანიის პერიოდში მოწმე გავხდით
სრულიად წარმოუდგენელი და ჯერაც აუსხნელი ამბი-
სა: აქამდე მტკიცე და შეუვალმა კომუნისტურმა ხელი-
სუფლებამ საოცარი მეტამორფოზა განიცადა, იგი სულ
უფრო დამყოლი და ნებიერი გახდა. საფუძვლიანად შე-
რყეული მისი ავტორიტეტი შაგრენის ტყავივით დღითი-
დღე კლებულობდა, რეალურ ძალას მოკლებული კომუ-
ნისტების მმართველობა ნომინალური რჩებოდა. ამის პა-
რალულურად ხალხში იზრდებოდა გავლენა ეროვნული
მოძრაობისა. მის რიგებში ხალისით დგებოდნენ სხვადა-
სხვა პროფესიის ადამიანები, კინც კომუნისტური რეე-
მის პირობებში თავს შევიწროებულად გრძნობდნენ.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ 1990 წლის მარტში შეი-
ქნა ეროვნული ფორუმი, როგორც ეროვნულ-განმათავი-
სუფლებელი მოძრაობის საკორდინაციო და ხელმძღვა-
ნელი ორგანო. მასვე დაევალა მომავალი არჩევნების
ორგანიზაცია. მაგრამ მოვლენები სხვა გზით წარიმა-
რთა. ფორუმი ვერ გამოდგა სიცოცხლისუნარიანი და
მტკიცე ერთეული. იგი მაღე თუ დაპირისპირებულ
ფრთად გაიყო, რომელთაგან ერთმა (საქართველოს და-
მოუკიდებლობის პარტია, საქართველოს ეროვნულ-დემოკ-
რატიული პარტია და სხვ.) თავი რადიკალურ თპოზიცი-
ად გამოაცხადა და უზენაესი საბჭოს არჩევნებს დაუპი-
რისპირდა. მოძრაობის ამ ნაწილმა ჯერ ეროვნული ყრი-

ლობა მოიწვია, მერე კი არჩევნების გზით ეროვნული
კონგრესი შექმნა.

ამას უზენაესი საბჭოს საარჩევნო კამპანიაში შე
უნდღებია. არჩევნებში მონაწილე ორგანიზაციები თავი-
დან პირობითად ორ ბანაკად გაიყენენ: ერთ მხარეს კო-
მიარტია, ხოლო მეორე მხარეს ყველა დანარჩენი. უშეა-
ლოდ არჩევნების წინ ძალთა ეს განლაგება დაირღვა.
კომუნისტებისადმი დაპირისპირებულმა ბანაკმა ერთიან
ბლოკად გამოსვლა ვერ შეძლო ან ადარ ისურვა. საბო-
ლოოდ ასეთი სურათი მივიღეთ: ჩამოყალიბდა 6 საარჩე-
ვნო ბლოკი („თავისუფლება”, „თანხმობა, მშვიდობა,
აღორძინება”, „საქართველოს ეროვნული ერთიანობის პა-
რტიისა და მთიელთა კავშირი”, „განთავისუფლება და
ეკონომიკური აღორძინება”, „მრგვალი მაგიდა”, „დემოკ-
რატიული საქართველო“) და რვა დამოუკიდებელი პო-
ლიტიკური ორგანიზაცია (საქართველოს ხოციალ-დემოკ-
რატიული პარტია, საქართველოს კომუნისტური პარტია,
საქართველოს აგრარული კავშირი, საქართველოს სახა-
ლხო პარტია, სრულიად საქართველოს რუსთაველის სა-
ზოგადოება, საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია
„სტალინი“, სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კა-
ვშირი, საქართველოს სახალხო ფრონტი), მათგან საქა-
რთველოს ეროვნული ერთიანობის პარტიისა და მთიე-
ლთა კავშირის ბლოკს, აგრარულ კავშირსა და ორგანი-
ზაცია „სტალინს“ არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღი-
ათ.

რეგისტრაცია გაიარა პროპორციული გზით ასარჩე-
ვება 2400-მდე და მაჟორიტარული სისტემის 1000-მდე და-
მოუკიდებელმა კანდიდატმა.

საბჭოთა ეპოქაში პირველი მრავალპარტიული და
დემოკრატიული არჩევნები შთამბეჭდავი და უმნიშვნე-
ლოვანები დღე იყო საქართველოს ისტორიისა. ეს იყო
მართლაც ხალხის ნების გამოხატვა, როცა ადამიანებს
მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და საკუთარი სინ-
დისის გარდა არავინ აიძულებდა მისულიყვნენ საარჩე-
ვნო უბნებთან.

28 ოქტომბრის არჩევნებს საერთაშორისო დამკვირებელთა სოლიდური კორპუსი დაესწრო. დამკვირებულ ბლებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ უმნიშვნელო ხარვეზები, მაგრამ მათვე მსოფლიოს გასაგონად განაცხადდეთ ხადეს: არჩევნებმა საქართველოში ობიექტებიდ ჩაიარაო.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩევლების საერთო რაოდენობის დაახლოებით 70-მა პროცენტმა. ხმების უმრავლესობა, როგორც პროპორციულ, ისე მაჟორიტარულ არჩევნებში მოიპოვა „მრგვალი მაგიდის“ ბლოკმა. მათ 114 დეპუტატი გაიყვანეს. მეორე ადგილზე გასულმა კომპარტიამ მიიღო 61 მანდატი. თითო ადგილი ერგოთ სახალხო ფრონტის, „დემოკრატიული საქართველოს“, „განთავისუფლება და ეკონომიკური აღორძინების ბლოკის წარმომადგენლებს“. პოლიტიკურ ძალთა განლაგებაში დიდი ცვლილება არ შეუტანია არჩევნების მომდევნო ტურს. ხელისუფლების სათავეში „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ აღმოჩნდა.

დეპუტუტები, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, გახდნენ მანამდე ნაკლებად ცნობილი ან სრულიად უცნობი ადამიანები, რომელთა „სავიზიტო ბარათს“ ანტისამთავრობო მიტინგებსა და სხვა ამგვარ აქციებში მონაწილეობა წარმოადგენდა. ამ ხალხის პარლამენტში არჩევა მათვე ლიდერისა და ქვეყნის მომავალი პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას სახელმა და ავტორიტეტმა განაპირობა.

რაც შეეხება კომუნისტებს, მათ თავი ანებეს დეპუტატთა ტრადიციულ შერჩევას და რაიკომუნის მდივნების, მეჩაიების, მევენახების თუ წარმოების მოწინავეთა ნაცვლად თავიანთი რიგები თავლსაჩინო მეცნიერთა და სხვა ცნობილ პიროვნებათა ხარჯზე შეავსეს. თუ მცა, ამანაც ვეღარ უშველათ და იძულებული გახდნენ ხელისუფლებას გამოთხოვებოდნენ.

უზენაესი საბჭოს არჩევნებმა ხალხის ნება კი გამოხატა, მაგრამ აჩვენა იმავე ხალხის საოცრად დაბალი პოლიტიკური კულტურა, რაც განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა მაჟორიტარული სისტემით დეპუტატთა შერჩევისას. ამომრჩეველმა პატიოსან, ავტორიტეტულ გა-

მოცდილ და საყოველთაოდ ცნობილ პიროვნებებს შემთხვევაში სრულიად უცნობი კანდიდატები ამჯობინა, მხოლოდ იმიტომ, რომ ზ. გამსახურდიას ბლიკუმანაშან, იყვნენ წარდგენილნი.

ასე იყო თუ ისე, 28 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფო ეროვნული სამსახურის მინისტრი ახალი ეტაპი. ხელისუფლება მშვიდობიანი გზით შეიცვალა. ძალაუფლება კანონიერად, დემოკრატიულ მრავალპარტიულ არჩევნებში წარმატების შედეგად ხელში აიღო ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთაგან დაკომპლექტებულმა „მრგვალი მაგიდის“ ბლოკმა. პოლიტიკურ ბრძოლაში მარცხგანცდილმა წინა ხელისუფლებამ ოპოზიციაში გადაიცვლა.

უელაფერი ისე მოხდა, როგორც ცივილიზებული, დემოკრატიული ცხოვრების ხანგრძლივი გამოცდილების მქონე ქვეყნებში ხდება. კარგი დასაწყისი ოპტიმისტურ პერსპექტივას გვიქადდა. ახლა საჭირო იყო დაგვევიწებინა ურიერთშედლი და გაუტანლობა, გვეპატიებინა ერთმანეთისთვის მიყენებული ტკენაც და წყენაც, დაგვეგდო ბოროტი და შევდგომოდით კეთილის სამსახურს. ბოროტებისაგან უპირველესად უნდა დაგვეძლია ისეთი საშინელება, როგორიცაა კაცისაგან კაცის მოკვდინება. ამ მიზნით, 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა გამოსცა საგანგებო ბრძანება, რომელშიც ნათქვამი იყო: „...დღეიდან ყოველი ქართველი ადამიანის მკვლელი, მიუხედავად მსხვერპლის (მოკლულის) დანაშაულისა ან უდანაშაულობისა, გამოცხადდეს ქართველი ერის მტრად. მკვლელის სახელი და გვარი შეტანილ იქნეს საპატრიარქოს საეციალურ წიგნში და გადაეცეს თაობიდან თაობას, როგორც სამარცხებინო და დასაგმობის“.

არჩევნებიდან ზუსტად ორი დღის შემდეგ, 30 ოქტომბერს, მოსკოვის ცენტრალური ტელევიზიის პროგრამით „ტსნ“ გადაიცა ინფორმაცია ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტის შესახებ. ავი წინასწარმეტყველშის სახით ითქვა, რომ „მრგვალი მაგიდა - თავისუფლი საქართველოს“ წარმატება შეიძლება საქართველოში

სამოქალაქო ომის საწინდარი გახდესო". ამ ნათქვაშიც
თვის მაშინ სერიოზული კურადღება არავის მიუქცევის უნარის

1990 წლის 14 ნოემბერს შედგა ახლადაწყვეტილი საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სხდომა. იგი
დაიწყო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-
კურთხევით. მანვე უზენაეს საბჭოს უძღვნა ბიბლია და
„აღდგომის" ხატი.

მუხრან მაჭავარიანის წინადადებით, უზენაესი სა-
ბჭოს თავმჯდომარედ დაასახელეს „მრგვალი მაგიდა -
თავისუფალი საქართველოს" სპიკერი ზვიად გამსახურ-
დია, რომელიც დეპუტატებმა ფარული კენჭისყრით აღრ-
ჩიეს ამ პოსტზე.

უზენაესი საბჭოს პირველი კანონი მიეძღვნა საქარ-
თველოს სსრ სახელწოდების შეცვლას: სახელმწიფოს
ეწოდა საქართველოს რესპუბლიკა. დამტკიცდა ახალი
სიმბოლიკა (გერბი, დროშა, პიმნი).

შემდგენ კანონი საქართველოს რესპუბლიკაში გარ-
დამავალი პერიოდის გამოცხადებას შექმო. აღნიშნული
დოკუმენტით გარდამავალი პერიოდი ეროვნულ-განმათა-
ვისუფლებელი მოძრაობის უმნიშვნელოვანეს ეტაპად და-
ისახა, რომლის განმავლობაში უნდა მომზადებულიყო
საქართველოს სრული სახელმწიფო დამოუკიდებ-
ლობის აღდგენის რეალური საფუძვლები.

გარდამავალი პერიოდის გამოცხადება კონივრული
პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. სავსებით მართებუ-
ლად არ იქნა განსაზღვრული ამ პერიოდის ხანგრძლი-
ვობა. ცენტრისათვის გამოკანად ქცევლი გარდამავალი
პერიოდის დექლარირებით ჩვენს ხელისუფლებას შეე-
ძლო დრო თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა, არ ეჩ-
ქარა, ლავირებისა და მოქნილი პოლიტიკის გზით საქა-
რთველოს სუვერენული არსებობისათვის არა მხოლოდ
პოლიტიკურ-სამართლებრივი, არამედ სათანადო ეკონო-
მიკური საფუძვლებიც შეემზადებინა. სამწუხაროდ, ეს
შესაძლებლობა სრულად ვერ იქნა გამოყენებული.

საქართველო ჯერ ისევ სსრ კავშირის შემადგენ-
ლობაში იმყოფებოდა, ამდენად მის ტერიტორიაზე
კალაპ მოქმედებდა საკავშირო კანონები და კანონქვემ-

დებარე აქტები. უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგრძნილება/შეეჩერებინა ეს კანონები, თუ ისინი ეწინააღმდეგამტკრდასაქართველოს რესპუბლიკის კანონებსა და ინტერუშებს/უც

ამ მხრივ ყველაზე საშუარი იყო საყოველოთ სამ-ხედრო ვალდებულების შესახებ სსრ კავშირის კანონის მოქმედების შეჩერება. თითქმის ერთი წლის მანძილზე ქართველი ჭაბუკები გაურბოდნენ სამხედრო სამსახურში გაწვევას, რის გამოც მათ სისხლის სამართლის პასუხი-სმგებლობა ემუქრებოდათ. უზენაესმა საბჭომ შეაჩერა ამ კანონის მოქმედება საქართველოში. ამასთან, რესპუ-ბლიკის სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოიღო მუ-ხლი საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურიდან თავის არიდების გამო პასუხისმგებლობის შესახებ.

უზენაესმა საბჭომ შეიმუშავა კანონი ხელისუფლე-ბის ადგილობრივი ორგანოების - საკრებულოების შე-ქმნის თაობაზე და 1991 წლის მარტში ჩატარა კიდეც მათი არჩევნები. მაგრამ ქალაქებსა და რაიონებში ხე-ლისუფლებას განასახიერებდნენ არა ეს არჩევითი ორ-განოები, რომელთაც ნომინალური ხასიათი ჰქონდა, არა-მედ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დანიშნული პრეფექტები. ამასთან პრეფექტების შერჩევისას ხშირად განამსაზღვრელი იყო არა პროფესიონალიზმი, პიროვნე-ბის ნიჭი და უნარი, არამედ ზ. გამსახურდიასადმი ერ-თგულება.

საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგა-ნომ მიიღო კანონი რეფერენდუმის შესახებ. პირველი და ერთად-ერთი რეფერენდუმი ჩატარდა 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა. მოსახლეობას უნდა ეპასუხა მხოლოდ ერთ შეკითხვაზე: „თანახმა ხართ თუ არა აღდგეს საქართვე-ლოს სახელმწიფო დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე“. რეს-პუბლიკის მოსახლეობის აპსოლუტურმა უმრავლესობამ ამ კითხვას დადგებითად უპასუხა. საქართველოს დამოუ-კიდებლობის იდეას მხარი დაუჭირა არამხოლოდ ქართ-ველმა ამომრჩეველმა, არამედ რესპუბლიკაში მცხოვრე-ბმა სხვა ეროვნებათა უმეტესობამ, რაც ხელისუფლებამ თავისი კურსის დიდ მხარდაჭერად ჩათვალი და მიიჩ-

ნია, რომ საქართველოს სუვერენიტეტის პრობლემა გვიცდა იდეის ფარგლებს და პრაქტიკული აუცილებელობას ბის საგნად იქცა. იმავე წლის 9 აპრილს უზენაესში საბჭომ, ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფო ებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა და მიიღო შესაბამისი აქტი.

თავისუფლებამოწყურებულ ქვეყანასა და ხალხს დამოუკიდებლობის მოპოვება ოცნებად პქონდა გადაქცეული, ამიტომ, სრულიად გასაგებია, რომ 9 აპრილის აქტს მოსახლეობა ზეიმითა და აღტაცებით შეხვდა. ნამდვილ თავისუფლებამდე და დამოუკიდებლობამდე ჯერ კიდევ შორს იყო. ეს კველაზე უპეტ ხელისუფლებას უნდა სცოდნოდა, რომლის ძალისხმევა და ენერგია უმთავრესად ცენტრის პოლიტიკურ დივერსიებზე (სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულებები და სხვ.) რეაგირებას შეეწირა და სრულიად უჟურადღებოდა დარჩა ეკონომიკა.

ცენტრალური კავშირების მოშლამ და უპირველუსად რუსეთთან გაწყვეტილმა ტრადიციულმა ურთიერთობამ ჩვენი ეკონომიკის პარალიზება გამოიწვია. შემოზიდული ნედლეულის რეზერვი, რომლითაც ჯერ კიდევ მუშაობდნენ ფაბრიკა-ქარხნები, თანდათან იწურებოდა. ვერ მოიძებნა ძველი ეკონომიკური პარტნიორების ალტრნატივა, რის გამოც სრულ იზოლაციაში აღმოვჩნდით. დამხმარე კი არსაიდან ჩანდა.

როგორც მიმდინარეობდა ჩვენი საერთაშორისო აღიარების პროცესი. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს საზღვარგარეთ უმთავრესად კერძო ვიზიტებით უხდებოდა გამგზავრება და, ვვონებ, არც ერთხელ არ შეხვედრია თავის უცხოელ კოლეგებს. ვერ გამოიკვეთა ქვეყნის სახელმწიფო ებრივი ინტერესებისათვის შესაფერი საგარეო კურსი. აშშ პრეზიდენტმა ს. გამსახურდიას პოლიტიკას დინების საწინააღმდეგო სკოლა უწოდა, რასაც ამ უკანასკნელის ლიმილის მომგვრელი რეაქცია მოჰყვა.

„მრგვალმა მაგიდამ“ ვერ გამოიყენა ისტორიული შანსი, ვერ შეძლო თავისუფლებით ანთებული მოსახლე-

ობის ენთუზიაზმი და შემართება - ეს მძლავრი კონფ-
ნული ენრგია - ჩაერთო შრომისა და აღმშენებლობის
პროცესში. მთავრობის სახლთან ყოველდღიურო მოტინგჭ-
ბი, რომელსაც ხელისუფლება ატარებდა (ხშირად რაიო-
ნებიდანც ჩამოჰყავდათ მომიტინგენი), შრომაზე გულს
უცრუებდა ადამიანს და ხელს უწყობდა უსაქმერობის
ატმოსფეროს დამკვიდრებას.

უზენაესი საბჭოს შუშაობა კარგა ხნის განმავლო-
ბაში შესაშური ერთსულოვნებით გამოირჩეოდა. ჯერ კი-
დევ საარჩევნო კამპანიიდან მოყოლებული, საქართველო-
ში გაბატონებული იყო იმგვარი განწყობა, რომ ეროვნუ-
ლი მოძრაობის ლიდერთა შეხედულების საწინააღმდეგო
აზრის გამოთქმა ცედ ტონად აღიქმებოდა და გარკვე-
ულ რისკთანაც იყო დაკავშირებული, რადგან ამის გა-
მო, ძალზე იოლად შეიძლებოდა ერის მტრად გამოეცხა-
დებინეთ. ალბათ, ამითაც უნდა აიხსნას, რომ კომუნის-
ტური პარტიის სიით არჩეული დეპუტატები ნაკლებ აქ-
ტიურობას იჩენდნენ. მათ ვერ გაძედეს საპარლამენტო
ოპოზიციად ჩამოყალიბება და ისე იქნენ დათხოვილი
უზენაესი საბჭოდან, რომ თავი ვერც ერთი საკანონმდე-
ბლო ინიციატივით ვერ დაგვამასხოვორეს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოც-
ხადების შემდგომ უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილუ-
ბა რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღე-
ბის შესახებ. დადგენილებაში ამ პოსტის შემოღება ახს-
ნილი იყო „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო
წყობილების სრულყოფის, ქვეყნის სუვერენიტეტის, მოქა-
ლაქეთა უფლებების, თავისუფლებისა და უშიშროების
განმტკიცების“ საჭიროებით.

1991 წლის 14 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის
პირველ პრეზიდენტად უზენაესმა საბჭომ დია კენჭი-
სყრით აირჩია ზ. გამსახურდია. იმავე დღეს მიღეს გა-
დაწყვეტილება, რომ პრეზიდენტის არჩევნები საყოველ-
თაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების
საფუძველზე ფარული კენჭისყრით მოეწყობოდა 1991
წლის 26 მაისს.

თუ რა პერიპეტიიებით წარიმართა საპრეზიდენტო /
საარჩევნო კამპანია, საყოველთაოდ ცნობილია და უშისხე
მკითხველის უურადღებას აღარ შევაჩერებ, დავძენ შხო-
ლოდ იმას რომ არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმა-
რჯვა ზ. გამსახურდიამ.

ზემოთ ჩვენ კომუნისტური ხელისუფლების მეტამო-
რფოზა ვახსენეთ. აქ უნდა მივუთითოთ ამ ხელისუფლე-
ბის დანაშაულებრივ გულგრილობაზე, რაც მან ეროვნუ-
ლი მოძრაობის წევრთა მიერ იარაღის თვითნებური შე-
ძენისა და შეიარაღებული ფორმირებების შექმნისადმი
გამოიჩინა. ადრე ხელსუფლებას აღრიცხული და დანომ-
რილი ჰქონდა არა თუ იარაღი, ლამის ყოველი ტყვიაც
კი. სადღაც, საქართველოს უკიდურეს სოფელში რომ
რევოლუციი გაესროლათ, იმავე დღეს შესაბამის ორგა-
ნოებს თბილისში ამის შესახებ ცნობა გააჩნდათ. არც
რეაგირება იგუიანებდა. ახლა კი, მთავრობა აგერ, მის
თვალწინ, ყინჩად მოსიარულე ავტომატიან ბიჭებს ვეღარ
ამჩნევდა. მაშინ ამ შეიარაღებას ეროვნული მოძრაობის
მესვეურნი გარკვეულ გამართლებას უძებიდნენ. მაგრამ
შემდგომმა მოვლენებმა დაგვანახეს რომ ამ იარაღით,
სამწუხაროდ, უფრო მეტი ჩვენივე თანამომმე გამოესა-
ლმა სიცოცხლეს, ვინემ ქართველთ მოსისხლე. თვითნე-
ბური შეიარაღება მერე ხელისუფლებაში მოსულ მოძრა-
ობას შემოუბრუნდა ბუმერანგით და მისი ტრალიკუ-
ლი აღსასრულიც განაპირობა.

ახალმა ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ მა-
სთან დაპირისპირებული ეროვნული მოძრაობის მეორე
ფრთას საქმაო შეიარაღებული ძალა გააჩნდა, ამიტომ
1990 წლის 28 დეკემბერს უზენაეს საბჭოს მიაღებინა
დადგენილება, რომელშიც ნათქვამი იყო: „...მხედველობა-
ში იღებს რა იმ გარემოებას, რომ რესპუბლიკაში მოქ-
მედი ქანონით გაუთვალისწინებელ ფორმირებებს დესტა-
ბილიზაცია შეაქვთ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვ-
რებაში, საფრთხეს უქმნიან სამოქალაქო შშეიდობას, მო-
ქალაქეთა სიცოცხლისა და კანონით დაცულ ინტერე-
სებს, აიკრძალოს რესპუბლიკაში კანონით გაუთვალის-

წინებელ შეიარაღებულ ფორმირებეთა შექმნა და მომზე/ უნიკალური სისტემების დაგენერირება".

უზენაესმა საბჭომ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა აკრძალვის გადაწყვეტილება კი მიიღო, მაგრამ მისი ხორცშესხმა და ცხოვრებაში სრულად გატარება ვერ შეძლო.

ამ ნიადაგზე გამძაფრებული დაპირისპირება ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ იყო, რომ მოსკოვის აგვისტოს ცნობილი პუტინის დღეებში ზ. გამსახურდიას ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელი თ. კიტოვანი განუდგა. იგი გვარდიის ერთგულ ნაწილებთან ერთად რკონის ხეობაში დაბანაკდა. სულ მალე მათვე შეუერთდა მთავრობის თავმჯდომარეობიდან გადამდგარი თ. სიგუა.

ხელისუფლების ერთიანმა გუნდმა დაშლა იწყო. აქედან მოყოლებული მოვლენები კალეიდოსკოპურად განვითარდა: ჯერ 2 სექტემბრის მშვიდობიანი მიტინგის დაშლა კინოს სახლთან, გ. ჭანტურიას, გ. ხაინდრავას დაპატიმრება (მხედრიონის ხელმძღვანელი ჯ. იოსელიანი კარგა ხნით ადრე იქნა იზოლირებული), მერე ოქტომბრის დრამატული დღეები, ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიათა ბარიკადების აღება რუსთაველი გამზირზე, ყოფილი იმედის შენობის დარბევა, ხელისუფლების საწინააღმდეგო მრავალათასიანი მიტინგი რესპუბლიკის მოვდანზე, ტელევიზიის შეურნალისტთა საპროტესტო აქციები, მანამდე ერთმანეთისაგან გათიშველი ოპოზიციური ძალების გაერთიანება და სხვ.

ამგვარ ვითარებას არ შეიძლებოდა თავისი დაღი არ დაესვა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მუშაობისათვის.

მდგომარეობა დაიძაბა თვით უზენაესი საბჭოს შიგნითაც. სსრ კავშირში კომუნისტური პარტიის საქმიანობის აკრძალვის პარალელულად უზენაესი საბჭოს დეპუტატობა შეუწყვიტეს საქართველოს კომპარტიის სიით არჩეულ დეპუტატებს (მათგან ბევრი ხელისუფლების საწინააღმდეგო პოლიტიკურ ბანაკს შეუერთდა), „მრგვალი მაგიდის“ ბლოკს გამოეყო და მასვე დაუპირისპირდა მერაბ კოსტავას საზოგადოება, ოპოზიციურ საპარლამე-



ნებო ფრაქციად ჩამოყალიბდა „მრგვალ მაგიდას“ ჩამო-
ცილებული დეპუტატთა ჯგუფი, რომელმაც „ქარტიკართული
დაირქვა.

ასეთ პირობებში უზენაესი საბჭოს სხდომებს თან
ახლდა ექსცესები, ოპოზიციურ დაპუტატთა დეენა-შევიწ-
როება და სხვ. მთავრობის სასახლის წინ ხელისუფლების მხარდამჭერთა მიტინგებმა განუწყვეტელი ხასიათი
მიიღო. მიტინგის ორატორები, ასევე სამთავრობო საინ-
ფორმაციო საშუალებები, განსაკუთრებით უზენაესი სა-
ბჭოს შენობაში გადასული ტელევიზია და რადიო, ნა-
ცლად იმისა, რომ შექმნილი მდგომარეობიდან გამო-
სვლის გზები ეძიათ, კიდევ უფრო აღვივებდნენ დაპირი-
სპირებას. შერიგების სურვილს კიდევ უფრო ქარგა-
ვდნენ ანგისამთავრობო ძალები... ყოველივე ამას შედე-
გად მოჰყვა დეკემბერ-იანვრის ტრაგიკული მოვლენები,
რომელიც ცალკე საუბრის თემაა.

1992 წლის 6 იანვარს გამოქვეყნდა საქართველოს
მოსახლეობისადმი შემდეგი ხასიათის მიმართვა: „1992
წლის 2 იანვრიდან პრეზიდენტ ზეიად გამსახურდიას
მიერ უზურპირებული ხელისუფლება დამხობილია. საქა-
რთველოში ხელისუფლებას ხელში იღებს საქართველოს
რესპუბლიკის სამხედრო საბჭო.

სამხედრო საბჭომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე
შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება და დაითხოვა პარ-
ლამენტი...“ მიმართვას ხელს აწერდნენ თ. კიტოვანი და
ჯ. იოსელიანი.

იანვარში დათხოვნილი უზენაესი საბჭოს დეპუტა-
ტები რამდენჯერმე შეიკრიბნენ, მაგრამ საბჭოს, რო-
გორც საკანონმდებლო ორგანოს, მუშაობა აღარ გაუგრ-
ძელებია. მრავალპარტიული, დემოკრატიული წესით არ-
ჩეული უზენაესი საბჭოს ფუნქციონირება, ისევე რო-
გორც საქართველოს დამფუძნებელი კრებისა, ვადაზე
აღრე შეწყდა.

„ქავებახიონი“,
1994 წ., 25 მაისი, I-8 ივნისი.

შე მიუვარდა წემი ერი

1924 წლის აგვისტო, მარიამობა - დღე სამშობლოს თავისუფლებისათვის გულანთებულ მამულიშვილთა დიდი ამბოხისა.

შეიდ ათეულ წელზე მეტი გვაშორებს ბრძოლებითა და აჯანყებებით სავსე, თვით საქართველოს ისტორიაში გამორჩეულ ამ ღირსახსოვარ თარიღს. დრო და წლები ვერ ჩრდილავენ იმ ნათელ იდეას, საქართველოს პატრიოტ შვილებს უთანასწორო შერეკინებისკენ რომ უბიძგა.

უკვე რამდენიმე ხანია, რაც ჩვენშიც ითქვა და დაიწერა სიმართლე ამ მოვლენის შესახებ, მაგრამ ეს მხოლოდ წევთია ზღვაში. მეითხველი ჯერაც ნაკლებად იცნობს აგვისტოს აჯანყების უშუალო მონაწილეებს, არა და ეს ადამიანები უჰქველად იმსახურებენ, რომ შთამომავლობამ იცოდეს მათი სახელები. სამშობლოს თავისუფლებისთვის შემართული პატრიოტი მოღვაწენი არ უნდა დარჩნენ ისტორიის უსახელო გმირებად. ჩვენს დღევანდელობას, ჩვენს მომავალს სჭირდება, რომ ამ სახელებმა ასახვა პპოვონ ეროვნული მატიანის ფურცლებზე.

წინამდებარე პუბლიკაცია 1924 წ. აჯანყების ერთ აქტიურ მონაწილეს, სეანეთის მკვიდრს, ერის დამოუკიდებლობისათვის სახელოვან მებრძოლს, ბიძინა პირველს უძღვნება. იგი მეთაურობდა სეანეთის ამბოხებას 1921 წელს. შემდგომ იძულებული გახდა შერიგებოდა ხელისუფლებას, მაგრამ როგორც კი ხელახლა დაკრია ახალი გამოსვლის უამმა, ბ. პირველმა კვლავ აისხა იარაღი. საქართველოს დამოუკიდებლობის ქომიტეტმა მას მიანდო აჯანყებულთა წინამდლოლობა სეანეთსა და ლეჩეუმში, თვით ამბოხებულებმა კი ერთხმად აირჩიეს თავიანთ სარდლად.

აჯანყების საერთო მარცხის შემდეგ, რაკი ბრძოლის განგრძობას აზრი ეკარგებოდა, სარდალმა მთას შეაფარა თავი. იცოდა რა, რომ მას სხვა გზით ხელში



ვერ ჩაიგდებდა, საგანგებო კომისიამ პ. პირველს ხელ-
შეუხებლობის გარანტია მისცა და პატია „დანაშაულის მიზანით
საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ“. მაგრამ, როდე-
საც 1925 წ. ივლისში დაიწყო სასამართლო პროცესი
აგვისტოს აჯანყების წარმართველი „პარიტეტული კო-
მიტეტის წევრებისა“, პ. პირველიც დააპატიმრეს. იგი სა-
სამართლოზე წარსდგა როგორც ბრალდებული. მას სხ-
ვებთან ერთად ბრალი ედებოდა არამხოლოდ ანგისაბ-
ჭოთა აჯანყების ორგანიზატორისაში, არამედ ტერორის-
ტული აქტების მოწყობაში, ინტერვენციის მიზნით უცხო
სახელმწიფოსთან კავშირსა და ჯაშუშობაში. ბიძინა პი-
რველმა თავი დამნაშავედ ცნო მხოლოდ აჯანყების მე-
თაურობაში.

სახელმწიფო ბრალმდებელმა მის მიმართ სასჯე-
ლის უმაღლესი ზომა - დახვრეტა მოითხოვა. სასამა-
რთლომ გაითვალისწინა რესპუბლიკის პარტიული ხელი-
სუფლების მითითება და აჯანყების მეთაურებს სასჯე-
ლის ზომა შეურბილა. პ. პირველს მიესაჯა 5 წლით
პატიმრობა სასტიკი იზოლაციით.

სასამართლო მასალები, რომელთაც მკითხველს
ქვემოთ ვთავაზობთ, დაცულია საქართველოს პოლიტი-
კური პარტიების არქივში (დღევანდელი პრეზიდენტის
არქივი).

პ. პირველის ხელწერილი მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე

*საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის
წმშნებულს, საექსპერიციო ჯარის სამხედრო კომისარს,
ზემო სეანეთის აღმასრომის თავმდებრების*

თანახმად თქვენი მომართვისა ჩემდამი, რათა გამო-
ვცხადდე ჩემს თანამოაზრე მეამბოხებით თქვენთან,
რის ვადას ნიშნავთ 21 სექტემბერს - გაცნობებთ შე-
მდეგს საპასუხოდ თქვენი მომართვისა: 1922 წლის მაი-
სიდან, როდესაც მე შეურიგდი მთავრობას - ვიმყოფე-
ბი სეანეთში და ვეწელი საბჭოთა მთავრობასთან შუ-
შაობას მშვიდობიანობის და წესრიგის დასამყარებლად

ა. წ. 28 აგვისტომდე. მთავრობასათნ შერიგების დოცს
მე დავდევი ეგეთი სიტყვიერი პირობა, რომ მანამოსკონამ
მთელი საქართველოს მასშტაბით არ მოხდება გამოსვ-
ლები საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ - ვინც სვანე-
თში გაძედავს რაიმე დამოუკიდებელი ავანტიურის მოწ-
ყობას, ანდა გამოსვლას - მე მთავრობასათან ერთად შე-
ვებრძოლებოდი მას. ვუწევდი თუ არა მე ადგილობრივ
ხელისუფლებას დახმარებას მუშაობაში ამ დრომდე -
ამას თვით ისინი დაამტკიცებენ, თუ ოდნავ მათში სინ-
დისია. დღეს კი, როდესაც მთელი საქართველოს მასშ-
ტაბით მოეწყო გამოსვლები საქართველოში, რის დირექ-
ტივები მეც მივიღე სხვა ამხანაგებთან ერთად - ცხა-
დია, მე ვერ ჩამოვრჩებოდი ამ საერთო გამოსვლის კა-
რნახს, რომელმაც, როგორც დღეს ვხდავ, უშედეგო მს-
ხვერპლი მარტო შეიწირა. ამნაირად მე ჩემი სიტყვა და
დაპირება არ დამირდვევია მთავრობასთან - თუმც დღეს
მე ეს ჩავიდინე. დღეს კი თქვენ მეუბნებით გამოვცხა-
დე თქვენთან და იძლევით გარანტიას, რომ ამით მე
მომეცემა საშუალება თავისუფალი ცხოვრების და ყოვე-
ლგვარი სასჯელი ამცდება. ადვილი შესაძლებელია ეს
თქვენი სიტყვა და პირობა გულწრფელი იყოს და არ
გსურდეთ ჩემი, როგორც ახალგაზრდის დალუპეა. მა-
გრამ მე ეჭვებში მაგდებს ის გარემოება, რომ თქვენ
დაპირდით ხალხს: ვინც იარაღს ჩაგვაბარებს - მას ამ-
ნისტიას ვუცხადებოთ. - ეს იყო სიტყვით და ოფიცია-
ლური თქვენი განცხადებაც, მაგრამ ეს პირობა თქვენ
პირველ ნაბიჯზევე დაარღვეით: ს. იუარში თქვენ ხა-
ლხმა მთლიანად ჩაგაბარათ იარაღი, მაგრამ თქვენ თქ-
ვენი სიტყვა-დაპირება უკუაგდეთ და ხუთი იუარის უდა-
ნაშაულო პირი, რომელთაც პირველ რიგში იარაღი ჩა-
გაბარათ - დაწუსაღებული წაიყვანეთ. აი, სწორედ, მე
ეს მაეჭვიანებს. ვაი, თუ თქვენ, თქვენ სიტყვას და პი-
რობას ეგრე ჩალისფასად ყიდდეთ. ამისთვის, საპასუ-
ხოდ თქვენი მომართვისა მინდა გაცნობოთ: მე არავითა-
რი საწინააღმდეგო არა მაქს გამოვცხადდე თქვენთან
ჩემი ერთი ამხანაგით, რომელიც მარტო ჩემთან (გიო-
რგი ხვისტანი). მაგრამ ვინაიდან ჯერ-ჯერობით მე გა-



მოურკვეველ მდგომარეობაში ვარ თქვენის მოქმედებით
იძულებული ვარ გთხოვოთ ვადის გაგრძელება მანამდე სანამ თქვენ სვანეთის საქმებს ლიკვიდაციას უზამდეთ
და როდესაც მე შევხედავ, რომ თქვენ თქვენი ხალხისა-
დმი დაპირებას - მეამბოხეთა ამნისტიის გამოცხადებით
- გაამართლებთ თქვენს სიტყვას, ცხადია, მე, თუ გინდ
სიკვდილიც მომელოდეს, მოვალ თქვენთან ჩემი ამხანა-
გით და მაშინ თქვენმა სინდისმა გაჭრას. თუ აუცილუ-
ბელი იქნება ჩემი სიკვდილი და ზედმეტი ვიქნები ამ
ქვეყნად მომავალში და ამაში თქვენც დარწმუნდებით,
მე ხელს ვიდებ ჩემს სიცოცხლეზე! მანამდე კი გა-
ძლევთ ნამდვილ ვაჟაპურ, აღამიანურ სიტყვას, რომლი-
სთვისაც მე არასდროს მიღალატნია - ვიქნები ჩემთვის
და თუკი საღმე სვანეთში წინააღმდეგობა შეგხვდათ,
ვეცდები ჩემი გავლენით რაც შეიძლება, ლიკვიდაცია
ვუყო არა სასურველ ნაბიჯებს. ამნაირად მე ჩემი ერთი
ამხანაგით ვარ ჩემთვის და მანამ, სანამ მე კერძოდ
არავინ შემეხება და დევნას არ დაგვიწყებს ვინმე მე
და ჩემს ამხანაგს, ვადგივარ ზემოხსენებულ მშეიდობიან
გზას. პირობას ვიძლევი, არავითარი რაიმე უბრალო სი-
ტყვითაც არ დავაშოთ მე და ჩემმა ამხანაგმა მთავრო-
ბის წინააღმდეგ - ხოლო ამ პირობაში არ შედიან ის
კერძო პირნი, რომელნიც ყოველის მხრივ კერძო ინტე-
რესით და ცრუ ჯაშუმობით ცდილობენ მე ათასგვარი
რამები მომახვიონ თავზე. ამნაირად ეს ზემოხსენებული
ჩემი სიტყვა თქვენ შეგიძლიათ ჩემს პირობად მიიღოთ,
მაგრამ ამასთანავე დავსძენ, სასურველი იქნება თქვენი
პირობაც ისე შეასრულოთ, როგორც მე ამ პირობას შე-
ვასრულებ და უფრო ასრიანი და ადამიანური იქნება,
თუ არ შეეცდებით უდროოდ მომაქიდიოთ იარაღზე ხე-
ლი, რათა ჩემი თავი ძვირად დაგისვათ - როდესაც
თქვენ შეგიძლიათ ამას გვერდი აუხვიოთ.

საქართველოს მოქალაქე ბიძინა პირველი
ს. იუარი.
ორშაბათი - სექტემბერი.



ბ. პირველისთვის დანაშაულის პატიების მანდატი
უკრაინული სისახლისა

მიეცა ეს მოქ. ბიძინა პირველს მასში, რომ მას
როგორც თავის ნებით გამოცხადებულს, ამნისტიის და-
ლით ეპატივა დანაშაული საბჭოთა ხელისუფლების წი-
ნაშე საქ-საგ(ანგებო) კომისიის მიერ, რის გამოც მოქ.
პირველს შეპყრობა საგ-კომისიის ნებადაურთველად არ
ეხება.

აღნიშნული მოწმდება ხელის მოწერით და ბეჭდის
დასმით.

საქ-საგ-კომისიის თავმჯდომარე (ქვანტალიანი)

საქ-საგ-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (ბერია)

28.IX. 1924 წ.

№ 13695

P.S. მანდატს ხელს აწერს დ. ბერია

სასამართლოს დადგენილება ბ. პირველის
დაპატიმრების შესახებ

უზენაესმა სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში,
რომ კვლევა-ძიება დასრულდა და ამით სასამართლოს
მიეცა შებლება იქონიოს ერთგვარი წარმოდგენა ბრალ-
დებულთა მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაზე და ვინაი-
დან აღკვეცის ზომად ზოგიერთ მათგანზე - გიორგაძე-
ზე, გაბლიანზე და პირველზე მიღებული იყო ხელწერი-
ლი წაუსვლელობისთვის და რომ მათ - გიორგაძეს, გა-
ბლიანს და პირველს ბრალად ედებათ მძიმე დანაშაუ-
ლი საბჭოთა ხელისუფლების წინაამღმდეგ, დაადგინა:
აღკვეცის ზომა ბრალდებულთა გაბლიანის, პირველის
და გიორგაძის შეცვლილ იქნას დაპატიმრებით...

თავმჯდომარე
წევრები

გ. ვაშაძე
გ. სტურუა
ო. ცინცაძე

ბიძინა პირველის დაკითხვა

სასამართლოს თავმჯდომარე: ბრალდებულო პირველი (პირველი ადგა). რამდენი წლისა ხართ?

პირველი: 22 წლის.

თავმჯდო: თქვენი სოციალური მდგომარეობა

პირველი: გლეხი ვარ.

თავმჯდო: ქონება გაქვთ რამე?

პირველი: არავითარი.

თავმჯდო: ოჯახური მდგომარეობა.

პირველი: უცოლო.

თავმჯდო: რა ხელობა გაქვთ?

პირველი: ინტელიგენტი, საშუალო განათლების.

თავმჯდო: რომელ პარტიას ექუთვნოდით და რა დრომდე?

პირველი: საქართველოს დემოკრატიულ პარტიას 22 წლის ოქტომბრამდე...

თავმჯდო: პოლიტიკური რწმენა?

პირველი: ჩემი ერის თავისუფლება.

თავმჯდო: პასუხისმგებლობაში ყოფილხართ?

პირველი: არასოდეს.

თავმჯდო: თქვენ სვანეთში მუდამ ცხოვრობდით თუ ხანდახან?

პირველი: მე დავამთავრე ქუთაისის პირველი ვიმნაზია 21 წელში, როცა მოხდა საქართველოს გასაბჭოება. გასაბჭოების პირველ ხანებშივე გავემგზავრე სვანეთში იმ შთაბეჭდილებით, რომ მოხდა ოკუპაცია და საქართველო ძალით იქნა დაპყრობილი. მაგრამ მე ვიგრძნე, რომ რაკი ამ ძალის წინააღმდეგ ვერ შეძლო გამაგრება მთავრობამ, რომლის ხელში იყო სახელმწიფო აპარატი, მაშინ ჩვენ რა ძალას წარმოვადგენდით. ამიტომ იქ ჩახვდისთანავე მიზნად დავისახე, რომ ჩემი კუთხისთვის მომეტანა სარგებლობა კულტურულ და ეკონომიკურ ფრონტზე. მე განვუცხადე ჩემი სურვილი მაშინდელ რევკომს და მან მიმიწვია ჩავბმულიყავი კულტურულ მუშაობაში. ასეთი იყო იმ დროს თეატრის დაარსება...

თავმჯდ: საიდან გაიგეთ თქვენ, რომ აჯანყება იწყება?...

პირველი: 1924 წ. ზაფხულში მე ჩამოვედი ტფილი-სში. აქ ვნახე პარიტეტული კომიტეტის წევრი, რომელმაც გადმომცა, რომ საქართველოში მზადდება საერთო აჯანყება. მე მაშინვე განვაცხადე, რომ თუ ეს იქნება საერთო აჯანყება, მთელი ერის სურვილი და მთელი საქართველო იქნება - მათ მომცეს დასტური - ჩვენ მხოლოდ ჩვენ ძალებს ვეყრდნობით და იმედი გვაქვს მხოლოდ ქართველი ხალხის და ქართველი ხალხი მთლიანად მიიღებს მონაწილეობას გამოსვლაში... აგრეთვე მითხრეს, რომ თუ ჩვენ შევძლებთ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, მაშინ ევროპა გვპირდება პირველ ხანებში დიპლომატიურ დახმარებას და შემდეგ ყოველგვარ დახმარებას, რომ ჩვენი ერი გავათავისუფლოთ. აი, ასეთი ცნობები და დირექტივები მივიღე. მე დავეთანხმე გამოსვლებში მიმედო მონაწილეობა და ამის შემდეგ წავედი ზემო სვანეთში. გადავეცი ეს ამბავი ადგილობრივ ამხანაგებს, რომელნიც მუშაობდნენ. ზოგმა უარი სთქვა, ზოგმა უარყოფითად შეხედა, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ გამოვედით. როგორ გავატარეთ მუშაობა აჯანყების მოსამაზადებლად წინდაწინ, ამის შესახებ მოგახსენებთ, რომ არავითარი მუშაობა ჩვენ არ გვჭირდა, ხალხი სტიქიურად ისე იყო განწყობილი, რომ წინასწარი მუშაობა ზედმეტი იყო....

თავმჯდ: თქვენ იყავით სვანეთის და ლეჩხუმის სარდალი, ვინ დაგნიშნათ?

პირველი: ხალხმა ამირჩია.

თავმჯდ: სად, რანაირ პირობებში?

პირველი: როდესაც მოხდა აჯანყება სვანეთში, სვანეთის ხალხმა აირჩია ხელმძღვანელად ის, ვისაც ენდობოდა...

თავმჯდ: თქვენ... ჩვენებაში... გაქვთ ნათქვამი, რომ „პარიტეტულმა კომიტეტმა წინადადება მომცა მიმედო ხელმძღვანელობა სვანეთში და ლეჩხუმში“.

პირველი: საზოგადოდ მე მოგახსენეთ, რომ ვიყავი გამოსვლების ხელმძღვანელი, მე აქედან ეს დავალება

მქონდა. მაგრამ მე ამით არ დავემაყოფილდებოდი, რომ
ნდობა ხალხის არ ყოფილიყო. მე ეს საკითხი დავსცი
ძებულში, როდესაც ხალხმა შეიყარა თავი. მე ვუთქმია
მათ: ამოირჩიეთ ხელმძღვანელი და მათ ამირჩიეს მე...

თავმჯდ: ... რამდენი შეიარაღებული ძალის იმედი
გქონდათ?

პირველი: 600 კაცის. ...

თავმჯდ: ... რამდენი გამოვიდა?

პირველი: თითქმის არაფერი დაპკლებია. ...

დადიანი (დამცველი): იყო თუ არა სეანეთში წინა-
დაც შესალებლობა რომ ხალხი გამოსულას აპირებდა?..

პირველი: დიახ, იყო. ჩვენ მუდამ გვიხდებოდა იმ
მხრივ მუშაობა, რომ ხალხი შეგვეჩერებია... ჩვენ მუშაო-
ბა გვიხდებოდა, რომ ხალხს რამე სეპარატიული გამოს-
ულები არ ეწარმოებია.

დადიანი: რათ უნდა გამოსულიყო ხალხი, პროპაგა-
ნდას ეწეოდნენ, თუ რა მიზეზი იყო?

პირველი: ხაზიგადო მდგომარეობა ასეთი იყო. გუ-
ცოდინებათ, რომ სეანები არასოდეს არ დაივიწყებენ
მას, თუ ვინმემ შეურაცხყოფა მიაყენა... 1876 წ. რუსის
ჯარმა გაანადგურა სეანეთი და ერთ სოფელში წითელი
მიწის მეტი არაფერი დასტოვა. ამის გამო რუსეთისადმი
სიმპატია არ იყო სეანეთში. როდესაც საქართველოს
ოკუპაცია მოხდა, ჩვენ ვხედავთ საქართველოში სუ-
რვილს, 21 წელში ცდა იყო, რომ რუსის ჯარი არ შე-
მომულიყო აქ. ამნაირად, მთავარი იყო რუსის ჯარის
სიძულევილი ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ ის გარე-
მოება, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგე-
ნლები აწარმოებდნენ რუსოფილურ პოლიტიკას. შემოი-
დეს წარმოება რუსულ ენაზე, სეანებში ეწეოდნენ აგი-
ტაციას, რომ ჩვენ ქართველები არა ვართ და ჩრდილო-
კავკასიის საშუალებით უნდა დავიკავოთ კავშირი რუსე-
თთან...

„... რაც შეეხება ბიძინა პირველს, ბიძინა პირველი, ჯერ კიდევ 21 წელს, როცა აჯანყება მოხდა სვანეთში, ეს აჯანყება მისი თაოსნობით ხდება. თუმცა შემდგვე მენტევიკური პარტია ჩაერია ამ საქმეში, მაგრამ მისი თაოსნობა იყო. 24 წელს კი ის მონაწილეობას იღებს აჯანყებაში. პარიტეტული კომიტეტის დავალებით ის მიემგზავრება სვანეთს, იქ ხდება მათი სარდალი. ამბოხებაში იღებს მონაწილეობას და მიტომ 61, 16-64, 64 მუხლები რჩება მას...“

რაც შეეხება სახჯელის ზომას, მოსამართლენო, თქვენს წინაშე უკვე გამოიკვეთა საქმის ვითარება, გამორკვეული არის დანაშაული ყოველი პიროვნების, რომელიც აქ საბრალდებო სკამზე ზის. სასამართლო, რასაკვირველია, იხელმძღვანელებს სისხ. სამ. მე-5 მუხლით და იქონიებს რა მხედველობაში, რათა დაიცვას მუშარგლებური სახელმწიფო ყოველივე მავნე ელემენტებისაგან, მისცემს ყოველივე მათგანს სათანადო სასჯელს. ჩემი მხრივ, წინადადებას ვიძლევი ანდრონიკაშვილზე, ჯინორიაზე, ჯავახიშვილზე, ბოჭორიშვილზე, ცინცაბაძეზე, კახიანზე, იშხნელზე და პირველზე მიყენებული იქმნეს „სათუოდ უმაღლესი ზომა სასჯელის“.

ბ. პირველის დამცველის - ნ. დვამიჩავას სიტყვა

„მე გადაედივარ უკანასკნელ ბრალდებულზე ბიძინა პირველზე.“

მთის შვილი, სვანეთის შვილი ბიძინა პირველი. მას წარდგენილი აქვს 61 მუხლი, რომელიც მას აკრსრებს პასუხისმგებლებას იმისთვის, რომ ის იყო ხელმძღვანელი შეიარაღებული რაზმებისა. ეს ბრალდება დამზადებულია იმიტომ, რომ თვით ბრალდებული არ უარყოფს თავის დანაშაულს. დანარჩენი ბრალდების შესა-

ხებ, ე. ი. 60, 64 მუხლებზე მე არაფერს ვიტყვი,  რა-
დგან ამაზე მე ზევით მოგახსენეთ.

უნდა დაისაჯოს თუ არა ბიძინა პირველი? შექმნ-
ლებელია თუ არა მისი გასამართლება? მე ვფიქრობ,
რომ არა. როდესაც სვანეთში გამოცხადდა საგანგებო
კომისიის რწმუნებული ძიძიგური და წინადაღება მისცა
ბიძინა პირველს, გამოსულიყო ტყიდან და ჩაბარებოდა
ხელისუფლების წარმომადგელებს, რის შემდეგაც ის გა-
ნთავისუფლებული იქნებოდა ყოველგვარი პასუხისმგებ-
ლობისაგან, ბიძინა პირველმა ეს წინადაღება მიიღო,
ენდო მას და უკვე დარწმუნებული იმაში, რომ აჯანყე-
ბა დამარცხდა, ის იარაღით ხელში მიდის საგანგებო
კომისიის წარმომადგენელთან და მასთან ერთად მონა-
წილეობს მთელი სვანეთის აჯანყების ჩაქრობის და
აჯანყებულების ტყიდან გამოყვანის საქმეში. ბიძინა
პირველს ენდობოდა მთელი სვანეთი და საქმარისი იყო
მისი სიტყვა, მისი დაძახება, რომ აჯანყებას ბოლო მო-
ულო და დამკვიდრდა სრული სიმშვიდე. ბიძინა პირველი
ჩამოდის ტყილისში და აქ საგანგებო კომისია მას ამ-
ნისტიის ძალით, როგორც დროზე გამოცხადებულს,
ათავისუფლებს და აძლევს მოწმობას, რომ ის თავისუ-
ფალია და აქვს უფლება იმსახუროს. ამნისტია ხომ გა-
მოქვეყნებულია 6 ნოემბერს. ბიძინა პირველი კი გამოც-
ხადდა არაუგვიანეს 10 ნოემბრისა და მოწმობა იმის
შესახებ, რომ მას შეუძლიან სამსახური არის მიცემუ-
ლი 20 ნოემბერს, ე. ი. ვიდრე ამნისტიით განსაზღვრუ-
ლი ვადის გასვლამდე. ამის შემდეგ მას ასამართლებით
თქვენ. საგანგებო კომისია რომ უფლებამოსილი ორგა-
ნოა, რომელსაც შეუძლო ამნისტიის შეფარდება და თუ
მან პირველს ამნისტია შეუფარდა, თუ ის სასჯელისგან
გაათავისუფლა, განა შესაძლებელია ბრალდებულის
ამის შემდეგ გასამართლება? მე მგონია, არა. მთავრო-
ბის სიტყვას თავისი ძალა აქვს, მას ენდობა ხალხი
და ამ სიტყვამ თავისი შესრულება უნდა იპოვოს და
ის იქნება შესრულებული მაშინ, როდესაც თქვენ პი-
რველს გაათავისუფლებთ.

მიიღეთ მხედველობაში ისიც, რომ ბრალდებულმა პირველმა სათანადოდ შეაფასა აგვისტოს ურასსეჭრია, თქვენ იცნობთ ამ შეფასებას. როგორია შინი პარი დღეს, აქტიური მონაწილეობა საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიკურ და კულტურულ მუშაობაში... არა განზე დადგომა, არამედ შრომა, პატიოსანი შრომა საბჭოთა საქართველოში, კულტურულსა და ეკონომიკურ აღმაფლობის ნაიდაგზე. ნუთუ ამის შემდეგ ესენი საშიში არიან. მე მაგონდება კრიცენებოს სიტყვა ესერების პროცესზე, მან თქვა: „ამხანაგო მოსამართლენო, ამ პროცესზე რომ ბრალდებულებს ეთქვათ - შევცდითო და მომავალში არ შევცოდავთ, მე გთხოვდით თქვენ: მიეცით ამ პირებს გზა თავისუფალი და უთხარით - წადით, აწი არ შეცოდოთ, დღეს ესენი ჩვენთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ“.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ ადგილზე იჯდეს კოროლენქო, ის ჩემი მასწავლებლის შესახებ სწორედ ასე იტყოდა: მე ბედნიერი ვარ, რომ ყველაზე ახალგაზრდა გექილებში, ამ პროცესში ვიცავ 4 სტუდენტს, ყველაზე ახალგაზრდებს. ვინ იცის როგორი სახით მოუვლინებიან ეს ახალგაზრდები საქართველოს რამოდენიმე ხნის შემდეგ. მათ აწმოს ჩვენ ვიცნობთ, მათი მომავლის გამორკვევა თქვანი განაჩენის საქმეა”.

ბიძინა პირველის საბოლოო სიტყვა

„პატივცემულო მოსამართლენო, აქ ბრალმდებულმა სრულიად დამშეიდებით გადასწყვიტა ჩემი ბედის საკითხი და მოითხოვა განაჩენი - უმაღლესი სასჯელი. ეს გარემოება მე მამძიმებს იმ მხრივ, რომ შეიძლება ის, რაც მე აქ უნდა ვთქვა, თქვენ მიიღოთ იმად, რომ თითქოს მე მეშინოდეს ან რაიმე შიშს მგვრიდეს და ამით იყოს გამოწვეული. სრულებით არა. მე მხოლოდ მინდა სასამართლოს მოვახსენო ის, რაც ჩავიდინგ. დიახ, მე ამ 4 წლის განმავლობაში გებრძოდით თქვენ და მექუთენის უმაღლესი სასჯელი. დაიხ! მართალია, 4 წლის განმავლობაში ვებრძოდი იმ მთვრობას, რომლის იდეუ-

რი, პოლიტიკური მოწინააღმდეგე ვიყავი. მე ამ 4 წლის
განმავლობაში მთელი ჩემი არსებით იმ გზაზე ვიდები
ამ ბრძოლაში ჩემ სიცოცხლეზე არ ვფიქრობდა. რომელი
ვფიქრობდი გამარჯვებაზე, რომელსაც ჩემი სიცოცხლე
ვანაცვალე. არ იყო აქ პირადული მომენტი. აქ არ იყო
რამე სხვა პირადი ანგარიში. აქ იყო სულ სხვა. ეს
იყო ის, რომ მე ჩემი ერთი მიუვარდა და ვგრძნობდი,
რომ 21 წელი იყო სახითათო ამ ერისთვის. ჩამოსული
ჯარი იყო საოკუპაციო ჯარი და მე ამ შთაბეჭდილუ-
ბით წავედი აქედან. მე არ მინდა მოგახსენოთ იმ შთა-
ბეჭდილებაზე, რომელიც შექმნილი იყო იქ. 4 წლის გა-
ნმავლობაში მებრძოდით თქვენ და არასოდეს მიუიქრია
ჩემს პირად ცხოვრებაზე და არასოდეს ვუნახივარ
მტერს უკან მოხედილი. მაგრამ უნდა აღვნიშნო ისიც,
რომ დამარცხებულებს არ სჯიან, ვინაიდან მე ძვალში
და რბილში ქონდა გამჯდარი, რომ დამარცხებულს არ
სჭირია დამცირება. მე ჩემის ხელით ვუხვევდი ჭრილო-
ბებს იმ დაჭრილებს, რომელთაც ბრძოლის ველზე ვნა-
ხულობდი და რომელიც, შეიძლება, ჩემის ხელით
იყვნენ დაჭრილნი. მაგრამ რაც იყო, იყო. რაც მოხდა,
მოხდა. ...მე მხოლოდ ვიტყვი, რომ ის პირობები, რომე-
ლიც საერთოდ შეიქნა საქართველოში და რომელმაც
მე განსაკუთრებულ მდგომარეობაში ჩამაყენა, თავისთა-
ვად მამართლებენ სრულიად. მე მივიღე მონაწილეობა
21 წლის მოწურულს სვანეთის აჯანყებაში, მაგრამ ეს
არ იყო ხელმძღვანელობა ჩემ მხერივ. მე როგორც ერთ-
ერთი სვანი, შეიძლი იმ ეუთხისა, ვიდექი იმ გზაზე, საი-
დანაც უნდა მოსულიყო უცხო ძალა და მე უნდა დამე-
ცვა ჩემი პატარა კუთხის უფლება. ამის შემგედ 24 წე-
ლში ისევ მომიხდა ამ როლის შესრულება, მაგრამ 24
წელში მომხდარ ამბებმა... სასტიკი შთაბეჭდილება და-
ტოვა ჩვენზე. მე ვიგრძენი, რომ ამ გზით სიარული არ
შეიძლებოდა და თუ ამ გზას გავაგრძელებდი, მე არა
თუ ბედნიერებას, პირიქით, უბედურებას მოვუტანდი ჩემ
კუთხეს. ეს აზრი გულწრფელი იყო და გადავწყვიტე
გამოვცხადებულიყავი მთავრობის წარმომადგენელთან,
რომელიც შემპირდა სიცოცხლეს. მე შევასრულე ჩემი

გულწრფელი სიტყვა და ნაბიჯი, რომელიც აუცილებელი იყო სვანეთისათვის, მოვახდინე. მერე პასუხისმგებელი ტფილისში... მე არ მქონდა ნდობა, ვგრძნობდი, რომ მომატუებლენენ, მაგრამ გადავდგი ეს ნაბიჯი. როდესაც ჩამოვედი, აქ მთავრობამ მომცა ამნისტიის ქაღალდი, შემპირდა, რომ დამაყენებდა გზაზე და ვმსახურობდი. გადის რამდენიმე ხანი, ერთი წელია აქა ვარ და ვასრულებ ჩემს სიტყვას, რაც განვაცხადე. მაგრამ დღეს პირობები შეიცვალა, მთავრობის მხრით და არა ჩემის მხრით. აქ მოქალაქე ბრალმდებელმა მოინდომა, რომ უმაღლესი სასჯელით დავისაჯო. შეიძლება ზოგჯერ კიდევაც გაგიკირდათ, როდესაც ნერვებაშლილი ჩემს თითებს ვკენდი და ვამბობდი - ეს არ უნდა დაგმართოდა, არ უნდა მოტუებულიყავი. როგორც არ უნდა წავიდეს ჩემი ბედი, მე ამას არ ვაქცევ უურადღებას, მე ახალგაზრდა ვარ და ჩემი მომავალი წინ არის. ჩემი ახალგაზრდული გატაცებით ვფიქრობდი, რომ სარგებლობა მომეტანა ჩემი პატარა კუთხისათვის. ამ აზრით ვიყავი განმსჭვალული და აჯანყების გზა მიმაჩნდა აუცილებელ გზად, რომელსაც შეუძლია საქართველოს ხსნა.

ამ გზის უვარგისობაში დაურწმუნდი და 4 წლის შემდეგ ვლაპარაკობ ამას. მე ვაღიარე ეს. გულწრფელი მთიელი ვაჟეაცის სიტყვა მივეცი მთავრობას და ვაღიარე გულწრფელად, რომ ყოველმა ქართველმა უნდა შეცვალოს ეს გზა და მუშაობის სიმძიმე უნდა გადაიტანოს ერის კულტურულ ფრონტზე, რომ ამ მუშაობით მოადონიეროს თავის ერი. ეხლა მე არაფერი მეოქმის. მე შემიძლია გითხრათ: მე ვენდე თქვენს პატიოსან სიტყვას, მე შემეძლო სვანეთში დაგმალულიყავი, ვყოფილიყავი ისევ იქ, გამეგრძელებია ძევლი გზა ან შემეძლო საზღვარგარეთ წავსელიყავი. მაგრამ მქონდა სურვილი დავრჩენილიყავი აქ და მემუშავნა ჩემი ერის ეპთილდეობისათვის ეროვნულ-კულტურულ აღმშენებლობის დარგში. ამავე დროს ჩემი მიზანი არის ხალხის სამსახური. როგორც გითხრით, ჩემი მომავალი წინ არის, მთელი ჩემი შეხედულება გადავიტანე, რომ დავა-

წაფო მეცნიერებას, შევიგრძნო რამე ისეთი, რომ მოძალური მეტი ბაგაჟით, მეტი წონით გამოვიდე და გამოიყენეთ ვადგე ჩემს ერს.

ბევრს არ ვიტყვი. მე ვიტყვი, დეკანი, გაიგოთ ამ ჩემი მაგალითით, თქვენ, როგორ ასრულებთ თქვენს სიტყვას, როგორ აფასებთ თქვენს სიტყვას. თუ თქვენ მუხანათურად, ეგრე დალატური ნაბიჯით ჩამიგდებთ, მაშინ მექ ნება სათქმელი - მართალი ვიყავი, როდესაც თქვენ გებრძოდით.

ეს მარტო შემიძლია ვსთქვა და უქანასენელი სალამი მივუძღვნა ჩემს ერს, პატარა კუთხეს, რომელსაც ვემსახურებოდი მთელი ჩემი ახალგაზრდობით.

სვანეთი, ჩემი პატარა სამშობლო, ლეგენდარული ქვეყანა არის. ის დღესაც ლეგენდებით იკვებება. მე ვიცი, იქ დაარსდება ლეგენდა, ერთი ახალგაზრდის სიცოცხლის ტრადიციული ბედის შესახებ. მე ვიცი, ვინმე მოხუცი აიღებს ჭუნირს და დაამდერებს ჩემს ეგრედ უდროდ დალუბულ ბედიდბალს. მოხუცი ქალები ატირდებიან და ცრემლით დასველებული, გასწევდება ჭუნირის სიმი. ამით შეშუოთებული ვაჟაცი ავარდება მაღლა კოშკზე და ჩამორეცს სამგლოვიარო ზარს, რომ ამცნოს ქვეყანას, იმ პატარა კუთხეს, რომ კიდევ შესრულდა ერთი ტრადედია.

დიახ, მოსამართლენო. მე მზად ვარ, ჩემი მოქმედებისათვის პასუხი ვაგო. აი, ჩემი გული, ის სამ ტყვიას გააცივებს მაინც. აი, ჩემი სხეული, გინდათ ჩამაგდეთ ბნელ სარდაფში, მაწამეთ, ამჟუწეთ, დამგლიჯეთ. თქვენს წინაშე ვარ გულწრფელი სარვილით, რომ ჩემი ერისთვის რაიმე მიმეტანა. დღესაც მარტო ეს დამრჩენია ვთქვა, რომ მე ვემსახურებოდი ჩემს ერს, ჩემს ქვეყანას.

ეხლა მე სრულიად შეგნებულად გამოვცხადდი თქვენს წინაშე. მე გულწრფელად გენდეთ თქვენ და თუ მოვტყუვდი, რა ვუყოთ, ალბათ ისტორია... თუმც ისტორია არ შეჩერდება ჩემზე, მაგრამ ნაწილი საზოგადოებისა მაინც იტყვის.



მოსამართლენო, ვათავებ ჩემს სიტყვას, ბეჭედისა და
მოგაწყენთ ჩემი ლაპარაკით. მე გეუბნებით უმსოფლეოდ,
რომ მიყვარდა ჩემი ერი, ჩემი ქვეყანა და მუდამ მეყვა-
რება.

მოსამართლენო, როდესაც თქვენ შეუდგებით ჩემი
ბედის გადაწყვეტას, მაშინ გახსოვდეთ, მე მიყვარს ჩემი
ერი, მუდამ ვიქნები მასთან და თქვენთანაც, თუ ჩემ
ერს ანგარიშს გაუწევთ.

მე ვათავებ ჩემს სიტყვას და დევ, თქვენს სინდი-
სხე იყოს გადაწყვეტა, მოსამართლენო".

სასამართლო განაჩენი ბ. პირველის მიმართ

„4. ბრალდება მიმართული... ბ. პირველის მიმართ,
გათვალისწინებული სისხლის სამ. კოდ. მე-16, 64 მუხ-
ლებით, ჩაითვალოს დაუმტკიცებლად..."

16. ბრალდება მიმართული... ბიძინა გიორგის-ძე პი-
რველის მიმართ, გათვალისწინებული სისხლის სამ. კო-
დექსის 61 მუხლით ჩაითვალოს დამტკიცებულად და მი-
ესაჯოს... ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი
იზოლაციით და წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით".

„დემოკრატიული საქართველო"
1995 წ., 24 აგვისტო.



იმ წელს გაზაფხულმა საგრძნობლად დაიგვიანდა ბეჭედის თოვლი და სუსტი მარტის თვესაც გადასწყდა და კარგა ხანს გაჲყეა. ბუნების ჭირვეულობას ზედ პოლიტიკური ქატაქლიზმიც დაერთო: საქართველომ რუსეთთან უთანასწორო ომში უნდაეშო მარცხი განიცადა. დემოკრატიული რესპუბლიკა დაემხო და ქვეყანაში ბოლშევიკური ძალაუფლება დამყარდა.

განსაკუთრებით მმიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ერის ინტელექტუალური ნაწილი. თავსმოხვეულმა პოლიტიკურმა რეებმა გონიერივი შრომის ადამიანებისაგან უსიტყვო მორჩილება და ბოლშევიზმის აპოლოგეტობა მოითხოვა. ინტელიგენციას არჩევანის უფლებაც აღარ დარჩა, - ალტერნატივა ტყვია იყო.

შემოქმედი პიოვნება, მით უფრო პოეტი, ყველაზე ნაკლებ ეგუება ძალმომრეობას. მაგრამ მის წინაშე საშინელი დილება აღმართულიყო: სინდისთან კომპრომისი სიცოცხლის საზღაურად. პინებზე არატოლფარდი სიდიდეები ელაგა. უმეტესობამ საკუთარი სიცოცხლე ამჯობინა, კრთულებებმა თუ გაძედეს ჩუმი პროტესტი.

„ბრიფე, ხმა გაქმინდე,
ნუ მიცქერ ალმაცერ.
რაც გულით არ მინდა,
ერთ სტრიქონს არ დაესწერ“, -

თითქოს დაიქადნა გალაკტიონმა, მაგრამ პოეტთა მეფეც შიშს შეუჲყრია. შემზარავმა შიშმა და თავის გადარჩნის ინსტიქტმა უბიძგა, ალბათ, „ლურჯა ცხენების“ ავტორს, საკუთარი არქივის დიდი ნაწილი - დაახლოებით ათ ყუთამდე, დაეწვა და დასავიწყებლად გაემეტებინა. განადგურებული არქივი მრავალ მასალას, შენიშვნებს, წერილებს, დღიურებსა და პოემებს შეიცავდა.

ამ შემთხვევის გამო გალაკტიონს ლექსიც შეუქმნია სათაურით: „დღეს დღეები ეცილება“, რომელშიც ამგვარი სტრიქონებია:

„ის რითმები, ის ცეცხლი, ის წიგნები დაუპარუგ, /
დაეწევი ხელნაწერები! სუსხი და ურუანტელი კონცეცია
იმ ედემთან არასდროს არ ვიქნები..... დაჭქარფულია

რას უნდა შეეშინებინა გალაკტიონ ტაბიძე, პოლი-
ტიკიდან შორს მდგომი პოეტი, რომ საკუთარი შემოქმე-
დების გარკვეული ნაწილი უერფლად ექცია?

„რა მაქეს წარსულში, გეკითხები რა
მაქეს წარსულში,
ისეთი რა მაქეს, რომ უარეყო, გავაიცხო,
დავგმო?“

თითქოს ვიღაცას ეკამათებაო, ჩაუწერია ერთგან
სულშეძრულ პოეტს.

გასაკიცხი და დასაგმობი არც არაფერი პქონდა
გალაკტიონს, მაგრამ ბოლშევიკური ხელისუფლებისა-
თვის მიუდებელი კი ბევრი რამ იყო მის ნააზრევში.
პოეტი თავისუფალი სამშობლოს მეხოტბე იყო. აღფრ-
თოვანებით მიეგება იგი თვითმკურობელობის დამხობას
1917 წლის თებერვალში („დროშები ჩქარა“) სწორედ მა-
შინ დაიწერა და დაიბეჭდა კიდეც), რამაც გზა გაუხსნა
საქართველოს საკუთარი სახელმწიფო მინისტრის აღდგა-
ნისაკენ. დამოუკიდებელ საქართველოს და მის ერთგულ
არმიას უმღერა გულწრფელი სიყვარულით გალაკტიონმა
ლექსში „გვარდია“, რომელიც 1920 წ. 12 დეკემბერს გა-
მოაქვეყნა სოციალ-დემოკრატიულ გაზეთში „ერთობა“
(ამ ლექსით მოიპოვა მან პოეტთა მეფის სახელი მომ-
დევნო წლის იანვარში გამართულ საგანგებო კონკუ-
რსხევ).

არანაკლებ საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება.
როგორც ახლა ირკვევა, გალაკტიონს ნოე ჟორდანიას
მიწვევით, ერთხანს საქართველოს დემოკრატიული რეს-
პუბლიკის მთავრობის მდივნადაც უმუშავნია („საქართველო“,
1918 წ., 19 დეკემბერი).

საფიქრებელია, უფრო ამ პერიოდის ჩანაწერები,
დღიურები და ავტოგრაფები მისცა ცეცხლს პოეტმა ბო-



ლშევიკების შემოსუფლიდან ორი თვის თავზე. შემთხვევა-
თი არ უნდა იყოს, რომ 1921 წელს გალაპტიონი ტექსტის შემდეგ
ტასტიურ კიბეს" უწოდებდა, „მრავალი საბედისწერო
და საშიშარი საუცხურებით" („ლომბისი", 1922 წ., №1,
გვ. 4).

ახალი ხელისუფლება ეჭვით უცქერდა ყვალას,
ვინც რაიმეთი დაკავშირებული იყო საქართველოს და-
მოკრატიულ რესპუბლიკასთან და მით უფრო მის მთავ-
რობასთან. ამიტომაც მოისპო და განადგურდა 1918-1921
წლების საქართველოს ისტორიის ერთი უძვირფასესი
წყარო - მხატვრის თვალით დანახული, დღიურებად თუ
პოეტურ ხტრიქონებად გარდასახული იშვიათი დოკუმენ-
ტური მასალა.

მაღე ქვეყანაში რეპრესიები დაიწყო. დაჭერა, გა-
დასახლება, დახვრეტა თანდათან მასობრივ ხასიათს
იძენდა. საბჭოთა წყობილების დამყარებიდან ორი-სამი
წლის მანძილზე საქართველოში ისეთი ატმოსფერო შეი-
ქმნა, რომ დღეები „ქუბოებსა და კატაფალკებს" დაემს-
გავსა (ილო მოსაშვილი) და თვით „ლექსიც დაობდა"
(ტიკიან ტაბიძე). ქართველი ერი მაინც არ შეეგუა დამ-
ჰყობელს. დამოუკიდებლობისათვის აქა-იქ ავარდნილი
ბრძოლის აღი 1924 წლის აგვისტოში დიდ ცეცხლად
აგიზგიზდა და სამშობლოს თავისუფლებისათვის საქ-
რთო-სახალხო აჯანყებად მოგვევლინა.

1924 წელს საქართველოში ახალი მხატვრულ-ლი-
ტერატურული ქურნალი „მნათობი" დაფუძნდა. ახლად
დაარსებული ქურნალის ყოველი გამოცემა 1924 წელს,
მეორე ნომრიდან მოყიდებული, გალაპტიონის ლექსით
ან პოემით იხსნებოდა. ამავე წლით თარიღდება გ. ტა-
ბიძის ერთი კერძო წერილიც ილია რკუჯავასადმი, რო-
მელიც პოეტის „მნათობში" მოღვაწეობას ეხება. „ჩვენს
რედაქციაში ცოტაოდენი ცვლილებებია მოსალოდნელი
ენკენისთვიდან, - წერს გალაპტიონი, - სარედაქციო ქო-
ლეგიაში ვალია ბახტაძემ მოიწია რამდენიმე ფუტური-
სტი, თუ იმათმა საქმე არ აწერეს?..... ყოველ შემთხვევა-
ში, ჩემთვის საფრთხე არ არის" (ი. ლორთქიფანიძე, გა-

საფრთხე სხვა მხრიდან მოვიდა.

1924 წლის აგვისტოში, მარიამბას, საქართველოში დიდმა ამბოხებამ იყეთქა. საოკუპაციო რევიმის წინააღმდეგ მიმართულ შეიარაღებულ გამოსვლას სახალხო ხასიათი ჰქონდა. იგი ეროვნულ-სახელმწიფოებრივ თავისუფლებას ისახავდა მიზნად. სამწუხაროდ, აჯანყებამ მარცხი განიცადა. გაცუდდა გულანთებულ მამულიშვილთა კეთილშობილური თავგამეტება. ძეირად დაუჯდა ქართველობას დაუმორჩილებლობის ეს აქცია. უდიდესი იუო მსხვერპლი. ხელისუფლება დაუნდობლად გაუსწორდა ამბოხებულებს, აჯანყება სისხლში იქნა ჩახშობილი.

გალაპტიონ ტაბიძე ერთ-ერთი პრეველი გამოეხმაურა სამშობლოზე თავსდატეხილ მწუხარებას. პოეტმა „მნათობის“ მეხუთე ნომერში დაბეჭდა პოემა სახელწოდებით - „მოგონებები იმ დღეებისა, როცა იეღვა“. ნაწარმოებში აღწერილია აჯანყებულებთან სისხლიანი ანგარიშსწორების ზოგი ეპიზოდი:

„გამარჯვებული სასტიკი ხელით
ადრჩობენ ტყვეებს,
ჟყაფავენ, ხერეტენ, ხალხის სახელით
უსპობენ დღეებს.....
ჩა მთელი კვირა სადგურის იქით
მატარებელი
იჩგა, შიგ მკედრები ეყარა რიგით
უფარებელი.....
ჩაჭრილი, მკედარი, მრავალი მსხვერპლი
მსხვერპლს ეფარება,
სახლების ნაცელად ნაცარი, ფერფლი,
მგლოვიარება.....
ჩა ხუთეული, რომ შეგახვედროს
სისხლთან უღმერთოდ,
უმაღლეს სასჯელს გისჯის - დახვერეტას!
მრავალთან ერთად...“

გ. ტაბიძის თორმეტტომეულის შენიშვნებში ამ პრეცენტი 1921 წელს. დასრულდა პოემა 1924 წლის დასაწყისში (მაისის თვეში დაიბეჭდა) (გ. ტაბიძე, თხ. თორმეტ ტომად, ტ. 8, თბ., 1970, გვ. 270). ეს მთლად სწორი არ უნდა იყოს. პოემა მაისის თვეში არ დაბეჭდილა. მაისში რომ დაბეჭდილიყო, შეუძლებელი იქნებოდა მასში აგვისტოს აჯანყების სურათების ასახვა. ჩანს, გამომცემლებმა იყიქრეს, რახან პოემა ყოველთვიური ჟურნალის მეხუთე ნომერშია მოთავსებული, ეს ნომერი მაისში გამოკიდოდა. სინამდვილეში ასე არ ყოფილა. „მნათობის“ პირველი ნომერი 1924 წლის თებერვალ-მარტში გამოქვეყნდა. ამ წელს ჟურნალის მხოლოდ 8 ნომრის დაბეჭდვა მოეხსრო (მეშვიდე-მერვე გაერთიანებული გამოვიდა). მეხუთე ნომერი არა მაისში, არამედ სექტემბრის თვეში აიწყო და გამოიცა.

რა გვაძლევს ამგვარი მტკიცების საფუძველს? არ-სებობს სათანადო წყარო, სახელდობრ, 1924 წლის აგვისტოში გამოქვეყნებული „მნათობის“ სარედაქციო კოლეგიის ერთი განცხადება, რომელშიც პირდაპირაა აღნიშვნული, ჟურნალის მეხუთე ნომერი სექტემბერში დაიბეჭდება (ჟურნალ „მნათობის“ რედაქციისაგან, „კომუნისტი“, 1924, 13 აგვისტო).

სენებულ ნაწარმოებს და მისი გამოქვეყნების თარიღს საგანგებო წერილი მიუძღვნა რევაზ თვარაძემ (მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა, „ქრიტიკა“, 1990, №4). მკვლევარი მიიჩნევს, რომ „მნათობის“ დაბეჭდილმა გალაკტიონის პოემამ საბოლოო სახე 1924 წლის სექტემბერში მიიღო და მისი რიგი სტრიქონები სწორედ აგვისტოს აჯანყების ამსახველია. თუმცადა, იქვე დასქენს, ამ შეხედულების დამამტკიცებელი უტეშარი საბუთი არ არსებობსო (გვ. 24).

პოემის დაბეჭდვის თარიღთან დაკავშირებით, ვგონებ, ახლა უკვე საეჭვო აღარაფერი დარჩა, შინაარსის დასადგნად კი საგულისხმოა ვახტანგ ჯავახაძის „უც-

ნობის" ახალი, შევსებული გამოცემა. აქ დამოწმებულია თვით პოეტის სახაწერი, რომელშიც ვკითხულობით „მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა". უწოდებული აიკრიბლა. მაკრატლებით დადიოდნენ და სჭრიდნენ. პოემა არაა შეტანილი არც ერთ წიგნში" (გვ. 504).

მართლაც, ნაწარმოები გალაკტიონის სიცოცხლეში აღარსად დაბეჭდილა. მან მზის სინათლე მხოლოდ 1970 წელს - პოეტის ოორმეტტომეულის მერვე ტომში იხილა. ამ პოემის გამო გალაკტიონ ტაბიძე ერთხანს დაუპატიმრებიათ კიდევ. ოციანი წლების ერთ-ერთ ანკეტაში თვითონვე მიუთითებს, - რამდენიმე კვირაა დაპატიმრებული ვიყავით. სხვაგან კიდევ უფრო აკონკრეტულებს - ციხეში ორჯერ ვიჯექი, პირველად ქუთაისის პოლიცმეისტერის შეურაცხყოფის გამო და მეორედ პოემისათვის „მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა".

ქალაქის პოლიციის უფროსის შეურაცხყოფას მეფის მთავრობა რომ არავის აპატიებდა, გასაგებია. მაგრამ, რატომ დაისაჯა პოეტი, ერთი შეხედვით უწყინარი პოემისათვის საბჭოთა ხელისუფლების წლებში? თვითონ გალაკტიონი გვპასუხობს: „ეს ლექსი აშკარად მიმართული იყო ჩვენი პოლიტიკის წინააღმდეგ - სამართლიანად შეაფასა პოემა სერგო ორჯონიკიძემ" (ვ. ჯავახაძე, უცნობი. აპოლოგია გალაკტიონ ტაბიძისა, თბ., 1996, გვ. 505). გამოდის, რომ „მოგონებები იმ დღეებისა..." მართლაც ანტისაბჭოური ხასიათის ნაწარმოები ყოფილა.

ნათქვამს კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის ახალი დოკუმენტური მასალა, რომელიც ჩვენ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის უნივერსიტეტის ფონდში მოვიძიეთ. ეს არის ბოლშევიკების მიერ ლიკვიდირებული საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნაცვლად შექმნილი არალეგალური საორგანიზაციო კომიტეტის წერილი ნოე უორდანიასადმი, გაგზავნილი თბილისიდან პარიზში. დოკუმენტი 1924 წლის შემოდგომით თარიღდება. მასში აღწერილია აჯანყების



შემდგომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შექმნილი ვითარება, ხოლო ჩვენთვის საინტერესო ფაქტთან დაკავშირდება შირებით კი ნათქვამია:

„...მთავრობა საშინელ პირობებში გვაყენებს ჩვენ. თავისინებსაც არ ინდობს, თუ კი იგინი სიმართლის გამჟღავნებას გაბედავენ. თავიანთი პრესა ხომ საშინელი ცენტურის ქვეშ ყავთ დაყენებული. ამას წინათ კონფისკაცია უყვეს თავიანთ უურნალ „მნათობის“ მეხუთე ნომერს. იქ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „100%“ და სხვ. მოთავსებული. ლექსში უცხოელი ხალხის მღელვარება და მთავრობის რისხეა აღწერილი. ბოლშვეიკებმა ამაში საარაკო მაიმუნის მსგავსად თავიანთი სახე დაინახეს. ტაბიძე დააპატიმრეს და რამდენიმე ხანი ჩეკაში ყავდათ. საშინელი რეაქცია სუფევს დღეს აქ ცარიზმის დრო ამასთან შედარებით ხალხისთვის ბრწყინვალე იღეალია“ (საქ. ცსსა, პარვარდის ფონდის მიკროფირები, საქ. №1336, ფურც. 71).

დასტურდება, რომ გალაკტიონი მართლაც დაუპატიმრებიათ. პოეტის დაჭერას ფართო რეზონანსი გამოუწვევია. გამოსარჩლებას იმ პირობებში ვერავინ გაბედავდა, მაგრამ თვით ფაქტს კი საზოგადოებრივი ყდერადობა შეუძნია. წინააღმდეგ შემთხვევაში მის აღნიშვნას დამოწმებულ კორესპოდენციაში, საჭიროდ არ ჩათვლიდნენ.

საარქივო დოკუმენტში სათაური არაზუსტადაა მითითებული, პოემაც ლექსადაა სახელდებული, მაგრამ ეს დიდ ცოდვად არ უნდა მივიწნიოთ. გალაკტიონის ზოგი ნაწარმოების ქანრის განსაზღვრა თვით პროფესიონალ კრიტიკოსთათვის არ არის იოლი. რაც შეეხება სახელწოდებას, უნდა ვივარაუდოთ, რომ იაგებებულ შემთხვევაში მყოფი წერილის ავტორი ზეპირმეხსიერებას ეყრდნობოდა, რის გამოც სათაურს პოემის პირველი სიტყვით ცვლის. მართლაც, „მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა“ ასე იწყება:

„100%! - ადნობს და დაგავს ღრუბლების ტივი...“

ოცდაოთხი წლის აჯანყებამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა გალაკტიონზე. იმ დღეებში ნანახსა და გა-



ნცდილს მან დიდხანს ვერ დააღწია თავი. საიდუსტრიაციო პოეტის ერთი ჩანაწერიც გამოდგება ვაჭალის ძის დასახელებული წიგნიდან, ასე რომ ეხმიანება აჯანყების შემდგომ ვითარებას და თითქმის დეტალურად აცოცხლებს სურათს:

„საქართველოში, სადაც ხე არ ყოფნისთ ჯერის ასამართავად და ჯერები არ ყოფნისთ ჯვარზე საცმელად, ერთი ტრიბუნა-და დაგვრჩენია: ეს არის სასაფლაო! ერთი-და თავისუფალი ადგილი გვაქვს შესაკრებად - ეს არის ჩვენი მკვდრების განსასვენებელი ბინა... ერთი-და დრო გვაქვს, როდესაც შეგვიძლია ვითომ ხმის ამოღება, ეს არის დრო ტირილისა და ცრემლებისა, როდესაც წინ გვიდევს გაცივებული გვამი... დამწუხრებული ვტირით ჩვენს ძვირფას საფლავებზე, ისე როგორც დატყვევებული ებრაელი მისტიროდნენ ბაბილონის მდინარეთა ნაპირზე და რაც უფრო მწარედ სტიროდნენ, მით უფრო გრძნობდნენ დაკარგულ თავისუფლებას

თავისუფლება დავეარგეთო, თავისუფლება!
გაძქრა! სულს ისე დიმიდით არ ეალუბლება
თავისუფლება, დახვრეტილი თავისუფლება".

„ლიტერატურული საქართველო“,
1997 წ., 28 ნოემბერი-5 დეკემბერი.

ავი ბედისწერა თუ იყო ჩვენი: რამდენიმე საუკუნის წინათ საქართველო რუსეთს დაუკავშირდა. წინაპართა მიერ მსხველად და მფარგელად დაგულებული ჩრდილო-ელი მეზობელი ცრუ და ფარისეველი აღმოჩნდა. გაც-რუვდა იმედი: ერთმორწმუნე რუსეთი ტიპური დამკურობელი გამოდგა, - ისეთი, რომლის მსგავსი არაერთი და ორი უნახავს საქართველოს თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე. უზომო მსხვერპლის ფასად, მაგრამ ქართველი ხალხი ძლევდა მომხდურს, თავს აღწევდა მის უღელს და ეროვნულ თავისთავადობას ინარჩუნებდა. ოდონდ ეგ არის, ვერ იქნა და ვერ მოვიშორეთ ეს ჩვენი ძალად მაცხოვე. ამ საუკუნის პირველ მეოთხედში ოფიციალურად გამოვეყავით, დავიბრუნეთ მის მიერვე 117 წლის წინ წართმეული სახელმწიფო უნივერსიტეტი; თავადაც ცნო და აღიარა ჩვენი სუვერენობა, მაგრამ მაღლე გატეხა პირობა და ძალმომრეობით საქართველო ქვლავ თავის გავლენას დაუმორჩილა.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პრობლემა დღეს აღელვებს არამხოლოდ პოლიტიკოსებს, არამედ ჩვეულებრივ რიგით მოქალაქეებსაც. ბოლო დროს ხშირად მოისმენთ აზრს ორ რუსეთზე, - დემოკრატიულ და რეაქციულ რუსეთზე. ბევრს ისევ სჯერა განათლებული რუსეთისა და იმედს მასზე ამყარებს.

ვინც მეტ-ნაკლებად იცნობს გასული საუკუნის რუსეთისა და საქართველოს ისტორიას, დამეთანხმება, რომ ეს თემა ახალი არ არის. საუბარი დრომოკმულ, კონსერვატორულსა და ახალ, პროგრესულ რუსეთზე ჯერ კიდევ XIX საუკუნის 20-იან წლებში დეკადრისტულმა წამოიწყეს. ახლადწარმოშობილი და თითქოს ერთ-მანეთთან დაპირისპირებული ეს ორი ბანაკი დახატა ა. გრიბოედოვმა თავის პოემაში „ვაი ჰესისაგან“. სკალოზუბების, მოლჩალინების და ფამუსოვების ხავსმოკიდებულ და რეაქციულ რესეთს მან ჩაცეკის სახით დაუპირისპირა ახალგაზრდა და თავისუფლებისმოყვარე რუსეთი. თუმცა ისიც სათქმელია, რომ ჩაცეკისნაირები

მთელს რუსეთში თითზე ჩამოსათვდელნი თუ იყვნენ. თავად გრიბოედოვი წერდა: „ჩემს კომედიაში მოძღვანელი მოდის ერთ საღად მოაზროვნე ადამიანზეო".

ბ. ბელინსკის სიტყვით, „ვაი ჰქუისაგან" რუსული სინამდვილის პოეტურ გამოსახვას წარმოადგენდა, მაგრამ ნამდვილი, ანუ ოფიციალური რუსეთი ერთი იყო და იმპერიაში მოქცეულ არარუს ხალხებთან დამოკიდებულებაში, - რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, - სახელმწიფოს მეთაურსაც და რიგით ქვეშევრდომსაც ერთი თვალსაზრისი გააჩნდათ.

ლიტერატურულ კრიტიკაში აღიარებელია, რომ ჩაცემი დეკაბრისტებისა და თვით ავტორის შეხედულებების ამჟღავნებს. ეს შეხედულებანი კი დიდად როდი განსხვავდებოდა იმ ოფიციალური პოლიტიკისგან, რასაც ცარისმი ახორციელებდა. თავად განსაჯეთ: დეკაბრისტთა აღიარებული ლიდერი პ. პესტელი თავის საპროგრამო დოკუმენტში, - „რუსებია პრავდა", პირდაპირ მიუთითებდა, რომ რუსეთის იმპერიაში შემავალი არარუსი მოსახლეობა საბოლოოდ შერწყმულ უნდა იქნას რუს ხალხთან. ეხებოდა რა კავკასიის საკითხს, პესტელი წერდა: „გაიყოს კავკასიის ხალხები ორ თანრიგად - მშეიდობიან და მშეოთვარებულ მათგან პირეელნი დატოვებულ იქნას საცხოვრებელ ადგილზე. მიეცეს მათ რუსული კანონ-სამართალი. ჩასახლებულ იქნას კავკასიაში რუსი კოლონისტები, რომელთაც გადაეცეს მშეოთვარე მოსახლეობისათვის ჩამორთმეული მიწები. ამით უზრუნველყოფილ იქნება კავკასიის დამშეიდება და ეს მხარე გადაიქცევა მშვიდ და კეთილმოწყობილ რუსულ ოლქადო". დეკაბრისტები, რომლებიც თავად განასახიერებდნენ ახალგაზრდა, პროგრესულ რუსეთს და მზად იყვნენ თავი გაეწირათ ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის, საქართველოსთან მიმართებაში ბევრად როდი განირჩოდნენ თვითმპურობელური მეფის რუსეთისაგან. მათ ნაკლებ აწუხებდათ იმ ხალხთა ეროვნული თავისუფლების ბედი, რომლებიც ძალმომრეობით რუსეთის იმპერიულ „ხალხთა საპრობილეში" იტანჯებოდნენ.



ავიდოთ ჩერნიშევსკი, - ყველაზე დიდი დემოკრატი და რევოლუციონერი ლენინამდელ რუსეთში. ცოტ მიუძღვით მასზე ქართველებს. განა ქართველმა ნიკო ნიკოლაძემ არ გაანთავისუფლებინა ცარიზმის მიერ დასჯილი ჩერნიშევსკი გადასახლებიდან? იგივე ნიკო ნიკოლაძე არ იყო ჩერნიშევსკის ნაშრომათა გამოცემის მოამაგე და რედაქტორი? თუნდაც მადლიურების ნიშანად ხომ მაინც უნდა დასცდენოდა ჩერნიშევსკის მცირე სიტყვა საქართველოს დასაცავად. არა, არ უთქვამს! ამაოდ დაუწყებთ ძებნას ამგვარ რამეს მის ნაწერებში. ჩვენი ეროვნული საწუხარი და გულისტყივილი დემოკრატ ჩერნიშევსკისათვისაც ისეთივე უცხო იყო, როგორც კონსერვატორ რუს მოხელე-ჩინოვნიკთათვის.

მეთხველს უთუოდ ემხსომება, რომ ორ რუსეთზე მიუთითებდა აკაკი წერეთელიც. 1913 წელს პოეტს მოსკოვის ქართულმა სათვისტომომ შეხვედრა მოუწყო. ლიტერატურული საღამოს შემდეგ გაიმართა ნადიმი. სუფრას სახელმწიფო სათათბიროს ქართველი და კავკასიიდან არჩეული ზოგიერთი დეპუტუტიც ესწრებოდა. ამ უკანასკნელთაგან სტუმარს გულთბილად მიესალმა მ. სკობელევი. საპასუხო სიტყვაში აკაკი წერეთელმა აღნიშნა: „ჩვენ... დიდად გაფასებთ მმობას, ერთობას და მეგობრობას რუსეთის ერებთან. მართალია, რუსის ხალხში ბევრია ისეთები, რომლებსაც არ სურთ და ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური ქავშირი, მაგრამ არის სამაგიეროდ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენ გვესურს ხელიხელჩაკიდებით სიარული არა მარტო ეროვნული, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალებისა, რომელსაც ეწოდება მმობა, ერთობა, თანასწორობა”.

ა. გრიბოედოვთან მხატვრულად ასახულ და აპ. წერეთლის სადღეგრძელოში წარმოჩენილ ორ რუსეთს, შეიძლება ლენინის მიერ კულტურაში გამოყოფილი დემოკრატიული და სოციალისტური რუსეთიც დაგუმატოთ, მაგრამ არ შეიძლებოდა ყოფილიყო და არც ყოფილა არასოდეს ორი რუსეთი თვითიალური თვალსაზრისით.



სახელმწიფო უნივერსიტეტი მოღიბიკა რუსეთისა ერთი იყო მაზრაში დამ და ყოველთვის: იგი იმპერიულ-დერეჯავშემომიმდევრობას ხდდათ წინათაც და იმპერიულ-დერეჯავშელია ახლაც.

ერთი თვისება ახასიათებს ყველა დროის რუსეთს: იგი განგებ მაღავს თავის ნამდვილ ზრახვებს და ესწრაფვის საქუთარი სიავე და ბოროტება ხევათა თვალში საონებად გაასაღოს; თავად მუდამ მოძალადე და დამპყრობელი, მცირერიცხოვან ერთა მოსარჩევდ და მფარველად წარმოჩნდეს. საილუსტრაციოდ მივმართოთ ისტორიას:

ოსმალეთის წინააღმდეგ ამიერკავკასიაში მოკავშირების მაძიებელმა თევდორე ივანეს-ძემ 1585 წელს კახეთში თავისი ელჩი რუსინ დანილოვი გაგზავნა. რუსთა ხელმწიფე პოლიტიკურ კავშირსა და მფარველობას სთავაზობდა ალექსანდრე კახთა მეფეს. წინადადება კახეთის ინტერესებსაც ეხმიანებოდა. მოძალადე თურქთა გან დასაცავად ალექსანდრემ ეს მოქმედი სასარგებლოდ მიიჩნია და რუს დესანს მოსკოვში საქუთარი ელჩებიც გააყოლა. კახეთის მეფე „თავს უდებდა მოსკოვის ხელმწიფეს და მისგან „მფარველობას“ ითხოვდა. ალექსანდრეს „აჯამ“ თევდორე მეფე დიდად გაახარა. კახეთთან ურთიერთდამოკდებულების, ანუ მფარველობა-ხელდებულობის ხასიათის გარევევა-დაზუსტების მიზნით საქართველოში ახალი ელჩობა გამოიგზავა.

რუსი დიპლომატები საგანგებოდ იყვნენ გაფრთხილებულნი, რომ კახეთთან დაახლოების საქმეში მოსკოვის ინიციატივაზე ხმა არ ამოედოთ. სხვა არსებითი ხასიათის მოსაზრებათა გვერდით, ამას მოითხოვდა საქმის ფორმალური მხარეც: კახეთის მეფე მოსკოვის მეფის ხელდებული ხდებოდა. ამიტომ მასვე შეშვენდა როგორც „აჯა და მოსენება“, ისე საამისო წინასწარი მოსამზადებელი საქმიანობაც (ეს დაკვირვება ცნობილ ისტორიკოსს ნიკო ბერძენიშვილს ეკუთვნის).

ელჩებმა თან ჩამოიტანეს მოსკოვს შემუშავებული ფიცის ტექსტი. ეს ფიცი ალექსანდრემ, მისმა შვილებმა და დარბაისლებმა მიიღეს რუსეთის მეფის ერთგულებაზე. ფიცში საქმე ისეა წარმოჩნდილი, თითქოს კახეთის



მეფემ ხელმწიფეს „თავი დაუკრა”, ელჩები გაუგზავნა /
და ითხოვა კახეთი თავის ხელქვეშ დაეჭირა. რუსთან გვთავა
ლმწიფემ კი აჯა შეისმინა, აღექსანდრე შეიწყალა და
მფარველობის ხელი დასდო. ვინც მხოლოდ ამ ფიცის
ტექსტს („წიგნი ფიცისა”) იცნობს, პგონია, რომ რუსეთს
კახეთთან მიმართებაში მარტოოდენ კეთილშობილება
ამოძრავებდა და სხვა რამ განზრახვა არა პქონია.

რუსეთის მხარე იყო ინიციატორი ქართლ-კახეთის
სამეფოს თავის მფარველობაში მიღებისა XVIII საუკუ-
ნის 80-იან წლებშიც. გეორგიევსკის ტრაქტატის პრეამ-
ბულაში კი, ისე როგორც ხსენებულ ფიცის წიგნში,
მთხოვნელად ქართველი მეფეა წარმოდგენილი.

პირმოთხობითა და ცბიერებით იყო აღსავსე იმპე-
რატორ ალექსანდრე პირველის 1801 წლის 12 სექტე-
მბრის მანიფესტი, რომელიც საქვეყნოდ აცხადებდა:
„არა ბალთა შემატებისათვის, არა ანგარებისათვის, არა
ფარგლების გავრცელებისათვის ქვეყნიერებაზე ისედაც
უდიდესი იმპერიისა გეისრულობთ წევნ საქართველოს
სამეფოს მმართველობის ტვირთს. მხოლოდ დირსება,
მხოლოდ პატიოსნება და ადამიანობა გვაკისრებინებს
წევნ საღმრთო მოვალეობას, ყურად ვიდეთ რა ტანჯუ-
ლთა მუდარა, მათი ნაღველის განსაქარვებლად დავაწე-
სოთ საქართველოში ისეთი მმართველობა, რომელიც
შეძლებს მართლმსაჯულების დამყარებას, უზრუნვე-
ლყოფს პირად და ქონებრივ უშიშროებას, კანონით ყვე-
ლას დაცეას”.

კიდევ უფრო დაფარვით, თორემ არსებითად ცარი-
ზმის გზას ადგა ბოლშევკიური რუსეთიც. როცა 1922
წელს სსრ კავშირის შექმნა განიზრახა, იმ მოტივით,
რათა ცარიზმის იმპერიისაგან თავდაღწეული არარუსი
ერების ახალ, საბჭოთა იმპერიაში თავსმოხვეული გაერ-
თიანება შეენიღბათ, ლენინმა მოითხოვა: რუს ხალხთან
შემდგომი დაახლოების ინიციატივა ქვემოდან - წინათ
ჩაგრული ხალხებისაგან წამოსულიყო, რაც განხორციე-
ლდა კიდეც.

იგივე პოლიტიკა გრძელდება დღესაც.



გაუქმებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიის შესტატურთა და აფხაზ სეპარატისტთა რუსეთისაკენავწილით მის შემადგენლობაში შესვლის მიზნით, - ინიციატივის ქვემოდან წამოსვლის ცარისტულ-ლენინური გეგმის მოღერნიზებული ვარიანტია, თორემ, ეჭვგარეშეა, ამ სწრაფვასაც რუსეთი ახალისებს.

სამწუხაროდ, ქართველი პოლიტიკოსები ყოველთვის დროულად როდი გამოიცნობდნენ რუსეთის ნამდვილ მიზანდასახულობას.

ცდებოდა ერეკლე II, როდესაც ქართლ-კახეთის „დასახმარებლად“ გამოგზავნილ რუსეთის თითქოსდა ურჩ გენერალს ეკატერინე მეორესთან დაასმენდა. ქართველ მეფეს არ სჯეროდა, თორემ ტოტლებენი ზუსტად ისე იქცევოდა, როგორადაც საიმპერიო კარზე იყო დარიგებული. არსებითად ეკატერინე II და მისი გენერლებიც ერთ - დიდმპურობელურ და იმპერიულ რუსულ პოლიტიკას ახორციელებდნენ: ტოტლებენის ნაცვლად გამოგზავნილ გენერალ სუხოტინსაც ხომ მისი წინამორბედისავე მსგავსი ინსტრუქცია მიეცა.

ცდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სათავეში მყოფი ნოე ქორდანია, დარწმუნებული იმაში, რომ საქართველოსთან მიმართებაში რუსეთს ორი ტენდენცია გააჩნდა: „ერთი - პოლიტიკური, მეორე იმპერიალისტური. ამ უკანასკნელს მეთაურობდა ტროცკი, სამხედრო მინისტრი და ხტალინი, ეროვნებათა მინისტრი (კომისარი). პირველს კი ლენინი“.

საქართველოსთან დამოკიდებულებაში რუსეთის პოლიტიკა, როგორც ვნახეთ, არასოდეს ყოფილა კეთილმუზობლური. იგი მუდამ იმპერიული იყო. ამ მხრივ არც ბოლშევეკური რუსეთი ყოფილა გამონაკლისი. მაღვე თავად ნ. ქორდანია გახდა ამის არა მარტო მოწმე, არა მედ მსხვერპლიც, როცა იგივე ლენინის ნებით, რუსეთის წითელი არმიის ნაწილები „აჯანყებული ქართველი მუშებისა და გლეხების დასახმარებლად“ 1921 წლის თებერვალში საქართველოში შემოჭრნენ და დაამხეს არსებული კანონიერი ხელისუფლება...



კიდევ ერთი რუსული თვისების გამო. შემჩნეულია რუსები, თუ ბედის წყალობით ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდნენ, სხვა ხალხებთან დამოკიდებულებაში ისე-თივე თვითმპყრობელი ხდებიან, როგორც მათი წინამორბედი. სამაგალითოდ ავიდოთ ა. კერენსკი. ცარიზმის ოპოზიციონერი და დემოკრატი ეს მოღვაწე, თვითმპყრობელობაზე ნაჯლები გულმოდგინებით არ იცავდა სახელმწიფოს მთლიანობას და საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში დარჩენას დროებითი მთავრობის მეთაურის პოსტზეც. დავით კლდიაშვილი იგონებს, თუ როგორი საყვედურით მიუმართავს ქუთაისში ჩამოსულ კერენსკისათვის გიორგი ზდანოვის: „ალექსანდრ ფილოროვინ, თუ თქვენ ამგვარი შეხედულებისა ხართ საქართველოზე, უმჯობესი იყო აქ ფეხი არ დაგვდგათ!“

კონსტანტინე გამსახურდიას ეპუთვნის სიტყვები: „დემოკრატიულ რუსეთთან ჩეენ თარჯიშმანი არ დაგვჭირდება“. მართლაც, დემოკრატიის ენა ყველასათვის გასაგები უნდა იყოს. მაგრამ თავად რუსეთი რომ ვერ პგუბის დიდხანს დემოკრატიას. აქაური სუსხი ხომ ჩანასახშივე ანადგურებს ამ უცხო მცენარეს.

თუმცა რუსეთი დიდია და თვალუწვდენელი. აქაიქ მაინც გაერთება ხოლმე დემოკრატიის აჩრდილი. რა თქმა უნდა, ამას უნდა მივესალმოთ. არც მასთან კავშირზე შეიძლება უარის თქმა. მაგრამ ახალი შეცდომა აღარ უნდა მოგვივიდეს, - ეს არ არის მეორე რუსეთი.

ორი რუსეთი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით არ არსებობს, იგი მხოლოდ ფანგაზიის ნაყოფია. ფანგაზიაზე პოლიტიკის აგება კი, როგორც თავის დროზე გერონტი ქიქოძე ბრძანებდა, დამდუპველია.

„საქართველო“,
1993 წ., 15-21 იანვარი.

წინათქმა.....	3
საქართველო ევროპულ გზებზე.....	5
საქართველოს ცნობიერების გვირგვინი.....	13
საქართველოს დამფუძნებელი კრება და ბოლშევიკები.....	20
საქართველოს შესაძლოა გერმანელი მეფე ჰყოლოდა.....	26
ყოფილა ომი რუსეთსა და საქართველოს შორის?.....	34
რუსეთში დვინის სმა აკრძალულია, ანუ რა ხდებოდა მოლაპარაკების ქულისებში.....	41
Pacta sunt servanda.....	51
საქართველოს ოქროპირი - დიდი ეროვნულ-დემოკრატი (სპირიდონ კედია - 110).....	59
„და თებერვალიც შეიმოსა ოქტომბრის კაბით“.....	70
ჩვენები მოვიდნენ? ანუ 25 თებერვალი გათენდება ხეალ.....	78
„ჩვენ რომ ვუთხრათ, ისინი დღესვე დატოვებენ საქართველოს“.....	87
„პარტიიდან გაგაგდებთ მოურიდებლად“.....	95
ქართული პარლამენტარიზმის შუქწრდილები.....	103
მე მიყვარდა ჩემი ერი.....	124
დახვრეტილი თავისუფლება.....	139
კიდევ ერთხელ ორი რუსეთის შესახებ.....	147



ე გ ნ ი შ გ ნ ე ბ ი



О. Джанелидзе

Растреленная свобода

Тбилиси
2000

ტირაჟი 500

23/
4

